


**მუზეუმის აღორძინების საბჭო უხმობს
ქტიტორ-შემწირველთ:**

**გადავარჩინოთ ეროვნულ-საერთაშორისო მნიშვნელობის
მუზეუმის ავარიული შენობა დანგრევისაგან**

Museum Rehabilitation Council appeals to sponsors:

**LET US SAVE THE DAMAGED BUILDING OF THE MUSEUM
OF NATIONAL AND INTERNATIONAL SIGNIFICANCE FROM
DESTRUCTION**



**მუზეუმის შენობის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი
ავტორი – არქიტექტორი კ. ქორიძე
Author of restoration-reconstruction – architect K. Koridze**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ს.ს.ი.პ. დავით ბაახოვის
საქართველოს ებრაელთა
ისტორიის მუზეუმი

შ რ ო მ ე ბ ი

VIII

თბილისი
2012

Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia

**D. BAAZOV
MUSEUM OF HISTORY OF JEWS
OF GEORGIA**

W O R K S
VIII

**Tbilisi
2012**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ს.ს.ი.პ. დავით ბაახოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი
ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია
„კავკასიის ფონდი“
ასირიოლოგთა, ბიბლექსტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება
საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი

რედაქტორი:

გ. ღამბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ჯ. აჯიაშვილი

დ. ბაახოვი

გ. ბენ-ორენი

ზ. დავარაშვილი

ი. დავიდი

ზ. კიკნაძე

ე. მამისთვალიშვილი

თ. მამისთვალოვი-კეზერაშვილი

გ. მირცხულავა

მ. ღამბაშიძე

შ. წიწუაშვილი

დამკაბადონებელი გ. კაკაბაძე

ISSN 1512-4398

© ს.ს.ი.პ. დავით ბაახოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი



გამომცემლობა: „არტლაინსი“, 2012

ივ. აბაშიძის 16, 0179 თბილისი, ☎: (+955 32) 222 71 37, 551 227 137

E-mail: artlinesinfo@gmail.com

www.artlines.ge, www.artlinesshop.ge

Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia
D. Baazov Museum of History of Jews of Georgia
Association of the Georgian-Jewish Relations
“Fund of Caucasus”
Society of Assyriologists, Biblicists And Caucasiologists (SABC)
World Congress of Jews of Georgia

Editor:

G. Gambashidze

Editorial Board:

J. Ajiashvili
D. Baazov
G. Ben-Oren
Z. Davarashvili
I. David
M. Gambashidze
Z. Kiknadze
E. Mamistvalishvili
T. Mamistvalovi-Kezerashvili
G. Mirtskhulava
Sh. Tsitsuashvili

ISSN 1512-4398

© D. BAAZOV MUSEUM OF HISTORY OF JEWS OF GEORGIA



Publishing House “ARTLINES”, 2012

16, Ir.Abashidze Ave. Tbilisi, 0179 Georgia : (995 32) 22 71 37,

555 227 137

E-mail: artlinesinfo@gmail.com

www.artlines.ge. www.artlinesshop.ge

ებრაელობა

ქართულ-ებრაული ურთიერთობანი


დანიელ ხანანაშვილის არქივში დაცული საქართველოს
გასაბჭოებამდე გამოცემული ქართული და რუსული
ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

ანოტირებული ბიბლიოგრაფია

გამოსაცემად მოამზადეს:

დ-რმა შალვა წინუაშვილმა
(ისრაელი)

დ-რმა გერშონ ბენ ორენმა(წინუაშვილი)
(ისრაელი)



ედღვნება ცნობილი ქართველი ებრაელი მეცნიერისა და პედაგოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის გამგეობის წევრის **დანიელ ხანანაშვილის** (1933-2005) ხსოვნას.

სარჩევი

შ. წინუაშვილი - საქართველოს ებრაელთა მემკვიდრეობა	18
დ. ხანანაშვილის წერილი შ. წინუაშვილს	21

თავი I

ებრაელთა ისტორია, ქართულ-ებრაული ურთიერთობანი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

აზრი	27
აკაკის თვითობის კრებული	32
ალი	32
ალიონი	33
ამირანი	33
ამხანაგი	36
ახალი აზრი	37
ახალი გზა	43
ახალი დროება	43
ახალი ივერია	44
ახალი კომუნისტი	44
ახალი საქმე	47
ახალი სხივი	48
ახალი ქართლი	49
ახალი ცხოვრება	49
ბათუმის გაზეთი	50
ბათუმის ფურცელი	79
ბათუმის ცხოვრება	81
ბათუმის მოამბე	82
ბრძოლა	82
განათლება	83
განახლებული მესხეთი	83
განთიადი	84
გლეხი	85
გრიგალი	85
დასაწყისი	85
დილა	86
დროება	89

ელვა	123
ერთობა	124
ერი	131
ემმაკის მათრახი	132
ვარსკვლავი	133
ზვირთი	133
თავისუფალი საქართველო (ჟურნალი)	134
თავისუფლება	134
თანამედროვე აზრი	135
თანამედროვე ქვეყანა	149
თეატრი და ცხოვრება	151
თემი	151
ივერია	153
ივერია (ჟურნალი)	243
იმედი	246
იმერეთი	247
ისარი	263
კავკასიის კალენდარი	269
კვალი	269
კლდე	281
კოლხიდა	283
კომუნისტი	299
კრებული	299
ლამპარი	299
ლახვარი	298
ლახტი	302
მათრახი და სალამური	302
მაკავეელი	302
მეგობარი	306
მერცხალი	312
მეურნე (ჟურნალი)	325
მიწა	325
მნათობი	325
მნათობი	326
მოამბე	327
მოგზაური (ჟურნალი)	330

მომავალი	332
მუშა	332
მწყემსი	332
მხედარი	333
ნაპერნკალი	333
ნაციონალისტი	333
ნიშადური	333
პირველი ნაბიჯი	334
რევოლუციონური ნობათი	334
სავაჭრო გზა	334
სალი კლდე	334
სამშობლო	335
სასოფლო გაზეთი	354
საქართველო	356
საქართველო	356
საქართველო	356
საქართველოს გაზეთი	369
საქართველოს დამფუძნებელი კრება	370
საქართველოს კალენდარი	371
საქართველოს კომუნისტი	372
საქართველოს მოამბე	372
საქართველოს პარლამენტი	373
საქართველოს რესპუბლიკა	373
საქართველოს სასულიერო მახარობელი	392
საქმე	393
სახალხო საქმე	394
სახალხო საქმე	394
სახალხო ფურცელი	405
სიმართლე	418
სიმართლის ხმა	419
სინათლე	420
სიტყვა	421
სოციალ-დემოკრატი	422
სოციალ-რევოლუციონერი	425
სოციალ-ფედერალისტი	426
სხივი	427

ტალლა	427
ტრიბუნა	427
ფიქრი	428
ფონი	429
ქართლი	430
შინაური საქმეები	431
შრომა	431
შრომა	435
შრომა	443
შრომა	444
შუამავალი	448
ჩანგი	448
ჩვენი გაზეთი	448
ჩვენი გზა	450
ჩვენი დროება	452
ჩვენი ერი	453
ჩვენი კვალი	454
ჩვენი მეგობარი	455
ჩვენი რესპუბლიკა	460
ჩვენი საქმე	460
ჩვენი სიტყვა	461
ჩვენი ქვეყანა	461
ჩვენი ცხოვრება	477
ჩვენი ხმა	478
ცისკარი (გაზეთი)	479
ცისკარი (ჟურნალი)	479
ცნობის ფურცელი	481
ცხოვრება	521
ცხოვრების სარკე	522
წყარო	523
ხალხი	524
ხალხის მეგობარი	525
ხმა ებრაელისა	529
ხმა კახეთისა	536
ხომლი	538
ჯვარი ვაზისა	538

თავი II

ებრაული თემა ქართულ მწერლობასა და თეატრში,
ებრაელთა კულტურა და განათლება
ქართული ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

აკაკის თვიური კრებული	541
ახალი აზრი	542
ახალი გზა	542
ახალი საქმე	542
ახალი ფიქრი	543
ბათუმის გაზეთი	543
ბათუმის მოამბე	545
ბზიკი	545
განათლება	545
განახლებული მესხეთი	545
განთიადი	545
დასაწყისი	545
დილა	546
დიპლიპიტო	546
დროება	546
ელვა	550
ერთობა	550
ერი	550
ემმაკის მათრახი	551
ვარსვლავი	552
ზარი	553
ზვირთი	553
თანამედროვე აზრი	553
თეატრი	554
თეატრი და ცხოვრება	555
თეატრი და ხელოვნება	558
თემი	558
ივერია	559
იმერეთი	580

ისარი	581
კვალი (ჟურნალი)	582
კლდე	586
კოლხიდა	586
კრებული	588
ლახვარი	589
ლახტი	589
მათრახი	589
მათრახი და სალამური	589
მაკავეელი	590
მეგობარი	592
მერცხალი	593
მნათობი (ჟურნალი)	594
მოამბე (ჟურნალი)	594
მოგზაური (ჟურნალი)	597
მომავალი	597
მონაფე	598
ნაკადული	598
ნაპერწყალი	598
ნიშადური	599
ოქროს ვერძი	600
ოხუნჯი	600
პირველი ნაბიჯი	600
რუსეთის ქრონიკა	600
სამშობლო	600
სასოფლო გაზეთი	601
საქართველო	602
საქართველოს კალენდარი	603
საქართველოს რესპუბლიკა	604
საქართველოს სასულიერო მახარობელი	610
სახალხო გაზეთი	611
სახალხო კალენდარი	615
სახალხო საქმე	615
სახალხო ფურცელი	618
სინათლე	619

სიტყვა	619
სოციალ-დემოკრატი	619
ტალღა	620
ტრიბუნა	620
ფასკუნჯი	621
ფონი	621
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში	621
შინაური საქმეები	622
შრომა	623
ჩანგი	623
ჩვენი გაზეთი	623
ჩვენი დროება	624
ჩვენი ერი	624
ჩვენი კვალი	624
ჩვენი ქვეყანა	624
ცისკარი (ჟურნალი)	626
ცნობის ფურცელი	627
ცნობის ფურცელი (სურათებიანი დამატება)	633
ძველი საქართველო	634
ხალხი	635
ხალხის მეგობარი	635
ხმა ებრაელისა	635
ჯეჯილი	636

თავი III

ებრაულთა ისტორია, კულტურა, განათლება და ქართულ-
ებრაული ურთიერთობანი რუსული
ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

Борьба	639
Будущность	652
Весь Кавказ	655
Возрождение	656
Восход (журнал)	662
Восход (газета)	663
Выписки кавказского отдела императорского русского географического общества	664
Грузия	664
День	668
Еврейская жизнь (журнал)	669
Еврейская жизнь (газета)	670
Еврейский календарь	687
Еврейский мир	687
Еврейская неделя	688
Еврейская нива	688
Еврейская старина	688
Закавказская речь	688
Закавказское обозрение	699
Известия закавказского русского национального совета	699
Известия кутаисского краевого рабочего центра	699
Кавказ	701
Кавказский вестник	724
Кавказский еврейский вестник	728

Кавказский календарь	732
Кавказское слово	740
Кармель	750
Кутайские вести	750
Кутайский листок	751
Недельная хроника восхода	753
Новый восход	757
Новое обозрение	758
Новый путь	765
Обзор	765
Пастырь	768
Правдивое слово	769
Разсвет	770
Русский еврей	772
Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа	774
Театр и музыка	774
Тифлиссские ведомости	775
Тифлиссский вестник	775
Тифлиссский листок	777
Черноморский вестник	782
Хроника восхода	782

შ. წინუაშვილი - საქართველოს ებრაელთა მემკვიდრეობა

არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებუ-
ლი ცხოვრება ერთ მიზანს დაუქვემდებარეს. დანიელ ხანანაშ-
ვილისთვის უმთავრესი იყო მთელი თავისი ცოდნა საყვარელი
ქალაქისა და ხალხის ისტორიის შესწავლისათვის მოეხმარა. მისი
ცხოვრება სწორედ ამის დადასტურებაა — იგი სტუდენტობის
პერიოდიდანვე იწყებს ქუთაისისა და საქართველოს ებრაელო-
ბის ისტორიის კვლევას.

დანიელ ხანანაშვილი დაიბადა 1933 წ. ქუთაისში, ნარჩინებით
დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. მე-10 კლასის მოსწავლემ
რესპუბლიკური კონფერენციისათვის მოამზადა მოზრდილი
შრომა „ქუთაისის ისტორია“, რომელიც მოიცავდა პერიოდს
უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე. ეს თემა იმ დროისათვის
თითქმის შეუსწავლელი იყო და სკოლის მოსწავლის გამბედაო-
ბამ ხელი მოეკიდა ასეთი თემისთვის მასწავლებლების მოწონე-
ბა დაიმსახურა. ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა კონ-
ფერენციაზე და ამჟამად იგი ქუთაისის ცენტრალურ არქივში
ინახება.

1953 წ. დანიელი შევიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის სტუდენტმა
მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო,
შემდეგ კი რესპუბლიკურ კონფერენციაში, რომელზეც გამოვი-
და მოხსენებით „ქუთაისის უძველესი ისტორიის საკითხისათ-
ვის“.

მესამე კურსის სტუდენტი დანიელი ინსტიტუტის სტუდენტ-
თა სამეცნიერო საზოგადოების თავკაცად აირჩიეს.

1957 წ. ნარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მუშაობა
დაიწყო ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში ჯერ
უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1960 წლიდან განყო-
ფილების გამგედ.

საქართველოს ებრაელთა ისტორიით დანიელ ხანანაშვილი
სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდა. დაიწყო მასალების
მოძიება, აგროვებდა ყველაფერს, რაც კი მის ინტერესების სფე-
როს პასუხობდა. 1960 წლისათვის მას უკვე საკმაოდ ბევრი მასა-
ლა დაუგროვდა. 1963 წლის 8 იანვარს ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო
საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საჯარო სხდომაზე
წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ებრაელთა საკითხი და რევო-
ლუციამდელი ქართველი საზოგადოება“. დაიწყო წერილების

გამოქვეყნება საქართველოს ებრაელობის შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. აი, რამდენიმე მათგანი: „ილია ჭავჭავაძე და ებრაელობა,“ „აკაკი წერეთელი და ებრაელობა,“ „ებრაელის სახე რევოლუციამდელი ქართული თეატრის სცენაზე,“ „სისხლის შარი და რევოლუციამდელი ქართველი საზოგადოება,“ „ქართველი ებრაელები დემოკრატიულ საქართველოში“ და სხვა.

1989-1993 წლებში ქუთაისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის მიწვევით მესამე კურსის სტუდენტებს უკითხავდა სპეცკურსს „ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის საკითხები“. მისი ლექციები იმდენად ღრმა და საინტერესო იყო, რომ სტუდენტების გარდა პროფესორ-მასწავლებლებიც სიამოვნებით ისმენდნენ.

1990 წლის დეკემბერში დანიელ ხანანაშვილი მონაწილეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაული ურთიერთობების (პრეზიდენტი გივი ღამბაშიძე) და ბენ-ცვის სახელობის ისრაელის აღმოსავლეთის ებრაელთა ისტორიის ინსტიტუტის (სიმპოზიუმის ინიციატორი ინსტიტუტის მხრიდან მეცნიერ-თანამშრომელი გერშონ ბენ-ორენი) ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმში მოხსენებით „ქართულ ებრაელთა ისტორიის ამსახველი მასალები ქუთაისის ცენტრალურ არქივში“. მოხსენებამ ინსტიტუტის დამსწრე თანამშრომელთა დაინტერესება გამოიწვია.

დანიელ ხანანაშვილი განაგრძობს საინტერესო წერილებ-ის გამოქვეყნებას საქართველოს ებრაელობის ისტორიის, ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ მისი მთავარი მიზანია შექმნას საქართველოს ებრაელთა შესახებ არსებული მასალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რაც საკმაოდ გაუადვილებს მუშაობას ამ თემით დაინტერესებულ მეცნიერებს. იგი უფრო აქტიურად განაგრძობს მოძიებით მუშაობას. არ გასულა დღე, რომ თუნდაც მცირედი მაინც არ შეემატებინა მისი მდიდარი არქივისათვის. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც ამ პერიოდში მასალების შეგროვებასთან იყო დაკავშირებული (გასამრავლებელ-გადამღები ტექნიკის არარსებობა, ფინანსური პრობლემები, რაც ყოველთვის უშლიდა ხელს დანიელს ამ მუშაობაში და მრავალი სხვა), იგი დიდი შრომის, მონდომების ხარჯზე ქმნის მასალათა ფასდაუდებელ ფონდს საქართველოს ებრაელთა და ქუთაისის ისტორიის შესახებ. როდესაც ეცნობი ამ არქივს გაოცებს მისი შემქმნელის შრომისმოყვარეობა, თავდადება, მიზანსწრაფვა,

აღტაცებაში მოდიხარ მის მიერ განეული შრომის ნაყოფით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმ პერიოდში, როდესაც იგი აღნიშნულ მასალებს აგროვებდა, უხდებოდა მათი ხელით გადმონერა (გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, წიგნებიდან, საარქივო მასალებიდან და სხვა) განცვიფრებაში მოდიხარ დანიელ ხანანაშვილის ნებისყოფის სიმტკიცით, მისი შრომისმოყვარეობითა და იმ კოლოსალური ენერგიით, რაც მოანდომა თავისი არქივის შექმნას.

ჭეშმარიტად, საქართველოს ებრაელთა მემატიანე გახლავთ ბატონი დანიელი.

მაგრამ დასანანი, რომ დანიელს არ დასცალდა გამოექვეყნებინა თავისი ძვირფასი არქივის უნიკალური მასალების ანოტირებული კრებულები. მან ზუსტად იცოდა და ჩამოყალიბებულიც ჰქონდა თავისი არქივის გამოქვეყნების პრინციპები, მეთოდოლოგია, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ კიდევ შრომითი ენერგიით სავსე, ნათელი გონების ნიჭიერი მეცნიერი ნაადრევად წავიდა ჩვენგან და ვერ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება.

1993 წლის მარტში დანიელ ხანანაშვილი ამოვიდა ისრაელში და დასახლდა ქ. ბათ-იამში. მას არც ისრაელში შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა, აპირებდა თავისი არქივის თუნდაც ნაწილის გამოქვეყნებას. 2005 წ. მან სამუდამოდ მიატოვა ეს სამყარო და გადავიდა მარადისობაში.

მისმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ დანიელის არქივის ნაწილი მაინც გამოგვექვეყნებინა. დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ დ. ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის დირექტორს პროფ. გივი ლამბაშიძეს, რომელმაც ითავა წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნება მუზეუმის „შრომების“ ტომის სახით.

მკითხველს ასევე ვთავაზობთ ბატონ დანიელ ხანანაშვილის წერილს შალვა წინუაშვილისადმი, რომელიც დაწერა თბილისის აეროპორტის სასტუმროში 1999 წელს ისრაელში გაფრენის წინა დღეს.

წერილში ნათლად ჩანს დანიელის განწყობა საქართველოს დატოვების წინ, მის მოკრძალებული ხასიათი, უპრეტენზიო სურვილები მომავალ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

ეს წერილი ერთგვარ თხოვნა-ანდერძადაც აღიქმება ჩვენს მიმართ - მიგვეხედა მისი არქივისათვის, თუ ის დაწყებულ საქმეს ვერ დაასრულებდა.

დ. ხანანაშვილის წერილი შ. ნინუაშვილს

სალამი ბატ. შალოვა!

ამ წერილს აეროპორტის სასტუმროში ვსწერ. გუშინ სახლში დაგირეკეთ და მეუღლემ მითხრა, რომ თურმე თბილისში არ ყოფილხართ და ოთხშაბათამდის არ იქნებით. შემდეგ ჭემალო აჭიანჭვილს გადავურეკე და მან მითხრა: ისრაელში არის და სამშაბათს მოდისო. ასე რომ ჩვენი „დაუსწრებელი“ შეხვედრა ისრაელის აეროპორტში მოხდება, ისე რომ ერთმანეთს ალბათ ვერ შევხედავთ.

მშვიდობით დამეტოვებინეთ, გეხვევით და გკოწიხით. მივდივარ და გული მანერ აქ მრჩება. ის რაჯ ორმოჯი წლის განმავლობაში დღე და ღამე ვაგროვე და ვიღვანე, მათი გამოძიებურება მხოლოდ ახლან ინყებოდა, ახლან ვინყებდი ჩემი ჩატარებული სამუშაოს შეჯამებას და შრომებად ჩამოყალიბებას და ამ დროს გტოვებთ. რას იზამთ, რხოვრება ამ მოიჭანა. იქ რას გავაკეთებ? საკმაოდ ბუნდოვნად მესახება. მგონი უკვე ერთხელ ვითხარი, რომ ილუზიებს სრ ვერემი. იქ სადაჯ გერშონს უჭირს, იქ სადაჯ ისხაკ დავიდს თუ სხვებს უჭირთ, მე რისი იმედი უნდა მქონდეს. არაფრის. თუ გამიძარტლებს „შემთხვევით“ თორემ სხვა არაფერი. მე წინასწარ შეგუებული ვარ ამ გარემოებას. მხოლოდ გული დამწყდება ერთ რამეზე: მე ხომ ვიჯი რაჯ მატვს ან რისი გაკეთებარ შემეძლო რომ როტა კიდევ დამელოდა. სამწყხაროდ მრჩება, რომ ვაი თუ მათ „შედეგად“ ჩამოყალიბება ვერ შევძლო. ყოველ შემთხვევაში იყოდე, რომ თუ ასე დასრულოდა ჩემი რხოვრება, ყველა ჩემს ნანერს, თუ რაჯ მატვს, დავუტოვებ თელავიჯის მუზეუმს ან ბენ-რვის ინსტიტუტს (ისე კი იყოდე, რომ ჩემი არქივის დიდი ნაწილი, ის რაჯ „ებრაელობას“ არ ეხებოდა, დავუტოვე ქუთაისის არქივს, 95 პაპკა და იქ ჩემი ფონდი შევქმენი, ხოლო ჩემი ნიგნადი ფონდი კი გადავეჯი ქუთაისის მუზეუმს).

რა თქმა უნდა, ჩვენს სამყდამოდ დამშვიდობებზედ ჯერ-
ჯერობით, აღზათ ლაპარაკი არ შეიძლება. ჯერ სიკვდილს
არ ვაპირებ და იმედს არ ვკარგავ, რომ კვლავ შევხ-
ვდებით. მაგრამ მაინც გემშვიდობებით. გიჭოვებ ჩემი მოხ-
სენების ასლებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე
(35-ზე მეტს). თუ კი სიმპოზიუმი ჩატარდება, აღზათ მე
ვერ შევძლებ ჩამოსვლას და ის მაინც გამიკეთეთ, რომ
მონაწილეთა შორის გავრცელოთ, განსაკუთრებით უცხო-
ეთიდან და ისრაელიდან ჩამოსულთა შორის.

მომიკითხე ოჯახი, მომიკითხე ყველა ჩვენი საერთო
ნაწილი.

რაც შეეხება დანაპირებს, ებრაელთა მუზეუმის ირგვლივ
ჩემი ზოგიერთი მოსაზრების შესახებ, მას წალკე ფურ-
ცლოზე გინერ.

მშვიდობით. მაღლობა ყველა და ყველაფრისათვის. ამ
ხუთი თუ ექვსი წლის ჩვენი კონტაქტის შემდეგობით ბევრი
კარგი, სასიამოვნო და კეთილი მოსაგონარი მატებს და შენი
პატივისმცემელი დავრჩები მარად. ვისურვებ, რომ ღმერ-
თმა ჭანმრთელობა და გაძლება მოგვებს დიდხანს, დიდხანს
ჩვენი ერის საკეთილდღეოდ, მის სამსახურად.

მარად შენი პატივისმცემელი დანიელ ხანანაშვილი
15/3-1993

1. პირველ რიგში, მუზეუმის კოლექციის სამუშაო ამო-
წინადად მე შესახება თბილისისა და სხვა ქალაქების არ-
ქივების ფონდებში არსებული ყველა იმ მასალის გამოვ-
ლენა, მოპოვება და კლასიფიკაცია-დამუშავება, რომლებიც
„ებრაელობას“ ეხება. და არა მარტო არქივების. უდიდესი
სამუშაოა ჩასატარებელი დღემდე უკვე პუბლიკაცია ქმნილი
ასეთი სახის საარქივო მასალების თავმოსაყრელად. პერ-
სპექტივაში კარგი იქნება, თუ ჩადებულნი იქნება ასეთი
შრომის შექმნა: საარქივო მასალები (როგორც არქივები-

დან (ესე იგი ჭერჭერობით გამოწყვეტენბელი), ისე უკვე გამოქვეყნებულ-პუბლიკარია ქმნილი) ქართველ ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შესახებ. (კორპუსი). ეს ალბათ რამდენიმე ტომს მოიწავს, მაგრამ იგი იქნება უნიკალური და მეჭად საჭირო შრომა (რა წყდია, რომ ახლა გჭოვებთ, თორემ ამ საქმეში ნამდვილად რომ შემედლო მონანილოების მიღება და დახმარება, რადგან ასეთი რაღაჯის შექმნაზე მე უკვე „შეჭრილი“ ვიყავი).

2. საჩქაროდ არის ჩასატარებელი სავლე სამუშაოები: სულ მალე საქართველოს ებრაელობიდან ალბათ რალარ გარკვეული, მწირე პროცენტი დარჩება და სანამ კიდევ დარჩენილან, მათგან მოსაპოვებელია მუზეუმისათვის საჭირო ეთნოგრაფიული თუ სხვა მასალები.

3. რალკე შრომად შესახება ქართველ ებრაელთა შესახებ უნბოსური (მათ შორის რუსული) ნყროების, წბობების და სხვა ასეთი სახის მასალების თავმოყრა და გამოყემა, დანყებული ბიბლიიდან და იოსებ ფლავიოსიდან, დამთავრებული მე-18 საყყუნის მოგზაყრთა თუ მწერალ-მეყნიერთა შრომებიდან. ასეთი მასალების ნანილი უკვე თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე, მაგრამ რამდენადარ მე ვიყრი, მეჭად დიდი ნანილი ჭერ კიდევ მოელის თარგმნას და პუბლიკარას. ამისათვის საჭირო იქნება სამეყნიერო ძალების (მარტო უყხო ენათა როდნა აქ ზევრს არაფერს მოგყეშს), განსაკყთრებით ისტორიკოს-ფილოლოგიყრ მეყნიერთა სახით, დანიტყრესება და მათი ამ სამუშაოში ჩანბმა.

4. ყველა ამ სამუშაოს ჩასატარებლად, მბოლოდ მუზეუმის ძალები, რა თქმა უნდა, არ იკმარებს. საჭირო გახდება საქართველოს, რუსეთისა და უყხოეთის (მათ შორის ის-

რელის) სამეურნეო ძალებთან დაკავშირება და მათი ამ სამუშაოში ჩართვა.

5. სამუშაო თემებად მესახება:

ა) ქართველ ებრაელთა მეტყველების თავისებურებანი (რ. ენუქაშვილმა უკვე დაიწყო და საჭიროა ამ სამუშაოს გაგრძელება);

ბ) ქართველ ებრაელთა მიერ რელიგიური წიგნების წაკითხვა-გადმოცემის თავისებურებანი;

გ) ქართველ ებრაელთა რელიგიური სიმღერა-საგლოზლების გადმოცემის თავისებურებანი სხვა ქვეყნების შესაბამის სიმღერა-საგლოზლებთან;

დ) ქართველ ებრაელთა სამზარეულო (საჭიროა ამ მხრივ ჭინჭინაშვილისათვის მხარის დაჭერა, ნაქეზება და დახმარება);

ე) ქართველ ებრაელთა რელიგიური წეს-ჩვეულებების, აღსრულება-შესრულების თავისებურებანი სხვა ქვეყნის ებრაელ თემებთან შედარებით;


ვ) საჩქაროდ არის გასაკეთებელი თბილისისა და სხვა ქალაქების სალონავებში დაწყული რელიგიური თუ არარელიგიური, მაგრამ ებრაელ ენაზე დანერგილი წიგნების აღრიცხვა, მათი თბილისის მუზეუმში გადმოტანა და სათანადო ბიბლიოთეკის შექმნა;

ზ) საჭიროა სპერიალისტის მონაცვა სალონავებში დაწყული სეფერთორების შესანახად.



თავი I

ებრაელთა ისტორია,
ქართულ-ებრაული ურთიერთობანი
ქართული უყრნალ-გაზეთების
მიხედვით.



„აზრი“

1908, №1, გვ. 2

კანონპროექტი ებრაელების სასწავლებელში მიღების პროცენტული ნორმების შესახებ.

1908, №4, გვ. 3

სახელმწიფო დუმის სხდომა.

ისელოვიჩი და ფრიდმანი გამოდიან ებრაელთა დაცვით და მოითხოვენ ებრაელთა შეურაცხმყოფელი ორატორების წინააღმდეგ ზომების მიღებას.

1908, №6, გვ. 3

პურიშკევიჩმა შეადგინა ახალი პარტია სახელწოდებით „წმ. მიხაილ მთავარანგელოზის საზოგადოება“.

1908, №25, გვ. 2

ქუთაისში ჩატარდა თათბირი ხანძრით გამონვეული ზარალის თაობაზე.

1908, №26, გვ. 2

ცნობა ქუთაისში ხანძრის გაჩენის შესახებ

1914, №5, გვ. 2

ახალი ამბავი. ებრაელები.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის და შს მინისტრებს, მათდამი დაქვემდებარებულმა დანესებულებებმა იხელმძღვანელონ 1910 წ. 4.06. განმარტებით, რომელიც ებრაელებს – აფთიაქის თანაშემწეებს, დანტისტებს, ფერშლებს, ბებია ქალებს უკრძალავს სავაჭრო მოღვაწეობას.

1914, №9, გვ. 3.

იუშჩინსკის მოკვლის წლისთავზე კიევის მონარქისტები აპირებენ საფლავზე პანაშვიდის გადახდას.

1914, №14, გვ. 3

პასუხისგებაში მისცეს 30 ებრაელი შვილებისთვის ყალბი მეტრიკების შედგენის ბრალდებით, და ამ გზით ბავშვების სასწავლებლებში შეყვანისათვის.

1914, №14, გვ. 3

მონარქისტებმა იუშჩინსკის მოკვლის წლისთავზე პანაშვიდი გადაიხადეს მის საფლავზე.

1914, №16, გვ. 3

კიშინოვში სამმა ახალგაზრდამ ებრაელის სავაჭრო დაარბია. ავრცელებენ ხმებს მოსალოდნელი პოგრომის შესახებ.

1914, №21, გვ. 3

რუსეთის ქრონიკა. ებრაელთა ჯარში განწვევის საკითხი. თავად-აზნაურთა ყრილობის უკანასკნელი მოთხოვნა — ჯარში რიგითებად არ წაიყვანონ ებრაელები სამხედრო წრეებში უარყვეს.

1914, №22, გვ. 1

სიმართლეს გაურბიან. შავრაზმელები „ბეილისის საქმეში“ დამარცხების შემდეგაც განაგრძობენ ებრაელების საწინააღმდეგო აგიტაციას, მოუწოდებენ მათი დარბევისაკენ.

1914, №22, გვ. 1

სოციალ-დემოკრატების შეკითხვამ დუმაში პოგრომების შესახებ შავრაზმელები ააფორიაქა. მათი გაზეთი „ზნამია“ განაგრძობს მოწოდებების ბეჭდვას პოგრომების შესახებ.

1914, №22, გვ. 1

კიევში შავრაზმელებმა ხმა დაარხიეს, რომ ვასილჩენკოს 3 წლის ბავშვი ებრაელებმა წაიყვანესო. გამოირკვა, რომ ბავშვი ვილაც მათხოვარს გაუყვანია ქალაქგარეთ და გაუძარცვავს.

1914, №23, გვ. 3

კიევის პოლიციამ განკარგულება გასცა 7 დღის განმავლობაში გააძევეონ დახურული კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლები.

1914, №24, გვ. 3

სტარო კონსტანტინოვში დააპატიმრეს 4 ებრაელი ვაჭარი სიონისტური პარტიის წევრობის ბრალდებით.

1914, №33, გვ. 3

კიევიდან აძევენ ებრაელებს.

1914, №39, გვ. 2

შაბათს (?-შ. წ.) პალესტინაში სალოცავად გაემგზავრა ებრაელ-

თა რამდენიმე ოჯახი.

1914, №39, გვ. 2

სახელმწიფო დუმაში კამათი ბიუჯეტის შესახებ.
ფრიდმანი: ებრაელები ბიუჯეტს არ დაუდასტურებენ იმ მთავრობას, რომელიც უსპობს კეთილდღეობას და ავინროებს ყოველნაირად.

1914, №45, გვ. 3.

კამათი ებრაელების უფლებების შესახებ.
მაკოტინმა წარმოსთქვა ემოციური სიტყვა ებრაელთა უფლებრივი გათანასწოების შესახებ.

1914, №45, გვ. 3

ბურცევის საბუთების მიხედვით იუშჩინსკის ნამდვილი მკვლევლები არიან შავრაზმელები.

1914, №47, გვ. 4

კრასოვსკის ამერიკაში უნახავს ადელ რავიჩი, რომელსაც მისთვის უთქვამს, რომ თავისი თვალთ ნახა მკვდარი იუშჩინსკი ვერა ჩებერიაკის ოთახში.

1914, №48, გვ. 2

ახალი ამბები.
დიდი ჯიხაიში. ხმა დაირხა ყაჩაღებმა ი. ვაშაკიძის ბავშვები გაიტაცეს. ზოგი ებრაელებს აბრალებდა მათ წაყვანას. მეორე დღეს იპოვეს გზააბნეული ბავშვები ბოგირის ქვეშ შეყუყულები.

1914, №48, გვ. 3

რუსეთის ქრონიკა.
ბურცევის განცხადებამ „ბეილისის საქმესთან“ დაკავშირებით მემარჯვენეები ააფორიაქა.

1914, №51, გვ. 3

განათლების სამინისტროს ცნობით ნელს უმაღლეს სასწავლებლებში არ მიიღებენ ებრაელებს, რადგან გასულ წლებში ნორმაზე მეტი მიუღიათ.

1914, №53, გვ. 2

დ. საჩხერე.
ცხადიაშვილის ბავშვის გვამი, რომელიც ამას წინათ დაიკარგა და ებრაელებს დააბრალებს, რაჭაში უნახავთ. ჩანს ნადირებს დაუგლეჯიათ.

1914, №53, გვ. 2

სახელმწიფო დუმა.

მაკლაკოვი: ბეილისის პროცესის შესახებ ეკამათება მაკლაკოვს.

კერენსკი: მხარს უჭერს მაკლაკოვს ბეილისის პროცესის საკითხში.

ფრიდმანი: ბეილისის პროცესი ებრაელი ხალხის ტრაგედიაა.

მას სჯერა, რომ ადრე თუ გვიან ებრაელები უფლებრივ თანასწორობას მიიღებენ.

1914, №54, გვ. 2

გატაცებული რიჟინაშვილის მამას შანტაჟისტები (გაზეთის ტერმინია — შ. წ.) სთხოვენ გამოსასყიდს — 25 000 მან.

1914, №55, გვ. 2

რიჟინაშვილის მამას გადაუხდია 40 000 მან. და შვილი დაუბრუნეს.

1914, №57, გვ. 3

დეპუტები. ვერა ჩებერიაკის საქმე.

სასამართლო არჩევს ვერა ჩებერიაკის მიერ რედაქტორებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ აღძრულ საქმეს.

1914, №57, გვ. 3-4

„ოდეს. ნოვ“. დაბეჭდილია ცნობები ხერსონის გუბერნიის დაბა ველეგოველის პოლიციის გოროდოვოის ანდრეევის შესახებ, რომელმაც ხმალი იშიშვლა და „დაკა ებრაელებს“ ძახილით დაერია ხალხს.

1914, №59, გვ. 3

ბალუტის მიდამოებიდან კიდევ 40 მოსახლეს აძევებენ.

1914, №63, გვ. 3

25 პეტერბურგელი ვეჟილის საქმე, რომელთაც ბრალდებად ედებათ „ბეილისის საქმის“ გამო რეზოლუციის მიღება და გამოქვეყნება განიხილება 3 ივნისიდან.

1914, №68, გვ. 2

ბაზრის ზედამხედველებმა სანიტარული ნორმების დარღვევისათვის აქტი შეუდგინეს რამდენიმე ებრაელს (ჩამოთვლილია — შ. წ.)

1914, №69, გვ. 3

ფრიდმანი: სამსახურში მიღების დროს ებრაელებს ზღუდავენ.

1914, №70, გვ. 2

სანიტარული წესების დარღვევისთვის ქალაქის სანიტრებმა ოქმი

შეუდგინეს რამდენიმე ებრაელს (ჩამოთვლილია სახელები – შ. ნ.)

1914, №71, გვ. 1

წერილში ლაპარაკია „ბეილისის საქმის“ გამო ნაფიც ვექილთა 84 კაციანი ჯგუფის რეზოლუციაზე, რომელიც გაზეთმა იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ ამბოხებად ჩათვალა. ამის გამო 25 ვექილი დაისაჯა სხვადასხვა ვადით პატიმრობით, რასაც ავტორი უწოდებს „ბეილისის საქმეში“ დამარცხების კომპენსაციას.

1914, №76, გვ. 3

შს მინისტრმა საბჭოში წარადგინა წინადადება გავრცელდეს ებრაელ სასოფლო-სამეურნეო აგენტებზე მხოლოდ შეკვეცილ უფლებათა ნორმად.

1914, №82, გვ. 2

კიევი. სასამართლო პალატამ დაამტკიცა „კიეველიანინის“ რედაქტორის შულგინის განაჩენი, რომელსაც მიესაჯა 3 თვით ციხე ბეილისის შესახებ წერილის დაბეჭდვისათვის.

1914, №82, გვ. 2.

აქ ებრაელთა სინაგოგის სალაროს გამგედ აირჩიეს იუდა მოშეს ძე ფიჩხაძე.

1914, №82, გვ. 2.

ქალაქის გამგეობამ ებრაელთა ყრილობის მიერ არჩეული სასულიერო პირები უკვე დაამტკიცა.

1914, №82, გვ. 2.

ებრაელთა სინაგოგის მასწავლებლად აირჩიეს აბეშა ფიჩხაძე.

1914, №83, გვ. 1.

პოლონელი ნაციონალისტების მიერ გამოცხადებული ბოიკოტი ებრაელთადმი პოლონეთიდან ლიტვასა და ბელორუსიაშიც გადავიდა.

1914, №86, გვ. 3. იხილეთ №82.

1914, №93, გვ. 2.

ებრაელთა უბანში ანტისანიტარია.

„აკაკის თვიური კრებული“

1897, №3, გვ. 17

სიტყვის ბანზედ აგდება(ლაპარაკობს ვაჭრების შესახებ — დ.ხ.) ხშირად ნახავთ, რომ სომეხ ან ურიის ვაჭარს, რომელთაც სა[ლ-კარის გარდა არაფერი გააჩნია, ოც-ოცდაათი დიდი მემამულის გლეხებს ეფარდებენ.

1898, №5, გვ. 36-52

მიმოიხილავს ისტორიულ ჭრილში არმენის, ჰაისტანისა და სომხეთის სახელწოდებებს.

1900, №1, გვ. 65

ქართველთა კერპ-ღმერთებს თურმე მცხეთელი და კარსნელი ებრაელებიც სცემდნენ თაყვანს, განსაკუთრებით კი ოთხიდან ერთს — გაიმს.

„ალი“

1908, №9, გვ. 1

სენაკის მაზრის სოფელ ურიასკარში (ბანძა) გაიხსნა საფოსტო განყოფილება. (ხაზგასმა დ.ხ.).

1908, №16, გვ. 4

15 ნოემბრიდან დაიწება საგანგებო კომისიის თათბირი, რომელიც შეიმუშავებს კანონ-პროექტს ებრაელთა შესახებ.

1908, №22, გვ. 1

დუმის უკანასკნელ სხდომაზე კამათი იყო საჩქაროა თუ არა მემარჯვენეთა შეკითხვის განხილვა მთავრობის იმ განკარგულებაზე, რომელიც შეეხება ებრაელთა საცხოვრებელ.

1908, №23, გვ. 1

რუსეთის სახ. დუმა. მემარჯვენე დეპუტატებმა შეიტანეს შეკითხვა ებრაელთა შესახებ.

„ალიონი“

1908, №2, გვ. 27

„რუსი ხალხის კავშირმა“ ბესარაბიაში ღვინით მოვაჭრე ებრაელებს კონტროლიორი დაუყენა.

„ამირანი“

1908, №2, გვ. 2

წერილი ეხება ოდესის გაზეთების ანტიებრაულ სულისკვეთებას და მიმოიხილავს ერთ-ერთი ოდესის გაზეთის ანტისემიტურ მასალებს.

1908, №5, გვ. 3

მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსმა მოითხოვა ცნობები ებრაელ ჯარისკაცთა რაოდენობის შესახებ ჯარის ნაწილებში.

1908, №9, გვ. 3

ქუთაისის ქრონიკა.
ებრაელთა დახმარების კომიტეტმა ნამესტნიკისგან მიიღო 2000 მან დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად.

1908, №9, გვ. 2-3

ფელეტონი.
რუსთა შორის.
წერილის ავტორი მიხეილ ხანანაშვილი ებრაელთა კოლონიების შესახებ ეკატერინოსლავში, რომელიც მთავრობის დავალებით შეუსწავლია ვინმე გრიგოროსულოს და ადგილობრივ მმართველობაში წარუდგენია თავისი დადებითი აზრი დასკვნის სახით. ადმინისტრაციამ ზემოთ გააგზავნა იგივე დასკვნა ოლონდ დამეტრულად საწინააღმდეგო აზრით - ცუდი დასკვნა. მეორე ნაწილში წერს ოდესის გაზეთების რედაქტორებს შორის ატეხილ აყალ-მაყალზე.

1908, №II, გვ. 3

ახალი ამბავი.
ტფილისი.
თებერვალში ცეცხლისგან დაზარალებულ ებრაელთა დამხ-

მარე კომიტეტმა დაზარალებულთ გაუნაწილა 10000 მან.

1908, №23, გვ. 4

დეპუტატებმა ვოლკოვმა და ნისელოვიჩმა ჩიტის ებრაელები-სგან მიიღეს დეპეშა, რომელშიც სთხოვენ შეაჩერებინონ მათი ჩიტიდან გასახლება.

1908, №26, გვ. 3

ქუთაისის ქრონიკა.
ქალაქის საბჭომ დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად გადასდო 200 მან.

1908, №27, გვ. 4

შსს-მ ადგილებზე დააგზავნა ცირკულიარი, რომელშიც მოუწოდებს გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს მოახლოებული აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ წესრიგის დასამყარებლად.

1908, №44, გვ. 4

პროვოკაცია. ებრაელის ოჯახში მოსამსახურე ქალის პროვოკაციული გამონხდომა სახლის პატრონის წინააღმდეგ, ვითომ მას სისხლის აღება უნდოდა.

1908, №47, გვ. 3

სახელმწიფო სათათბირო.
განიხილავენ სამხედრო მინისტრის კანონპროექტს ჯარში განწვევის შესახებ. იყო ანტიებრაული და ებრაელთა დამცველთა გამოსვლები.

1908, №52, გვ. 4

ოდესლაც მდიდარი და 1905 წლის დარბევის შემდეგ გადატაკებული, ოჯახამონყვეტილი იაკობ შლიონსკის ამბავი, რომელსაც ვილაც ქუჩის უსინდისო ვექილმა კაცის კვლა დააბრალა.

1908, №60, გვ. 4

შავრაზმული გაზეთი „რუსსკოე ზნამია“ მოითხოვს, რომ ებრაელებს აეკრძალოთ პარაკლისების გადახდა რუსეთის ხელმწიფისათვის.

1908, №61, გვ. 2

ქუთაისის ქრონიკა.

12 მაისს პოლიციამ აღმოაჩინა თავის საკუთარ სახლში მოკლული იცკა რიჟინაშვილის ბიძა, რომელიც რამდენიმე ადგილას იყო დაჭრილი დანით.

1908, №62, გვ. 4

რუსეთი.

კრუშევანის წერილი, რომელიც მან დაბეჭდა თავის გაზეთ „დრუგში“ წარმოადგენს პროკლამაციას ებრაელთა დარბევის მოწოდებით.

1908, №62, გვ. 4

ებრაელებს ნება მიეცათ მკურნალობის პერიოდში იცხოვრონ კავკასიის მინერალურ წყლებზე.

1908, №75, გვ. 4

27.05. დაიწყო ბელოსტოკის ებრაელთა პროგრამის საქმის სასამართლო გარჩევა.

1908, №81, გვ. 4

„პოგრომშიკების“ დაუსჯელობა.

შავრაზმელი გაზეთი „რუსსკოე ზნამია“ მოითხოვს ოფიციალურად გამოცხადდეს, რომ პოგრომშიკებს (ებრაელებისა და რევოლუციონერების ამკლებთ) არავითარი სასჯელი არ დაედებათ.

1908, №81, გვ. 3

პატარა ფელეტონი.

შავრაზმელები და ისტორიის ცოდნა.

ფელეტონის ავტორი მიხეილ ხანანაშვილი წერს:

შავრაზმელებს თავიანთ შეკრებაზე ჩვენზე (ებრაელებზე — შ. ნ.) ჰქონიათ ლაპარაკი. მათ ძალიან ვეჯავრებით და შიშობენ, რომ ინოროდცები (მათ შორის ებრაელები — შ. ნ.) კავკასიას ჩამოგვაშორებენო.

1908, №85, გვ. 2

სახელმწიფო სათათბირო.

განიხილავენ საერო განათლების ბიუჯეტს.

ნისელოვიჩი გამოდის ებრაელთა შეზღუდვების წინააღმდეგ განათლების მიღების საკითხებში.

ფრიდმანიც ლაპარაკობს განათლების საკითხებში ებრაელთა შეზღუდვების შესახებ.

1908, №96, გვ. 4

კიევში „რუსი ხალხის კავშირის“ 10 წევრი, რეზინის ჯოხებით შეიარაღებულები „მეფის“ ბაღში ებრაელებს სცემდნენ.

1908, №99, გვ. 4

შს მინისტრის ამხანაგმა კრიჟანოვსკიმ ბრძანა: ეცნობოს ყველა პეტერბურგელ ანტრეპრენიორს, რომ ებრაელ არტისტებსა და მუსიკოსებს ნებართვა მიეცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მათთან ხელშეკრულების დადებამდე უნდა გაითვალისწინონ მათთვის ნებართვის საკითხი.

1908, №109, გვ. 2

ლექსი „ბიბლიურ ჰანგზე“.
ავტორი ა. შ-ლი

1908, №109, გვ. 4

დაბა ცხინვალი.
მოიტაცეს ცხინვალელი მდიდრის კაკა დავარაშვილის 15 წლის ბიჭი, რომელიც შემდეგ გამოეპარა მომტაცებლებს.

1908, №139, გვ. 4

ვიტე ებრაელებზე.
მისი თქმით, იგი ერთადერთი კაცი იყო კაბინეტში, რომელიც მხარს უჭერდა ებრაელებს. და სხვა მისთანანი.

1908, №194, გვ. 4

გაზეთ „გოლოს მოსკვის“ ცნობით 18 ახალგაზრდა ებრაელს მაჰმადიანობა მიუღიათ, რათა უნივერსიტეტში ჩაერიცხათ. ჩარიცხეს.

„ამხანაგი“

1917, №4, გვ. 3

ქრონიკა. ზღვაში ბანაობის დროს დაიღრჩო გიმნაზისტის, მე-7 კლასის მოსწავლე ბორის რობერტი (ტომით ებრაელი).

„ახალი აზრი“

1910, №1, გვ. 1

ახალი ამბები. კომაროვის მოტაცების საქმეზე შეუპყრიათ ებრაელი ბუზიაშვილი.

1910, №3, გვ. 2

დეპეშები. ხოლერის ეპიდემიის გამო აიკრძალა ებრაელთა მოგზაურობა რუსეთიდან სადღესასწაულოდ გალიციაში.

1913, №15, გვ. 3

მთელს მსოფლიოში იმართება საპროტესტო მიტინგები ბეილისის საქმის გამო. განსაკუთრებით აქტიურობენ ინგლისელები, რომლებიც აქვეყნებენ თავიანთ გულისწყრომას ამ საზიზღარი ბრალდების წინააღმდეგ.

1913, №16, გვ. 3

პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსებზე. მათ გაუგზანეს მხარდამჭერი წერილი ბეილისის დამცველებს და უსურვეს გამარჯვება.

1913, №17, გვ.

იუსტიციის სამინისტრომ მოითხოვა ექსპერტად კოსოროტოვის დასკვნა ბეილისის საქმესთან დაკავშირებით.

1913, №17, გვ. 3

ეკატერინოსლავში დაიბეჭდა გაზ. „ორთავიან არნივში“ ებრაელთა პოგრომის მოწოდება.

1913, №17, გვ. 3

ნიუ-იორკის გაზ. „ტრიბუნი“ წერს: კიევის პროცესი გვიჩვენებს, როგორ დაეშვა ცივილიზებული ქვეყანა ბარბაროსობამდე.

1913, №17, გვ. 3

ბეილისის საქმეზე მსჯელობენ გერმანიის რაიხსტაგში; შიშს გამოსთქვამენ ებრაელთა მოსალოდნელი პოგრომების გამო რუსეთში.

1913, №17, გვ. 4

სახალხო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია შეამციროს ებრაელთა მისაღები რაოდენობა უნივერსიტეტებში.

1913, №17, გვ. 4

გაზეთ „ცაიტი“ რედაქტორი მისცეს პასუხისგებაში ბეილისის საქმესთან დაკავშირებით წერილის დაბეჭდვისათვის.

1913, №17, გვ. 4

დეპუტატებმა სოციალ-დემოკრატების ფრაქციიდან შეიტანეს შეკითხვა დუმაში რეპრესიების შესახებ იმ გაზეთების მიმართ, რომლებიც ბეჭდავენ მასალებს ბეილისის საქმის შესახებ.

1913, №17, გვ. 4

ქ. მინსკში 18.10 ვილნის სასამართლომ გაარჩია „ბუნდის“ 4 წევრის საქმე. ორი გაამართლეს, ორს მიუსაჯეს კატორღა.

1913, №18, გვ. 3

ბეილისის საქმის გარშემო.

1913, №18, გვ. 3

კიევი. 19.10. სასამართლოს სხდომის დაწყებამდე კულუარებში საუბრობდნენ სიკორსკი, შმაკოვი და ზამისლოვსკი. მასთან (სიკორსკისთან — შ. წ.) მივიდა ერთი ახალგაზრდა და უთხრა „საზიზღარო“! სიკორსკიმ ჯოხი მოუქნია, მაგრამ ახალგაზრდამ აიცილა.

1913, №18, გვ. 3

ნაფიცი ვექილების აზრით ბეილისის საქმეზე პროკურორი და სამოქალაქო ბრალმდებელი ორ დღეს, ხოლო დამცველები სამ დღეს მოუწოდებინა ლაპარაკსო.

1913, №18, გვ. 3

ვ. ლ. კოროლენკოს აზრი ექსპერტ სიკორსკიზე. პროფესორმა სიკორსკიმ ბევრზე ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

1913, №18, გვ. 3

ბერლინი. იოსებ მელნიკმა — გერმანულ ენაზე რუსულ ნაწარმოებთა გამომცემელმა გაზ. „ბერლინ ტაგებრატში“ გამოაქვეყნა წერილობითი პასუხი ერთი ცნობილი მოღვაწისგან ბეილისის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც აკრიტიკებს ამ პროცესის ორგანიზატორებს და მთავრობას.

1913, №21, გვ. 4

ქუთაისის ვექილთა გაერთიანებამ ბეილისის დამცველებს

გაუგზავნა თანადგომისა და მხარდაჭერის დეპეშა.

1913, №21, გვ. 4

ბერლინი.

გაზ. „მორდ ალე ცაიტმა“ გამოაქვეყნა „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილი ინფორმაცია, თითქოს გერმანიის იმპერატორ ვილჰელმს ეთქვას „რიტუალური საქმე“ მჯერაო; მოგონილი ჭორია.

1913, №21, გვ. 4

პროტესტი კოსოროტოვის წინააღმდეგ.

სტუდენტებმა პროფესორ კოსოროტოვს ობსტრუქცია მოუწყვეს. შესძახოდნენ: „პროვოკატორო, თქვენ არცხვენთ ჩვენს უნივერსიტეტს!“

1913, №22, გვ. 3

გაზეთი აქვეყნებს ბეილისის გამამართლებელ ცნობას.

1913, №23, გვ. 3

ფსიქიატრთა საზოგადოებამ სიკორსკის ექსპერტიზა ბეილისის საქმესთან დაკავშირებით ცრუ მეცნიერებად სცნო.

ხარკოვის გუბერნატორმა განაცხადა, რომ დაიხურება ხარკოვის სამედიცინო საზოგადოება ბეილისის საქმესთან დაკავშირებით საპროტესტო რეზოლუციის დაბეჭდვისათვის.

1913, №23, გვ. 3

კოსოროტოვს კვლავ მოუწყვეს ბუნტი სტუდენტებმა.

1913, №23, გვ. 3

სასულიერო აკადემიაში დიდი ზეიმით შეხვდნენ პროფ. ტროიცკის, რომელმაც სასამართლოში უარყო ებრაელების მიერ რიტუალური მიზნებისთვის სისხლის საჭიროება.

1913, №26, გვ. 1-2

საფრანგეთის პრეზიდენტმა პუანკარემ პირდაპირ ჰკითხა ვიზიტად მყოფ კოკოვცევს ბეილისის საქმის შესახებ.

1913, №26, გვ. 1-2

უკანასკნელი ცნობები. პეტერბურგში გრუზენბერგს დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ სადგურზე.

1913, №26, გვ. 3

კოსოროტოვის ლექციებს მხოლოდ შავრაზმულად განწყობილი

სტუდენტები ესწრებიან.

1913, №27, გვ. 3

მ. გორკის აზრი ბეილისის განთავისუფლების შესახებ:
„ეს განაჩენი დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი უნდა ჩაეჭედოს რუსეთის მეხსიერებაში. რუსმა ხალხმა იცის, სად არის სიმართლე“.

1913, №28, გვ. 2

იუშჩინსკის პანაშვიდი.
კვირას, 3 ნოემბერს, მისიონერების ეკლესიაში (თბილისში – დ. ბ.) გადაიხადეს იუშჩინსკის პანაშვიდი.

1913, №30, გვ. 3

კიევი.
ბეილისმა მიიღო მისალმება ბლონდესისგან, რომელიც 10 წლის წინ გაამართლეს მსგავსი ბრალდებისგან.

1913, №31, გვ.

ბეილისის გარშემო.
ქ. სიზრანის ქუჩებში პროკლამაციებით მოუწოდებენ ებრაელთა პოგრომისაკენ.

1914, №2, გვ. 2

პრესა. ებრაელების დევნა გრძელდება.

1914, №2, გვ. 3

კიევის გუბერნიის დაბა-სოფლებიდან აძევებენ ებრაელებს.

1914, №2, გვ. 2

გაზეთი წერს ებრაელთა უფლებების შეზღუდვის უსამართლოების შესახებ და ასკვნის: „ცხოვრება მოითხოვს ებრაელთა უუფლებობის მოსპობას“.

1914, №3, გვ. 4

ფარჩევში 42 დაპატიმრებულ პოლონელს წარუდგინეს ბრალდება ებრაელთა პოგრომის შესახებ.

1914, №3, გვ. 4

კიევში ებრაელთა უუფლებობის შედეგად ჭკუაზე შეიშალა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ებრაელი გოგონა.

1914, №5, გვ. 3

აგარაკ „მახოვანია გორიდან“ აძევებენ მოაგარაკე ებრაელებს.

1914, №6, გვ. 3

ეკატერინოსლავეში გაზ. „ორთავიანი არწივის“ ნომერი მთლად რიტუალური ჭორებით არის სავსე.

1914, №19, გვ. 3

ებრაელ მოსწავლეთა ბედი.

ომის გამოცხადების შემდეგ ავსტრიის და გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე რუსეთის ებრაელი ახალგაზრდები იძულებულები გახდნენ რუსეთში ჩამოსულიყვნენ. აქ მათ სასწავლებლში კი არა პეტროგრადში ცხოვრების ნებასაც კი არ აძლევდნენ.

პოლონელ შოვინისტებს აღაშფოთებს რუსეთის პროგრესული საზოგადოების წარმომადგენელთა ჩარევა პოლონეთში ებრაელთა შევიწროებული მდგომარეობის გამო. პოლონელი შავრაზმელები ითხოვენ, ნუ ჩაერევით პოლონეთის ებრაელთა საქმეებში, რათა უფრო ადვილად შევძლოთ მათი შევიწროვება და განდევნაო.

1914, №21, გვ. 2 და №41 გვ. 3.

დაბჭედილია თბილისელ და ქუთაისელ ებრაელთა შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ კვირის მაგივრად შაბათს დაისვენონ.

1914, №28, გვ. 2

პოლონელი ნაციონალისტები და ებრაელები.

პოლონეთში ომმა მძიმე მდგომარეობა შექმნა. პოლონელებმა მოქალაქეთა კომიტეტები მოაწყვეს. მათთვის „ინოროდცები“ არასაჭირო ხალხია და ამიტომ თავისი ყურადღების ღირსსაც არ ხდიან. ებრაელები კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი „ინოროდცებშიც“ „ინოროდცები“ ყოფილან.

1914, №44, გვ. 3

ბეილისის საქმის გამოძახილი.

ხარბინში გაზეთმა „ნოვოსტი ჟიზნი“ წერილი გამოაქვეყნა „ბეილისის საქმის“ წლისთავთან დაკავშირებით, რის გამოც დააჯარიმეს 3000 მან-თით.

1914, №45, გვ. 3

პეტროგრადის უნივერსიტეტის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების მინისტრთან პროცენტული ნორმის გარეშე ორი კატეგორიის ებრაელთა მიღების შესახებ, რაზეც უარი მიიღო.

1914, №84, გვ. 2

ხელმწიფე იმპერატორი თბილისში.

29.II. დილის 10 სთ-ზე ხელმწიფემ მიიღო კავკასიის ყველა ეროვნების, მათ შორის ებრაელთა, წარმომადგენლები. მიღება მოხდა სასახლის თეთრ დარბაზში.

1914, №85, გვ. 2

კუსკოვისთვის ერთ პოლონელ ინტელიგენტს უთქვამს წაიყვანეთ ჩვენგან (პოლონეთიდან — შ. ნ.) ებრაელები და ჩვენი ურთიერთობა მათთან გაუმჯობესდებაო.

1914, №87, გვ. 2

სიონისტები პალესტინაში.

ეძებენ ისეთ ადგილებს ებრაელთა დასასახლებლად, რომლებიც დიდი სახელმწიფოების გავლენის გარეშე იმყოფება.

1914, №88, გვ. 3

კიევიდან გააძევეს 1000 სულამდე ებრაელი. აპირებენ კიდევ 5000 ოჯახის (30000) სულის გაძევებას.

1914, №88, გვ. 3

ე. კუსკოვა აღწერს პოლონეთში ებრაელთა შევიწროებულ მდგომარეობას, პოლონელების შოვინისტურ ანტისემიტიზმს, რომელიც მძულვარების პიკს აღწევს.

პოლონელები ამას ხსნიან იმით, რომ ებრაელებმა აავესეს პოლონეთი და ყველგან გაბატონდნენო.

1914, №89, გვ. 3

ებრაელ-პოლონელთა დამოკიდებულება.

ვარშავის მოქალაქეთა ცკ-თან არსებობდა ებრაელთა დახმარების სექცია, რომლის 4 წევრი გამოვიდა იქიდან, რადგანაც ცკ-მა არ დაამტკიცა სექციის მიერ შემუშავებული ებრაელთა დახმარების პროექტი.

1914, №91, გვ. 3

კინალამ პოგრომი მოხდა უმანის მაზრის ერთ სოფელში, სადაც 10 წლის ბავშვი დაიკარგა, რის გამოც ორი ებრაელი დაიჭირეს რიტუალური ბრალდებით. ბავშვი მალე იპოვეს. მან განაცხადა მშობლები მცემდნენ და გავიქეციო სახლიდან.

1915, №137, გვ. 2

აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.

გაზეთი ბექდავს ებრაელი ნონიკაშვილის სიტყვას გამოსვენებაზე.

1915, №116, გვ. 3

პეტროგრადის ცნობილ კადეტებს შეხვედრა ჰქონდათ ებრაელ საზოგადო მოღვაწეებთან. ამ უკანასკნელებმა მოითხოვეს დაისვას საკითხი დუმაში ებრაელთა უფლებებრივად გათანასწორების შესახებ. კადეტების აზრით ახლა ამის დრო არაა, რაზეც ებრაელთა წარმომადგენლები არ დათანხმდნენ.

„ახალი გზა“

1910, №28, გვ. 3

რუსეთი. ებრაელების შუამდგომლობა. ოდესაში ხოლერა და შავი ქირი მძვინვარებს. ებრაელებმა შუამდგომლობა აღძრეს ჰიგიენური საჭმლის მაგივრად 40 კაპიკი მიეცათ. თხოვნა არ დააკმაყოფილეს.

1910, №38, გვ. 4

პროვინცია. აბაშის რაიონის სოფ. ენერში ღამით მოკლეს მესოფლე მენწრილმანე ებრაელი.

„ახალი დროება“

1906, №4, გვ. 12

„სასტიკად დამარცხებული ხაზეინი“.
მუშების გაფიცვა იანკოვსკისა და ბრაუნის საწარმოებში.

1906, №7, გვ. 4

ვლადივოსტოკში მხოლოდ 6 კვირით შეუძლიათ დარჩნენ ის ებრაელები, რომელთაც სათანადო ნებართვა არ აქვთ.

1906, №7, გვ. 7

„ჭეშმარიტი რუსების“ დაუსჯელი პარპაშის შესახებ.

„ახალი ივერია“

1914, №21, გვ. 3

გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილი წერილის შესახებ ებრაელთა გმირობაზე ომში. წერილის ავტორია ვინმე ებრაელი. გაზ. „რეჩს“ უკვირს არა ის, რომ ებრაელები ასე მოიქცნენ, თავდადებით იბრძოდნენ, არამედ ის, რომ „ნოვოე ვრემიამ“ მსგავსი წერილი დაბეჭდა.

1914, №39, გვ. 7-8-II

სათავადაზნაურო ბანკის ცნობა საჯარო ვაჭრობის შესახებ. ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები.

„ახალი კომუნისტი“

1920, №50, გვ. 3

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას ესწრებოდა 41 ებრაელი.

1920, №58, გვ. 3

პოლონელები ენევიან ტერორს (განსაკუთრებით ებრაელთა მიმართ) წითელი არმიის მიერ დატოვებულ ოლქებში.

1920, №65, გვ. 3

შ.ს.ს. განიხილა სიონისტური ორგანიზაციების შუამდგომლობა ებრაელთა პალესტინაში გასვლის შესახებ და ნება დართო.

1920, №67, გვ. 3

პოლონეთის მთავრობამ გადაწყვიტა დაშალოს „ბუნდი“.

1920, №77, გვ. 3

პეტერბურგი. სვიხემიუცში მოხდა ანტისემიტური გამოსვლები ჯარისკაცებისა და მატროსების წინამძღოლობით.

1920, №78, გვ. 2

პოლონეთის სხვადასხვა ქალაქებში მოხდა საშინელი პოგრომები. დაიხოცა მრავალი ებრაელი.

1920, №79, გვ. 2

დღითი-დღე იზრდება ემიგრანტთა რიცხვი პაკესტინაში.

1920, №85, გვ. 2

მანაშეროვმა ოთახები მიაქირავა სურამის ადგილობრივ თვით-

მმართველობას სასადილოსთვის.

1920, №86, გვ. 2

თეთრგვარდიელები საშინლად აწიოკებენ ებრაელებს.

1920, №86, გვ. 3

ბლახოვიჩის ჯარისკაცები მხეცურად მოექცნენ ებრაელ ქალებს.

1920, №89, გვ. 2

ებრაელთა ემიგრაცია პალესტინაში იზრდება.

1920, №93, გვ. 1

„უკანონო კრებისთვის“ ვილნოში დააპატიმრეს „ბუნდის“ წევრი 57 მუშა.

1920, №93, გვ. 1

ინტერნაციონალის გარშემო.

„ფოყალეი ციონ“ იგივე კომუნისტური პარტიაა, აღნიშნავს პალესტინის წარმომადგენელი.

1920, №97, გვ. 2

სიკვდილით დასაჯეს პოლონელი კომუნისტები (ჩამოთვლილია, ძირითადად ებრაელებია).

1920, №97, გვ. 2

ბილკომირზე პოლონელი ჯარების თავდასხმის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ ებრაელები.

1920, №100, გვ. 3

ჩეხეთ-სლოვაკეთში იზრდება ექსცესები ებრაელთა წინააღმდეგ.

1920, №100, გვ. 4

ლიტვის მუშა ქალთა მუშაობა წარმოებს 4 ენაზე, მათ შორის ებრაულზე (აღბათ, იდიშზე — შ. წ.)

1920, №104, გვ. 3

ბუდაპეშტში მოკლულ-დასახიჩრებულია 400-ზე მეტი ებრაელი.

1920, №106 გვ. 3

„პოგრომშიკები“ ზელიგოვსკი — პოგრომი გაგრძელდა 36 საათს.

1920, №107, გვ. 2

უმუშევრობა გერმანიაში.

„პოგრომშიკებმა“ მოკლეს 6 კაცი, 5 ქალი და 14 წლის გოგო გააუპატიურეს, 6 კაცი მძიმედ დაჭრეს. რიგაში მოკლულია 100-

ზე მეტი კაცი – ებრაელები.

1920, №107, გვ. 2

მოზირში მოხდა ებრაელთა პოგრომები.

1920, №107, გვ. 2

ორგემის ბრძანება – აჯანყების შემთხვევაში დახვრიტონ კომუნისტები და ჩამოახრჩონ ებრაელები.

1920, №107, გვ. 2

ებრაელების მდგომარეობა რუმინეთში.
ნაჟენი. რუმინეთის მთავრობა არ ცნობს ებრაელების არავითარ უფლებას.

1920, №107, გვ. 2

გერმანიის სანინალმდეგო მოძრაობის დროს პრაგაში განადგურდა ებრაელთა არქივი ძვირფასი დოკუმენტებით.

1920, №109, გვ. 3

ებრაელთა ემიგრაციის შესახებ პალესტინაში.

1920, №110, გვ. 2

ნაჟენი. ნემოუსკიმ ებრაელთა ცხოვრების შესასწავლად ინსტიტუტი დააარსა.

1920, №112, გვ. 3

დაბა ხოიკინში ბალახოვიჩის ბრბოებმა დახოცეს 100-ზე მეტი ებრაელი, დაჭრილი ძალიან ბევრია, 30 ქალწული გააუპატიურეს.

1920, №115, გვ. 2

ნაჟენი. გაზ. „სვობოდაში“ სავინკოვი ებრაელთა ხოცვა-ჟლეტაში თვით ებრაელებს ადანაშაულებს.

1920, №115, გვ. 2

ვილნოში ჩატარდება ებრაელებისა და პოლონეთის პარტიების ერთობლივი ყრილობა.

1920, №115, გვ. 2

სხვადასხვა ქალაქებიდან ებრაელთა გასვლა საზღვარგარეთ იზრდება. განსაკუთრებით ბევრი ებრაელი მიდის ამერიკაში.

1920, №115, გვ. 4

სადგურ საგარეჯოს უფროსმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა ებრაელი შიმყონ კრიხელი.

1920, №117, გვ. 2

პოლონელებმა შემოიღეს გადასახადი ებრაელთა გასვლაზე ამერიკაში.

1920, №117, გვ. 3

პილსულსკი მივიდა გაზ. „მომენტში“ და მოითხოვა ბალა-ხოვიჩის დაპატიმრება.

1920, №119, გვ. 2

პოლონეთის ახალი კონსტიტუციით ებრაელებს მოქალაქის უფლება ეძლევათ მხოლოდ 21 წლის შემდეგ.

„ახალი საქმე“

1911, №20, გვ. 3

სახელმწიფო დუმა. მიმდინარეობს სავოლოსტო დანესებულებების კანონ-პროექტის განხილვა.

ბელოგუსოვი, პარაგჩიკი — ებრაელები საერთოდ არ იქნენ არჩეული სავოლოსტო (სათემო — შ. წ.) არჩევნებში.

შანგარიოვი — აცხადებს პროტესტს სხვა ეროვნებების შეზღუდვის წინააღმდეგ.

პრედვალინი — ებრაელთა უფლებების შეზღუდვა გამოიწვევს ნაციონალურ შუღლს.

ფრიდმანი — ამ კანონ-პროექტით ებრაელები კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ნისელოვიჩი — ებრაელთა უფლებების შეზღუდვა უაზრობაა.

ბერეზოვსკი, მარკოვ II — მოითხოვენ ებრაელთა შეზღუდვას.

გრაფი უვაროვი — ებრაელთა შეზღუდვა პირდაპირ სამარცხვინოა.

1911, №24, გვ. 2

სახელმწიფო დუმა. იხილება ჯვარში გასანვევი კონტინგენტი.

ზამისლოვსკი, მარკოვ II — ებრაელებს გახრწნილება შეაქვთ ჯვარში.

ნისელოვიჩი — ამტკიცებს ციფრებით ებრაელთა წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას.

1911, №24, გვ. 3

ახალი ამბები. ბაქოს გუბერნიის ს. კუბის ებრაელ მცხოვრებლებს მეფისნაცვალმა არ მისცა ქალაქის ხმოსნების არჩევაში მონაწილეობის უფლება.

1911, №25, გვ. 2

სახელმწიფო დუმა. იხილავს ებრაელი ექსტერნების უფლებების შეზღუდვის საკითხს. როდიჩევის აზრით მთავრობის ასეთი არაგონივრული პოლიტიკა დალუპავს რუსეთში განათლებას.

1911, №26, გვ. 3

ამ დროისთვის თბილისში ცხოვრებულა ებრაელები:
ძირითადი მცხოვრები კაცი — 1822, ქალი — 1661;
დროებითი მცხოვრები კაცი — 3034, ქალი — 2468;
საერთო რიცხვი: კაცი — 4856, ქალი — 4129;
სულ 8985.
დროებით მცხოვრებში ალბათ იგულისხმება ჩამოსული აშქენაზი ებრაელები.

„ახალი სხივი“

1910, №2, გვ. 4

რუსეთი. დუმიდან 15 სხდომაზე დათხოვილი მარკოვ II შეუდგა ლექციების კითხვას. ერთ-ერთი ასეთი ლექცია წაიკითხა რუსთა საკრებულოში: „შეუძლიათ თუ არა ებრაელებს იყვნენ მომრიგებელ მოსამართლედ“.

1910, №17, გვ. 3

ახალი ამბავი. თფილისის ებრაელები. თფილისის პოლიცმანისტერმა განკარგულება გასცა სასწრაფოდ შეამონწმონ თფილისის ებრაელთა ცხოვრების უფლება (ეს ეხება ჩამოსულ აშქენაზ ებრაელებს — შ. ნ.).

1910, №25, გვ. 1

სახელმწიფო დუმა. განიხილება სახალხო განათლების ბიუჯეტი. პურიშკევიჩი მორიგ ანტისემიტურ დეკლარირებას ახდენს. №28-ში, გვ. 1 მოცემულია გაგრძელება.
ნისელოვიჩი ლაპარაკობს ებრაელთა შევინროებაზე განათლების საკითხში.

1910, №42, გვ. 4

რუსეთი. ებრაელთა დევნა. გაერთიანებულ აზნაურთა შეკრებაზე ციმბირელმა დელეგატმა პაშკოვმა წინადადება წამოაყენა, ებრაელებს აეკრძალოთ ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და მათთან თანამშრომლობაცო.

„ახალი ქართლი“

1914, №1, გვ. 2

პოლიციელებმა მოკლეს ყაჩაღი ბითარაშვილი. სხვა ამბებთან ერთად მას ბრალად ედებოდა ცხინვალის ახლოს ურიის გაძარცვა და მოკვლა.

1914, №5, გვ. 2

სასამართლოზე გორში გაირჩა სამ ცხინვალელ ებრაელზე ყაჩაღური თავდასხმის საქმე. გურამიშვილს მიუსაჯეს 6 წლის კატორღა. 2 სხვა გაამართლეს.

1915, №25, გვ. 2

გასულ წელს ა/კავკასიაში ირიცხებოდა 86802 ებრაელი, სულ ითვლებოდა 7593445.

1915, №64, გვ. 3

ეკატერინოსლავში მოვიდა კოვნოდან 3000 ებრაელის ოჯახი.

„ახალი ცხოვრება“

1906, №1, გვ. 3

თავად ურუსოვს მდიდარი მასალა შეუგროვებია ბელოსტოკის პოგრომთან დაკავშირებით.

1906, №2, გვ. 2

ისევ პოგრომის მოლოდინში არიან ებრაელები, რომელთაც კარგად ახსოვთ ბელოსტოკში დატრიალებული უბედურება.

1906, №3, გვ. 4

დააპატიმრეს სოფელ ზაბლუდოვკაში მცხოვრები გლეხი, რომელმაც პროცესიას ესროლა რევოლვერი, რის შემდეგ დაიწყო ებრაელთა პოგრომი. მან აღიარა კარგ საჩუქარს შემპირდნენო.

1906, №4, გვ. 4

სახელმწიფო სათათბიროში მსჯელობდნენ ბელოსტოკის პოგრომის შესახებ. (იგივე თემაზე №5, გვ. 4; №7, გვ. 4; №9, გვ. 4).

1906, №19, გვ. 1

ყორანო, შავო ტიალო! როდის გაძლები ლეშითა?!
კიევის ებრაელთა პოგრომის შესახებ.

„ბათუმის გაზეთი“

1911, №2, გვ. 4

მინისტრთა საბჭომ არ დაამტკიცა ტიუმენის კომიტეტის შუამდგომლობა ებრაელებს მიეცეთ ციმბირის ბაზრობაზე მისვლის ნება.

1911, №10, გვ. 3

ბეილისის საქმის შესახებ.

1911, №13, გვ. 3

ქალაქის საავადმყოფოს ქირურგის ადგილს თხოულობს ექიმი როზენბერგი ხერსონის მაზრის ქ. ბობრინსკიდან.

1911, №13, გვ. 3

თბილისის ხმოსანთა საბჭოში.

მოითხოვეს თბილისის ცენზიანი ებრაელების სია.

1911, №18, გვ. 4

სიონისტთა კონგრესმა ბაზელში მიიღო რეზოლუცია პალესტინასა და სირიაში ებრაელთა გადასახლების შესახებ.

1911, №24, გვ. 3

რუსეთი. ცარიცინელი მღვდლის ილიოდორის ანტისემიტური ბოძვები.

1911, №27, გვ. 2

ბათუმის ელექტრონის სადგურის უფროსი ბ. გერმანი აპირებს ელექტრონის გაიაფებას.

1911, №27, გვ. 3

ვარშავაში გაიფიცნენ რეიხერის ფაბრიკის მუშები.

1911, №31, გვ. 1-2

ავტორი მსჯელობს ებრაელთა უუფლებობაზე რუსეთში და საკითხის გადაწყვეტისათვის მოჰყავს სიონისტების მოსაზრებები პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

1911, №33, გვ. 3

ექიმი ა. ი. ნერია-გრუხევიჩი (კოსტრომის გუბერნია) ითხოვს ქირურგის ადგილს საავადმყოფოში.

1911, №38, გვ. 3

ვილნოდან იტყობინებინან, რომ კარაიმის ხუთმა თემმა ხახმად

აირჩია სპარსეთის ყოფილი შაჰის მაჰმედ ალის მრჩეველი შაჰ-ალი.

1911, №38, გვ. 3

ებრაელებმა ითხოვეს ნებართვა შეადგინონ „პოტეშნი“ როტე-ბი ებრაელი ბავშვებისგან. დართეს ნება.

1911, №40, გვ. 3

ცარიცინში მღვდელი ილიოდორე განაგრძობს აგიტაციას ებრაელთა წინააღმდეგ.

1911, №41, გვ. 3

იუშჩინსკის მკვლელობის შესახებ.

1911, №42, გვ. 2

სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.

1911, №43, გვ. 1

კბილის საექიმო კაბინეტი ე. ი. გერშონისა გადავიდა დუნ-დუკოვ-კორსაკოვის ქ. № 18.

1911, №43, გვ. 1

კბილის ექიმ ლეიხტესის შესახებ.

1911, №43, გვ. 2

გაზეთ „ნოვოე სლოვოს“ ცნობით სტოლიპინი დაჭრა მონათ-ლულმა ებრაელმა ბაგროვმა.

1911, №43, გვ. 4

კიევი. სტოლიპინის დაჭრის შესახებ საქალაქო თეტრში.

1911, №44, გვ. 2

ოსმალეთში სომხების დარბევის შესახებ.
როგორც სომხების, აგრეთვე ებრაელების, პოლონელებისა და სხვა ერების სატკივარი თხოულობს საერთო ახსნას - წერს გაზეთი.

1911, №44, გვ. 3

დანვრილებითი ცნობები სტოლიპინის დაჭრის შესახებ. მკვ-ლელს ყველა ებრაელად ნათლავს, „ნოვოე ვრემიას“ თქმით კი სომეხია.

1911, №45, გვ. 4

სალონიკის ქრისტიანები და ებრაელები გამობენ მთავრობის უმ-ოქმედობას ხოლერასთან დაკავშირებით.

1911, №46, გვ. 3

ებრაელებმა სინაგოგაში პანაშვიდი გადაუხადეს სტოლიპინს.

1911, №46, გვ. 3

სტოლიპინის მკვლელის ბაგროვის შესახებ.

1911, №47, გვ. 2

კვლავ სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.

1911, №47, გვ. 2

კიევის სასამართლომ გადაუწყვიტა სტოლიპინის მკვლელს ჩამოხრჩობა.

1911, №47, გვ. 4

ოდესელი მონარქისტები უარყოფენ თითქოს მათ უნდოდათ ებრაელთა დარბევა.

1911, №48, გვ. 3

კვლავ სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.

1911, №49, გვ. 2

ეროვნული საკითხი დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ერებში ხელმოუწერელია.

1911, №49, გვ. 2

კვლავ სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.

1911, №49, გვ. 2

სავაჭრო სახლის პატრონებს ბერტმანსა და კარპოვსკის სურთ საბირჟო კომიტეტის წევრობა.

1911, №49, გვ. 4

პეტერბურგი. რუსეთის ავიაციაში ბევრი ებრაელი მფრინავია.

1911, №50, გვ. 2

კვლავ სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.

სტოლიპინის ძეგლის სამშენებლო კომიტეტმა დაადგინა არ მიიღოს შეწირულობა ებრაელებისაგან.

1911, №50, გვ. 3

კავკასიის ებრაელებს ღვინის გაყიდვის უფლება აქვთ მხოლოდ თავიანთ საზოგადოებაში.

1911, №51, გვ. 2

ახალი პრემიერის ვ. ნ. კოკოვცევის პროგრამით ებრაელებს მიეცემათ გარკვეული უფლებები, გაუადვილდებათ სასწავლებლებში შესვლა.

1911, №51, გვ. 3

სტოლიპინის მკვლელის ბაგროვის მშობლები თვლიან, რომ მათი შვილი ვილაცამ აიძულა ჩაედინა მკვლელობა.

1911, №52, გვ. 3

სტოლიპინის მკვლელობის შესახებ.
მკვლელი ბაგროვის ჩამოხრჩობის დეტალები.

1911, №53, გვ. 3

ბურცევის რევიზია დამცველ განყ-ში.
ეხება აგრეთვე ბროდსკის მიერ მოწყობილ მაქინაციებს.

1911, №55, გვ. 2

ტრიპოლში მცხოვრებთა ძირითადი მასაა ბერბერები და ებრაელები.

1911, №55, გვ. 3

ვარშავის განაპირა უბნებში მოხდა შეტაკება ებრაელებსა და მუშებს შორის.

1911, №56, გვ. 3

ოდესაში სამართალში მისცეს 40 ებრაელი ვექილის თანაშემწე, რადგანაც ქრისტიანული სახელები რქმევიათ.

1911, №56, გვ. 3

კიევის ადმინისტრაციამ აკრძალა ბაგროვს უწოდონ ქრისტიანული სახელი „დიმიტრი“.

1911, №57, გვ. 3

დაჭრილმა სტოლოპინმა საავადმყოფოში მოითხოვა ბაგროვის ნახვა.

1911, №58, გვ. 3

მემარჯვენე ორგანიზაციები წერილობით ითხოვენ ებრაელთა უფლებების შეზღუდვას.

1911, №58, გვ. 3

დეპუტები. მოსკოვში პოლიციამ აღმოაჩინა ბოროტგანმზრახველთა ორგანიზაცია, სოციალისტები, რომლის წევრთა უმრავ-

ლესობა თურმე ებრაელები ყოფილან.

1911, №59, გვ. 2

გაზეთი იძლევა იმ ჩამონათვალს ებრაელთა უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რასაც ითხოვენ მემარჯვენიები.

1911, №60, გვ. 3

დუმის დეპუტატის პურიშკევიჩის მამამ უჩივლა მატარებლის კონდუქტორს, რომელსაც ებრაელის ქალი მასთან ერთად ერთ კუპეში მოუთავსებია.

1911, №60, გვ. 3

ფერგანაში გავრცელდა ხმა, თითქოს ებრაელებმა სარტის (? – შ. ნ.) ბავშვი გაიტაცეს, რის გამოც მოხდა არეულობა.

1911, №61, გვ. 3

როტმილდმა თავისი ფირმა ბათუმში გადასცა რა ნობელს, ბევრი მუშა უმუშევარი დარჩა.

1911, №63, გვ. 3

სენატის განმარტებით „ბინადრობის ზონის“ გარეთ ცხოვრების უფლება აქვთ მხოლოდ განათლების დიპლომის მქონე ებრაელებს.

1911, №67, გვ. 3

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ შინაური უთანხმოების გამო ებრაელები გადიან „ერთობა და პროგრესის“ კომიტეტიდან.

1911, №68, გვ. 3

სუხომლინოვი დუმაში აყენებს საკითხს, რომ ებრაელები არ გაიწვიონ ჯარში.

1911, №74, გვ. 2

ა. სტოლიპინი ებრაელებზე წერს ღვარძლიან ანტისემიტური ხასიათის წერილს, რამაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ესაა პრემიერ სტოლიპინის ძმა.

1911, №80, გვ. 2

რომის რაბინი სიხარულს გამოხატავს იტალიელების მიერ ტრიპოლის დაპყრობის გამო.

1911, №82, გვ. 2

პატარა ფელეტონი.

გაუგებრობა.

(წერილი ვ-აზოვისა „რეჩი“)

წერილი-დიალოგი ეხება რევოლუციისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ანტისემიტ არისტრახოს აზრით ყველა რევოლუციის სულისჩამდგმელები ურიები არიან.

1911, №84, გვ. 2

ზამისლოვსკი ოქტომბრისტებს მლიქვნელებს უწოდებს, რადგან ისინი ორი წელიწადია აფუჩეჩებენ ებრაელთა საკითხს.

1911, №86, გვ. 3

ოდესის სასამართლომ ქრისტიანული სახელების ალებისათვის ებრაელები დააჯარიმა 10-52 მანეთამდე.

1911, №91, გვ. 3

დუმის დეპუტატი კრუპინსკი ითხოვს ებრაელთა უფლებების გაფართოებას ფინეთში.

როდიშჩევის აზრით ხალხი, რომელიც სათათბიროს ხელმძღვანელად თვლის თავს, პატრიოტიზმად მიიჩნევს ებრაელთა ლანძღვა-გინებას.

1911, №95, გვ.

მემარჯვენეები დუმის ტრიბუნას ებრაელთა პროგრამების სააგიტაციოდ იყენებენ იუშჩინსკის მკვლელობის გამო („ბეილისის საქმე“).

1911, №95, გვ. 2

იუშჩინსკის მკვლელობის გამო აპატიმრებენ მის ნათესავენს, მემარჯვენეებს დუმაში ეს არ მოსწონთ.

1911, №97, გვ. 3

„აქნობამდე ხორბლით ვაჭრობა რუსეთში ებრაელთა ხელში ყოფილა“.

1911, №98, გვ. 3

ოლგა ალენშტაინს თავისი შვილის დახრჩობის გამო ექვსი თვე ციხე მიუსაჯეს.

1911, №102, გვ. 4

გარდაიცვალა გუსტავ როტშილდი.

1911, №103, გვ. 3

დუმაში გამოსული შსმ თვლის, რომ ბაგროვი პროვოკატორი კი

არა, მოლაღატე იყო.

1911, №104, გვ. 2

წერილი ეხება ქართველ ნაციონალისტებს – დუმის წევრებს, რომლებმაც წინააღმდეგ არ მისცეს ხმა ოქტომბრისტიებისა და მემარჯვენეების მიერ დაყენებული საკითხის დაჩქარებული წესით განხილვას. შეკითხვა ეხებოდა იუშჩინსკის მკვლელობას და ებრაელებს.

1911, №108, გვ. 3

სახელმწიფო დუმა.

მარკოვ II-ს მიაჩნია, რომ სანამ ებრაელებს არ განდევნიან სახელმწიფოს ორგანიზაციებიდან, რევოლუციას ბოლო არ მოეღება.

გეგეჭკორი – (მარკოვის უზრდელ გამოსვლაზე) სჯობს გაჩუმდე!

პურიშკევიჩი – უწმანურ სიტყვებს ხმარობს გეგეჭკორის მიმართ.

1911, №107, გვ. 1

ბურშტეინის ევროპული ტანსაცმლის მაღაზია შერემეტიევისა და ასათიანის ქუჩების კუთხეში.

1911, №109, გვ. 2

წერილი ეხება პოლონეთში მცხოვრები ებრაელებისათვის პოლონელებზე ნაკლები საარჩევნო უფლებების მიცემას. ქართველი დეპუტატები თავს იკავებენ კენჭის ყრის დროს, რაც გაზეთის სარკასტულ შეკითხვას იწვევს.

1911, №112, გვ. 2

გაზეთს მოჰყავს გაზ. „კოლხიდის“ პუბლიკაციიდან ნანყვეტი: „კოლოს“ (პოლონური პარტია – შ. წ.) იდეოლოგები მეტის-მეტი შოვინისტები გამოდგნენ და მოითხოვენ ებრაელების უფლებების შეზღუდვას, რათა პოლონეთი გადაგვარებისაგან გადავარჩინოთ“.

1911, №116, გვ. 2

მარკოვ II მოითხოვს დუმაში, რომ ებრაელები სამხედრო სამსახურში არ მიიღონ.

1912, №7, გვ. 2

პოლონეთში შემოაქვთ თვითმმართველობა, რაც წერილის ავტორის აზრით სრულიად გაუგებარია. „მაგრამ თუ მიიღებთ სახეში, რომ დღეს უდიდეს საკითხს და უმწვავეს საგანს შეადგენს ებრაელთა ყოფა-ცხოვრება რუსეთში, თუ გაიხსენებთ, რომ

დამოკიდებულება ებრაელთა და პოლონელთა შორის დღითიდღე მწვავდება, თქვენ ადვილად მიხვდებით, თუ რატომ გამოატყვერინეს ასე მოულოდნელათ პოლონეთის ქალაქის თვითმმართველობა“.

1912, №10, გვ. 2

დამნაშავეებს დაიცავენ... გრიზენბერგი და... ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

1912, №12, გვ. 2

1911 წ. განმავლობაში ქალაქის ლომბარდში დაუგირავებია 171 ებრაელს.

1912, №12, გვ. 3

რუსეთი. ვაჭარ ებრაელებს უფლებებს უმცირებენ.

1912, №17, გვ. 3

ასეთი კანონით, ვაჭარ ებრაელს, რომელიც „ბინადრობის ზონის“ გარეთ ივაჭრებს, ან ისეთ საქონელს გაყიდის, რაც ეკრძალებათ, გადაასახლებენ და მის ქონებას კონფისკაციას უზამენ.

1912, №17, გვ. 3

ბაგროვის მიერ სტოლიპინის მოკვლის დეტალების შესახებ.

1912, №22, გვ. 3

კოზლოვის კლუბში დაადგინეს, რომ ებრაელები არ მიიღონ კლუბის წევრად.

1912, №24, გვ. 2

უცხო ერებმა (ე. ი. არარუსებმა — შ. წ.) სამშობლო ენაზე უნდა ისწავლონ პირველი და მეორე, აგრეთვე ბოლო ორი კლასი. ებრაელები არ შედიან მათ რიცხვში, რადგან სამშობლო ენა არ აქვთ.

1912, №25, გვ. 2

ზამისლოვსკი მოითხოვს სასწრაფოდ განიხილონ კიეველი ებრაელი ვაჭრებისთვის „პირველი გილდის ვაჭრის“ მონაწილის გაცემის ფაქტი.

1912, №28, გვ. 2

ზამისლოვსკი კიევში მოვაჭრე ებრაელებსაც და ბანკის მსახურთაც აფერისტებსა და გათახსირებულ ხალხს უწოდებს და

მოითხოვს კიევიდან ებრაელების გაძევებას.

1912, №28, გვ. 3

ოდესის ებრაელთა უმეტესობა ვერ მიიღებს მონაწილეობას IV დუმის არჩევნებში.

1912, №30, გვ. 3

ლვოვში ჩატარდა რუს, პოლონელ და ებრაელ სოციალ-დემოკრატიების დემონსტრაცია საარჩევნო რეფორმის მოთხოვნით.

1912, №31, გვ. 4

იუშჩინსკის საქმესთან დაკავშირებით სპეციალურმა გამომძიებელმა დააპატიმრა წინათ დათხოვნილი სამძებრო პოლიციის უფროსი მაშჩუკი.

1912, №32, გვ. 2

საგუბერნიო სამმართველომ შეატყობინა ნიჟნი ნოვგოროდის საბაზრო გამგეობას ებრაელთა უფლებების შესახებ სენატის გადაწყვეტილების მიღებამდე.

1912, №32, გვ. 2

სენატის ანტიებრაული გადაწყვეტილების შესახებ.

1912, №32, გვ. 2

ლოდი. გუშტადტის სტამბაში ნებედაურთველად დაბეჭდილი ებრაელთა ფურცლები ნახეს.

1912, №33, გვ. 3

მასწავლებელ იგლიცკის დასაფლავების ხარჯები ებრაელთა საზოგადოებამ გაიღო.

1912, №33, გვ. 3

პოლიცია აპირებს ებრაელთა გასახლებას ტაშკენტიდან.

1912, №33, გვ. 3

ბეილისის დამცველმა ითხოვა 100 მონმის გამოძახების უფლება. კოროლენკოს უნდოდა ბეილისის დამცველობა, მაგრამ რედაქციის საქმეების გამო ვერ მოახერხა.

1912, №34, გვ. 3

ლელებაუერი (რეიხსტაგის დეპუტატი — შ. ნ.) მოუწოდებს მხარი დაუჭირონ მის მიერ გამოცხადებულ პროტესტს რუსეთის წინააღმდეგ იქ ებრაელთა მდგომარეობის გამო.

1912, №35, გვ. 2

თეირანში სიკვდილით დასაჯეს ებრაელი, სომეხი და ორი მაჰ-მადიანი თავდასხმის გამო.

1912, №35, გვ. 2

„რუსი ხალხის კავშირის“ ყრილობის დღის წესრიგში უნდოდათ შეეტანათ ებრაელებისა და განაპირა ადგილების საკითხები, რაზეც შსს არ დათანხმდა. ყრილობა გადაიდო.

1912, №38, გვ. 3

ჟიროვიცის მონასტერში ეპისკოპოსმა გერმოგენმა იქადაგა გლეხობის წინაშე და აუგად მოიხსენია უღმერთო იე-რარქები, ებრაელები და ერეტიკოსები.

1912, №39, გვ. 3

ოქტომბრისტები და ნაციონალისტები თავიანთ მიტინგზე მოითხოვენ, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეშევრდომ ებრაელებს არ მიეცეთ რუსეთში შემოსვლის უფლება.

1912, №42, გვ. 2

იუშჩინსკის საქმის გარჩევაზე მოიწვიეს ფსიქიატრები.

1912, №42, გვ. 2

ებრაელის კანტორაში დააკავეს პროვოკატორი რუსის ქალი, რომელიც ბავშვის ყიდვას სთავაზობდა.

1912, №45, გვ. 3

პეტერბურგი. ნაციონალისტთა დახურულ სხდომაზე დაადგინეს: 1) ებრაელთა უფლებები არასოდეს არ იქნას გაფართოებული და ა. შ.

1912, №46, გვ. 3

სარატოვი. სამხედრო საოლქო სასამართლომ ურალის პოლიც-მაისტერი დაითხოვა სამსახურიდან და 3 წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა ორი ებრაელის განზრახ მკვლელობის გამო.

1912, №46, გვ. 3

როტმილდი ნებას ითხოვს ოსმალეთში ებრაელთა ბანკის დაარსებაზე 500 მლნ ფონდით.

1912, №47, გვ. 2

რუსეთმა მოსთხოვა ოსმალეთს ბეირუთში მოკლული რუსეთის

ებრაელის ოჯახის დაკმაყოფილება.

1912, №50, გვ. 2

ნაფიც ვექილთა თანაშემწე ებრაელების საკითხი გაირკვევა სენატში 12 მარტს.

1912, №50, გვ. 3

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი კოგანი აპირებს ბათუმში ლექციის წაკითხვას.

1912, №50, გვ. 3

პურიშკევიჩი დუმაში ავრცელებს მის მიერ გამოცემულ ანტი-სემიტური ხასიათის ბარათებს იუშინსკის საქმესთან დაკავშირებით. ამის გამო დუმის ზოგიერთი წევრი გამოთქვამს უკმაყოფილებას.

1912, №50, გვ. 3

„ვილენცის“ (ალბათ გაზეთია — შ. წ.). დვინსკში დაუჭერიათ 120 ებრაელი, რომლებიც სინაგოგაში დარჩენილან ლოცვის შემდეგ და ბჭობდნენ დუმის არჩევნების შესახებ.

1912, №50, გვ. 4

ებრაელების გაზეთებმა ტაპტის სიტყვა რუსეთიდან ემიგრანტი ებრაელების შესახებ მიიჩნიეს იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ტრადიცია დაარღვიეს და შაბათს დაბეჭდეს.

1912, №51, გვ. 2

„ადამიანის უფლებათა ლიგის“ თავმჯდომარე პრესანსე სთხოვს კოკოვცევს რაპოპორტის საქმის ხელმეორედ განხილვას, რადგანაც იგი მიაჩნია უდანაშაულოდ ჟელტონოვსკის მკვლელობაში.

1912, №52, გვ. 3

ქუთაისი. ჯუმათიდან იწერებიან, რომ ავაზაკები თავს დაესხნენ მენვრილმანე ურიებს და დააყაჩაღეს.

1912, №54, გვ. 2

„გაერთიანებული მრეწველების“ პარტიას წარუდგენია პროტესტი ვაჭრობის მინისტრ ტიმოშევისთვის ებრაელთა ახალი შევიწროების გამო.

1912, №54, გვ. 3

ბ-ნ „ულმობელს“ წერილის გამო.
(იხ. „კოლხიდა“ №199).

საპასუხო წერილის ავტორი უმტკიცებს, რომ საქ-ში იყო „პოგრომი“ და მაგალითად მოყავს „სარა მოდებადის“ საქმის (1895 წ.) თანმხლები პოგრომული მოვლენები. ასევე იცავს დეპ. გეგ-ჭკორს უმართებულო კრიტიკისგან „ულმობელის“ მხრივ.

1912, №56, გვ. 2

9 მარტს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი კოგანი „რკინის თეატრში“ წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ქალთა საკითხი“.

1912, №57, გვ. 3

„თუ ვინმეს სურს, რომ თავი მოაწონოს დუმაში გაბატონებულ უმრავლესობას უნდა იწყოს „შეჭმა ურიასი“.

1912, №58, გვ. 2

ლიძავაში ებრაელები არ დაუშვეს უძრავ ქონებათა საჯარო ვაჭრობაზე.

1912, №58, გვ. 2

ბათუმის შემდეგ კოგანი წაიკითხავს ლექციას სოხუმში.

1912, №58, გვ. 2

ობრაზცოვი (სახელმწიფო დუმაში) ამბობს: უნივერსიტეტში არეულობა ებრაელებმა და კადეტებმა შეიტანეს.

1912, №59, გვ. 3

ლოზანაში (შვეიცარია) გაიმართა მიტინგი ბეილისის დასაცავად.

1912, №61, გვ. 2

სახელმწიფო დუმაში კადეტებმა შეიტანეს წინადადება სამხედრო სამსახურზე უარის მთქმელი ებრაული ოჯახის 300 მანით დაჯარიმების გაუქმების შესახებ. წინადადება არ გავიდა.

1912, №66, გვ. 2

დაშნაკ ცუტუნის საქმეზე სასამართლოში გრუზენბერგი იცავდა ზავრიევს.

1912, №68, გვ. 2

იუშჩინსკის საქმის გამო კიევში ძლიერდება ებრაელთა დარბევის აგიტაცია.

1912, №70, გვ. 4

ეპისკოპოს ალექსის განკარგულებით ცარიცინის ეკლესიის

კედლიდან ჩამოსხნეს ილიოდორეს მიერ მიჭედებული ხის დამბაჩა, რომლის ქვემოთ ეწერა: „მოსკოვში ეს დამბაჩა სამჯერ დავახალე ებრაელ ქალს“.

1912, №71, გვ. 1

პოლიციის დეპარტამენტმა გააგზავნა ცირკულიარი იმის შესახებ, რომ სენატის ახალ მითითებამდე ებრაელებს მიეცეს უვადო ბილეთები, როგორც ადრე ჰქონდათ.

1912, №80, გვ. 2

იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით იუშჩინსკის საქმე გაირჩევა 17 მაისს.

1912, №82, გვ. 2

პოლონური პარტია „კოლო“ გუჩკოვ-პურიშკევიჩს უდგანან გვერდში ებრაელთა საკითხში.

1912, №83, გვ. 1

ბეილისს დაიცავენ კარახჩევსკი, გრუზენბერგი და ბობარიშჩევ-პუშკიდი II.

1912, №83, გვ. 4

ტანჟერი. შუანიე მივიდა ვეცში (მაროკო). როგორც ამბობენ მოუკლავთ 100 ებრაელი, მრავალი დაჭრილია. ებრაელები უდიდეს გაჭირვებას განიცდიან.

1912, №84, გვ. 3

„სოტიეტეს სავანტეს“ დარბაზში პარიზში გაიმართა დიდი მიტინგი, ბეილისის დასაცავად წაიკითხეს მაქსიმ გორკის წერილი ბეილისის დასაცავად.

1912, №84, გვ. 3

„იუშჩინსკის საქმის“ განხილვა გადაიდო შემოდგომამდე.

1912, №85, გვ. 1

კიევის 200 საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა, ექიმმა და ვექილმა გამოაქვეყნეს წერილი რიტუალური ბრალდებების წინააღმდეგ.

1912, №87, გვ. 3

„იუშჩინსკის საქმესთან“ დაკავშირებით.

1912, №87, გვ. 3

ვეცში (მაროკო) დაარბიეს ებრაელები.

1912, №88, გვ. 1

ნიჟეგოროდის მერმა გადაასახლა საარჩევნო ცენზის მქონე ებრაელები.

1912, №89, გვ. 2

კვლავ სტოლიპინის მკვლელ ბაგროვის შესახებ.

1912, №90, გვ. 2

პოლკოვნიკი იგნატევიჩი — სტოლიპინის მკვლელობის თანამონაწილე მიიმალა.

1912, №92, გვ. 3

მაროკოში აჯანყებამ ბევრი ხალხი შეინირა, მათ შორის ებრაელებიც.

1912, №97, გვ. 3

ლონდონში გამოქვეყნდა „რიტუალური ბრალდების“ სანი-ნაალმდეგო წერილი მრავალი ცნობილი პირების ხელმოწერით.

1912, №97, გვ. 3

არაყ-ლიქიორის ქარხანა გ. ა. დანიელოვისა ბათუმში. დუნ-დუკოვ-კორსაკოვის ქ. 38.

1912, №102, გვ. 2

დანიელოვის სახლიდან მოიპარეს ორი კასრი სხვა ნივთები.

1912, №102, გვ. 3

ბრიცას ქაში აღმოაჩინეს იდა როზენფელდის გვამი.

1912, №104, გვ. 3

სახელმწიფო დუმაში ებრაელ დეპუტატს ზამისლოვსკი და სხვა მემარჯვენეები უყვირიან „ურია“. შეიქნა არეულობა. სხდომის თავმჯდომარე გაიქცა.

1912, №105, გვ. 2

დეპუტატი მენდოროვი — დამნაშავეები დღევანდელი მდგომარეობის გამო ყველა ჩვენ ვართ, თქვენ კი თავს იძვრენთ და ყველაფერს ებრაელებს აბრალებთ.

1912, №106, გვ. 3

ებრაელ პროვიზორებს რუსეთის ყველა ქალაქში ცხოვრების ნება დაერთო.

1912, №108, გვ. 2

დუმაში განიხილავენ კერძო სასწავლებლების შესახებ კანონ-

პროექტს. მარკოვ-II-ს მიაჩნია, რომ ეს პროექტი ურიებისთვისაა სასარგებლო.

1912, №III, გვ. 2

დუმაში განიხილავენ სასამართლოს გარდაქმნის კანონ-პროექტს. ნისელოვიჩი - კანონ-პროექტი ებრაელებს ავინროებს.

1912, №III, გვ. 3

„იუშჩინსკის საქმის“ მსვლელობის შესახებ.

1912, №III, გვ. 3

რუსეთის მონარქისტების მეხუთე კრებაზე ძირითადად ანტი-ებრაული გამოსვლები იყო.

1912, №III, გვ. 2

ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი (ეროვნებით ებრაელი — შ. ნ.) მთავრობამ რუსეთში არ შეუშვა.

1912, №III, გვ. 3

ებრაელ ექიმებს ნება დართეს ორი თვით სამუშაოდ დარჩნენ ქ. სლავიანსკაიაში.

1912, №III, გვ. 2

ოცდამეთერთმეტე მუხლით მოსამართლეები ვერ იქნებიან ებრაელები.

1912, №III, გვ. 1

კიევში შეადგინეს მოწმეთა სია „იუშჩინსკის საქმესთან“ დაკავშირებით.

1912, №III, გვ. 2

ებრაელებს არ შეუძლიათ შეიძინონ ტერიტორიები ნიჟეგოროდში იარმუკის ახლოს.

1912, №III, გვ. 2

ვაჭრობისა და მრეწველთა ყრილობის მონაწილეებმა მთავრობის შესაბამის მინისტრებს გაუგზავნეს წერილი ებრაელებისთვის სოფლად ვაჭრობის აკრძალვის გამო.

1912, №III, გვ. 2

დუმის კომისიას დაევალა ებრაელთა შესახებ საკანონმდებლო მოსაზრებების თაობაზე მოხსენების წარდგენა

1912, №119, გვ. 2

განიხილავენ კანონს პირუტყვის დაცვაზე.
ნისელოვიჩი: გულისწყრომას გამოთქვამს მათ წინააღმდეგ,
ვინც რიტუალობას სწამებს ებრაელებს.

1912, №119, გვ. 3

„იუშჩინსკის საქმის“ ირგვლივ.

1912, №123, გვ. 1

იუშჩინსკის მოუკლავთ ვილაც ქურდებს ჯაშუშობაში ეჭვის გამო.

1912, №123, გვ. 3

რაფიელ ჩორნი სტოლიპინის მკვლელობის შემდეგ დაიჭირეს
და მიუსაჯეს 6 წლით კატორღა.

1912, №123, გვ. 3

კიევის საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ აღძრული საკითხი
მოსწავლე ებრაელების თავისუფალი ცხოვრების შესახებ
მუსიკალურ, დრამატულ და სხვა სკოლებში უარყოფითად
გადაწყდა.

1912, №124, გვ. 2

იუშჩინსკის მოკვლის ცნობას ქურდების მიერ ვეჭილები მარ-
თლად თვლიან და ითხოვენ გამოძიებას ამ მიმართულებით.

1912, №124, გვ. 3

დუმაში განიხილავენ „იუშჩინსკის საქმეს“.

1912, №125, გვ. 1

„იუშჩინსკის საქმის“ ირგვლივ.

1912, №125, გვ. 1

ებრაელებს ნება დართეს დარჩნენ ნიჟეგოროდის იარმუკაზე.

1912, №126, გვ. 2

თავდასხმა ქუთაისელ ვაჭარ ელიგულაშვილზე მისი ვაჟის მოტ-
აცების მიზნით.

1912, №126, გვ. 3

ვრცელი ინფორმაცია იუშჩინსკის მოკვლის შესახებ.

1912, №127, გვ. 1

„იუშჩინსკის საქმის“ შესახებ.

1912, №127, გვ. 2

დუმაში მიიღეს კანონი უნივერსიტეტში მინათა მონყობის სტუდენტებისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. ებრაელი სტუდენტები ასეთ სტიპენდიას ვერ მიიღებენ ამ კანონის მიხედვით.

1912, №127, გვ. 3

ბეილისი გირაოს ქვეშ გათავისუფლებას ითხოვს.

1912, №127, გვ. 3

ოდესაში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნაფიცი ვეჟილი ებრაელი მ. გ. მორგულისი.

1912, №130, გვ. 3

კამათი დუმაში – განიხილონ თუ არა „იუშჩინსკის საქმე“.

1912, №131, გვ. 3

დუმაში დაადგინეს, რომ ერთ-ერთი კურიიდან სახელმწიფო დუმის დეპუტატად ებრაელთაგან გაიყვანონ 1 კაცი (ჩამოთვლილია 4 კანდიდატურა).

1912, №131, გვ. 3

„იუშჩინსკის საქმის“ ირგვლივ.
დეპუტები. კიევი უმანის მაზრის გლეხი დააყარა. ყარაღა-გან დაიჭირეს 2 ებრაელი.

1912, №132, გვ. 3

კიევიდან ასახლებენ იმ ებრაელებს, ვისაც აქ ცხოვრების უფლება არ აქვთ.

1912, №133, გვ. 2

კიევის ვიცე-გუბერნატორმა დაიბარა პროგრესული გაზეთების რედაქტორები და გააფრთხილა ფრთხილად მოიქცნენ „იუშჩინსკის საქმის“ შესახებ პუბლიკაციის დროს, თორემ ჯარიმა არ აგცდებათ.

1912, №135, გვ. 1

„იუშჩინსკის საქმის“ შესახებ.

1912, №135, გვ.

სენატის განმარტება იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე: ებრაელები, რომლებიც ერთ ადგილზე ცხოვრების პირობითი უფლებით სარგებლობენ, არ აქვთ მეოთხე დუმის არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

1912, №135, გვ. 3

ნოვონიკოლავესკიდან ასახლებენ ებრაელებს.

1912, №136, გვ. 2

მოსკოვიდან ასახლებენ მუსიკალური სკოლების მოსწავლე ებრაელებს.

1912, №136, გვ. 2

სენატის განკარგულებით საარჩევნო უფლებას 19580 ებრაელი ჰკარგავს.

1912, №137, გვ. 2

ვენაში სიონისტთა ყრილობაზე იხილავენ ალკოლეში (პორტუგალია) ებრაელთა ემიგრაციას.

1912, №138, გვ. 1

ებრაელთა უფლებობის შესახებ არჩევნებში.

1912, №138, გვ. 2

სომხეთისა და საბერძნეთის ეგსარხოსებმა, აგრეთვე რაბინმა პროტესტი განაცხადეს არამუსულმანების 45 წლამდე ასაკის სამხედრო სამსახურში განწვევის კანონის შესახებ.

1912, №138, გვ. 3

ოდესაში უნდა გამართულიყო ებრაელ მასწავლებელთა ყრილობა, მაგრამ არ აქვთ იმედი, რომ პეტერბურგი ნებას დართავს.

1912, №138, გვ. 4

„იუშინსკის საქმის“ გამო.

1912, №140, გვ. 1

ანტიებრაული განწყობილების გაძლიერების შესახებ.

1912, №141, გვ. 4

კიევი. სოლქო სასამართლოს შუამდგომლობით პალატამ გააუქმა თავისი დადგენილება ბეილისის ბრალდების შესახებ და საქმე დააბრუნა ხელახლა გამოძიებისათვის.

1912, №142, გვ. 3

„იუშინსკის საქმეს“ ბოლომდე გამოიძიებენ.

1913, №2, გვ. 4

პოლონეთში ებრაელთა დარბევის ირგვლივ დეპუტატ იაგელოს განმარტება.

1913, №3, გვ. 2 - 3

ვრცელი წერილი პოლონეთის ნაციონალისტებისა და მათი ურთიერთობის შესახებ ებრაელებთან. ამ უკანასკნელებმა ბოლო არჩევნებში ნაციონალისტებს არ მისცეს ხმა. წერილის ავტორი იაძე.

1913, №3, გვ. 3

სენატში გაირჩა საკითხი ებრაელთა სახელების შესახებ. მათ უფლება აქვთ ატარონ მხოლოდ ის სახელი, რაც მეტრიკაში უწერიათ.

1913, №5, გვ. 3

ვექილი ქალები. მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ იურიდიულ გამომცდელ კომისიაში გამოცდები დაიჭირა 14 ებრაელმა ქალმა.

1913, №6, გვ. 3

ებრაელ ახალგაზრდას უნდოდა ოფიცრობა მიეღო ყალბი საბუთებით. არ გამოუვიდა.

1913, №6, გვ. 4

პოლონელები ითხოვენ ებრაელთა გასახლებას დაბა-სოფლებიდან.

1913, №8, გვ. 2

ქალაქმა (ბათუმმა) მოიგო საჩივარი მინის შესახებ, რომელზეც აშენებულია ნავთის ქარხანა, გენშეინთან.

1913, №8, გვ. 3

წერილში საუბარია პოლონელების მიერ ებრაელთა მიმართ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, რაშიც ავტორი ებრაელებსაც ადანაშაულებს. შემდეგ მსჯელობს სომხურ-ქართულ ურთიერთობების შესახებ.

1913, №8, გვ. 2

სალონიკში ბერძნებმა ებრაელთა პოგრომი მოაწყეს.

1913, №14, გვ. 3

ბათუმის უფასო ლამის თავშესაფრით უსარგებლია 28 ებრაელს წლის განმავლობაში.

1913, №17, გვ. 2

მადნეული წყლების გამგეობა სთხოვს კავკასიის მეფისნაცვალს

ავადმყოფ ებრაელებს მისცენ აქ მკურნალობის უფლება.

1913, №17, გვ. 3

სახალხო განათლების მინისტრმა კასსომ ნება არ მისცა ექიმ ზუბკოვს ეკატერინოსლავში გაეხსნა „ებრაელთა სავაჟო გიმნაზია მონაფეთა უფლებებით“.

1913, №21, გვ. 4

კიევის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა, რათა კომერციული ინსტიტუტიდან გარიცხულ ებრაელებს, რომლებიც ჩაენერენ თავისუფალ მსმენელად, ნება მიეცეთ იცხოვრონ კიევში.

1913, №25, გვ. 3

„რუსეთელი სტუდენტების წინააღმდეგ გალაშქრება გერმანიაში გამოიწვია ებრაელთა საკითხის გამწვავებამ და მისმა ანტი სახელმწიფოებრივმა გადაწყვეტამ რუსეთში“. შემდეგ საუბარია რუსეთში ებრაელთა უუფლებობის შესახებ.

1913, №26, გვ. 3

პოლონელ ნოქართა საზოგადო კრებაზე გაიმარჯვეს გამგეობის მომხრეებმა, რომლებმაც მოითხოვეს, რომ საზ-ში არ იხმარებოდეს ებრაული ენა.

1913, №26, გვ. 3

რიგიდან ასახლებენ 200 ებრაულ ოჯახს.

1913, №26, გვ. 3

ფესახის მოახლოების კვლობაზე შავრაზმელებმა გააქტიურეს ანტიებრაული აგიტაცია.

1913, №29, გვ. 4

მემარჯვენე დეპუტატები აპირებენ შეიტანონ დუმაში კანონპროექტი, რომლის მიხედვით ებრაელებს უნდა აეკრძალოთ სამოქალაქო საერებო დანესებულებაში ექიმების, ბებიაქალებისა და ფერშლების თანამდებობის დაკავება.

1913, №29, გვ. 4

ოსმალეთ-იტალიის ომში თავი ისახელა ორმა ებრაელმა და მიიღო უმაღლესი ჯილდო – სავოიის რაინდის ორდენი.

1913, №31, გვ. 3

მიმდინარეობს ებრაელთა მასიური გადინება.

1913, №32, გვ. 3

მარკოვ II-ის ახალი ანტიებრაული გამოსვლა დუმაში.
რუსეთი. ვილნა. გენერალ უნენკამპოვის ანტისემიტური
ხასიათის ქმედება.

1913, №33, გვ. 1

მუშავდება ახალი წესები უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელ-
თა მისაღებად.

1913, №33, გვ. 1

მოსკოვში არ შეუშვეს ნოქრების ყრილობაზე ჩამოსული ებრაე-
ლები პერიფერიებიდან.

1913, №33, გვ. 4

სამინისტრო და ებრაელები. შცც-ს ბრძანებით ებრაელთა
რიცხვის შემცირების მიზნით მომავალ კიევის გამოფენაზე თი-
თოეულ ფირმას ეყოლება მხოლოდ ერთი წარმომადგენელი.

1913, №42, გვ. 1

რიაზანის გუბერნატორმა ბრძანა გააძლიერონ კონტროლი
მაზრებში ებრაელთა შემოსვლა-გასვლაზე.

1913, №44, გვ. 4

ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსებზე პეტერბურგში წელს
ებრაელ ქალებს არ მიიღებენ.

1913, №44, გვ. 4

ვარშავაში 300-ზე მეტი ებრაელი მკერავი გაიფიცა.

1913, №45, გვ. 3

დუმაში „კოლო“ (პოლონელ ნაციონალისტთა პარტია) წარ-
ადგენს პროექტს პოლონეთის კურიებში თვითმმართველობის
შემოღების შესახებ, რომელშიც გათვალისწინებულია ებრაელ-
თა მაქსიმალური შეზღუდვა.

1913, №45, გვ. 4

ნოქართა ყრილობის ორგანიზატორებმა შუამდგომლობა აღ-
რა შსმ სახელზე ნება მიეცეთ ებრაელ ნოქრებს მონაწილეობა
მიიღონ ყრილობის მუშაობაში.

1913, №49, გვ. 4

მთავრობის მოსალოდნელი ღონისძიებები ებრაელთა
სასწავლებლებში.

1913, №49, გვ. 4

შსმ მაკლაკოვი მოითხოვს, რომ სააქციონერო ამხანაგობათა გამგეობის ნევრებად არ იყვნენ უცხოელები და ებრაელები.

1913, №52, გვ. 3

ებრაელებს არ მისცეს ჰიგიენურ გამოფენაზე მისვლის უფლება.

1913, №57, გვ. I

განათლების მინისტრ კასოს გეგმაში აქვს ებრაელთათვის გახსნას გიმნაზიები და ამის შემდეგ ისინი საშუალი სკოლებში აღარ მიიღონ.

1913, №58, გვ. I

განათლების სამინისტროში სიხარულს გამოთქვამენ ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის გეგმის გამო ებრაელთათვის გიმნაზიის დაარსებასთან დაკავშირებით.

1913, №58, გვ. 4

კიევი. ებრაელ დელეგატებს, რომელთაც არ ჰქონდათ კიევში ცხოვრების უფლება, ნება არ დართეს დარჩენილიყვნენ კიდევე ერთ დღეს სემინარში მონაწილეობისათვის.

1913, №62, გვ. 3

ეკატერინოსლავის ებრაელები ითხოვენ ნებას, მოინვიონ კრება რუსეთში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

1913, №62, გვ. 3

სენატმა განმარტა, რომ ებრაელებს ვერ იხსნის ქრისტიანობის მიღება უფლებების შეზღუდვისგანო.

1913, №62, გვ. 3

შვეიცარიელმა ებრაელებმა გადაიხადეს თავიანთი თანასწორუფლებიანობის 50 წკის იუბილე.

1913, №63, გვ. 3

ალექსანდროვსკში თავი მოინამლა გიმნაზიის კურსდამთავრებულმა შვარცმა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღეს მისი ებრაელობის გამო.

1913, №64, გვ. 3

ნარკვევი მკვდარი ზღვის შესახებ.
ავტორი კ. მაჭავარიანი.

1913, №66, გვ. 3

ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა ყრილობამ შეიტანა წინადადება ვაჭრობის მინისტრ ტიმაშევთან, რათა მან წარადგინოს დუმაში კანონ-პროექტი, რომლითაც ებრაელი მაკლერები უფლებებით გაუთანაბრდებიან ვაჭრებს.

1913, №66, გვ. 3

მენამული ზღვა. ნარკვევი მკვდარი ზღვის შესახებ. გაგრძელება. ავტორი კ. მაჭავარიანი.

1913, №67, გვ. 3

პროკურორ ჩაპლინსკის მოხსენება კიევსა და პეტერბურგში იუშჩინსკის მკვლელობის შესახებ.

1913, №70, გვ. 2

ვრცელი წერილი „ბეილისის საქმის“ შესახებ.

1913, №70, გვ. 2

დაიწყო სასამართლო პროცესი „ბეილისის საქმესთან“ დაკავშირებით.

1913, №71, გვ. 3

„ბეილისის საქმის“ საბრალდებო დასკვნა.

1913, №71, გვ. 3

საპროტესტო ღონისძიებანი „ბეილისის საქმის“ საბრალდებო დასკვნის გამო.

1913, №72, გვ. 3

„ბეილისის საქმის“ ირგვლივ.

1913, №72, გვ. 3

საპროტესტო გაფიცვები ბეილისის პროცესის წინააღმდეგ.

1913, №73, გვ. 2

კომინიოვში მოუწოდებენ ებრაელთა პოგრომისაკენ.

1913, №73, გვ. 2

გამოჩენილ კრიტიკოსს გეორგ ბრანდტესს რუსეთში შემოსვლის ნება არ დართეს ებრაელობის გამო.

1913, №73, გვ. 1

ბეილისის პროცესის ირგვლივ.

1913, №79, გვ. 1 - 2

ბეილისის გამართლებამ შავრაზმელთა მღელვარება გამოიწვია კიევში. პოლიცია მზადყოფნაშია. გამოსვლები ბეილისის დასაცავად. ბეილისი გაამართლეს.

1913, №80, გვ. 1

ფსიქიატრთა საზოგადოებამ პროფ. სიკორსკის ექსპერტიზა ყალბად სცნო.

1913, №80, გვ. 3

ებრაელები ევროპაში. 1912 წლის ბოლოს ევროპაში იყო 14 მლნ ებრაელი. გაზეთს მოაქვს სტატისტიკური ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით.

1913, 10/XI, გვ. 3

„კიევლიანინის“ რედაქტორი შულგინი აპირებს დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომლებიც ნათელს მოჰყვენენ „ბეილისის საქმეს“.

1913, 10/XI, გვ. 3

ბეილისის გარშემო. მის გამართლებასთან დაკავშირებით ხალხი ხარობს, მატარებლით მიმავალ მცველ გრუზენბერგს ბაქნებზე სიხარულით ხედებიან, ზამისლოვსკის ყურადღებას არ აქცევენ. გაზეთი ბეჭდავს „რიტუალურ კურიოზებს“, რაც იმ პერიოდში ხდებოდა.

1913, 10/XI, გვ. 3

„კიევლიანინის“ რედაქტორს შელგინს ბრალად ედება ბეილისის დაცვის შესახებ წერილის გამოქვეყნება.

1913, №83, გვ. 3

„ბეილისის საქმის“ ირგვლივ.

სურამი. ბეილისის გამართლებამ შავრაზმელებზე ცუდად იმოქმედა.

1913, №85, გვ. 3

ტობოლის გიმნაზიის საღმრთო რჯულის მასწავლებელი მოსწავლეებში „რიტუალურ პროპაგანდას“ ეწევა ებრაელთა წინააღმდეგ.

1913, №84, გვ. 3

„ბეილისის საქმის“ გამო დახურეს ტვერისა და ხარკოვის ექიმთა საზოგადოებები.

1913, №84, გვ. 3

პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

დაარსდა სტიპენდია ებრაელი სტუდენტებისათვის.

1913, №87, გვ. 1

ებრაელ დანტიტებს, რომლებიც უნდა გაესახლებინათ კიევიდან, ნება დართეს დარჩნენ კურსის დამთავრებამდე.

1913, №87, გვ. 3

ლონდონიდან კიევს აცნობეს, რომ „ბეილისის საქმის“ შემდეგ სესხს ვერ მოგცემთო.

1913, №88, გვ. 1

გაზ. „რეხს“ კონფისკაცია უყვეს წერილისათვის „მალაკოვი ბეილისის საქმის შესახებ“.

1913, №88, გვ. 4

ბელოსტოკის ადმინისტრაციამ აკრძალა სინემატოგრაფში „ებრაელ უმაღლეს კურსების მსმენელი ქალის სურათის“ ჩვენება.

1913, №89, გვ. 1

„ბეილისის საქმეზე“ გასაჩივრების ვადა დამთავრდა. საქმე გათავებულია.

1913, №89, გვ. 3

დეპუტატ მაკლაკოვს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი პასუხისგებაში აძლევს ბეილისის შესახებ „რუსკიე ვედომისტში“ წერილის დაბეჭდვის გამო.

1913, №90, გვ. 1

ბეილისს ნება დართეს ნავიდეს საზღვარგარეთ.

1913, №90, გვ. 3

შავრაზმელები არ ისვენებენ, მიუხედავად „ბეილისის საქმის“ დამთავრებისა.

1913, №91, გვ. 1

ხანძრის გამო ლაილაშში დაიწვა 31 მაღაზია და 57 საცხოვრებელი სახლი. ზარალი ნახევარ მილიონს აჭარბებს. დაზარალებულნი უფრო მეტად ებრაელები.

1913, №91, გვ. 4

ამერიკული გაზეთების წარმომადგენელთა ჯგუფმა 6000 მანეთად იყიდეს ბეილისის მემუარები.

1913, №92, გვ. 3

რუმინია. იასაში სოციალ-დემოკრატების კრებაზე უნდა განეხილათ ებრაელთა თანასწორუფლებიანობის საკითხი. ხულიგნები შეცვივდნენ და დაიწყო ჩხუბი და არეულობა.

1913, №93, გვ. 2

შავრაზმელებმა ბეილისის პროცესი ნააგეს, მაგრამ მათი შავრაზმული ანტისემიტური აგიტაცია დღითიდღე ძლიერდება.

1913, №101, გვ. 3

ებრაელებზე თავდასხმის გამო სამხედრო სასამართლომ ბრალდებულს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

1914, №19, გვ. 2

ორიოდე სიტყვა ტერიტორიის საკითხზე.
ერი და ტერიტორია როგორც ერის რაობის უპირობო ნაწილი, ტერიტორია და დამოუკიდებლობა. ტერიტორია ერის ნაციონალური მოთხოვნაა, თუ აგრარული საკითხი?
გაგრძელება №20-ში, გვ. 3. ავტორი ნ. ს.

1914, №20, გვ. 3

რუსეთში სუფთა ბამბას საქრთველოდან კარგი გასავალი ჰქონია. რამდენიმე ებრაელს გაუფუჭებია ბამბის ხარისხი, რის გამოც აღარ იყიდებოდა რუსეთში ქართული ბამბა. შემდეგ გამოაკეთეს ხარისხი და კვლავ აღიდგინეს იმიჯი. ამ საქმეში ჩართული არიან ებრაელებიც.

1914, №20, გვ. 4

ვარშაველ მუშას გარბერს მიუსაჯეს 6 თვე ციხე ბეილისის საქმის გამო გაფიცვისაკენ მოწოდებისთვის.

1914, №20, გვ. 4

სპარსეთი. ბაშირ ახმედის ცხენოსნებმა გაიტაცეს 4 ებრაელი, ითხოვენ გამოსასყიდს.

1914, №22, გვ. 4

გუბერნატორმა ებრაელ რედაქტორ-გამომცემელს აუკრძალა გაზეთის გამოცემა — კბილის ექიმი ხარ და სპეციალობით იმუშავეო. რედაქტორმა უჩივლა გუბერნატორს სენატში. გუბერნატორს დაანერეს ზარალის ანაზღაურება რედაქტორისათვის.

1914, №22, გვ. 4

ვარშავაში დაპატიმრეს მუშათა ყავახანაში II ებრაელი პურის მცხობელი.

1914, №24, გვ. 4

ბანძის სამკითხველოსათვის ფულის შეწირვის გამო მალობას უცხადებენ დავით ბრენშტეინსა და მ. ფიჩხაძეს.

1914, №26, გვ. 3

ებრაელ პაშკოვს უარი უთხრეს შვილის გვამის მიცემაზე.

1914, №26, გვ. 4

ვარშავაში დაპატიმრებულ II ებრაელ მუშას მიესაჯათ I თვიდან 3 თვემდე ციხე.

1914, №27, გვ. 2

აკაკი ჩხენკელი მოითხოვს დუმის პრეზიდიუმისაგან ხმარებიდან ამოიღონ სიტყვა „ჟიდი“.

1914, №28, გვ. 1

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დამფუძნებელთა შორის არიან:

- . . . 16. იაკობიშვილი შ. შ. ვაჭარი
- 18. რიჟინაშვილი რ. ელ. ვაჭარი

1914, №31, გვ. 4

მთავრობის წრეებში ხმა გავარდა, რომ მოხდეს ებრაელთა სკოლების ნაციონალიზაცია ე. ი. ებრაელი ბავშვები ჩაკეტონ ებრაულ სკოლებში და საერთო სასწავლებლებში არ შეუშვან. ეს პროცენტულ ნორმაზე უარესია, ფიქრობს წერილის ავტორი მ. მონიძე.

1914, №35, გვ. 2

ერების თვითგამორკვევა და „ბუნდი“.

1914, №34, გვ. 2

გოლუბევი სწერს გუბერნატორს სტეპან სტეპანოვის შესახებ, რომელმაც შეურაცხყო გოლუბევი: „მართალია იგი რუსია (სტეპანოვი), მაგრამ გთხოვთ ჩარიცხოთ ებრაელათ დაუყოვნებლივ და გაასახლოთ კიევიდან“. აქედან კარგად ჩანს, რას წარმოადგენს „ებრაელი“ რუსისათვის.

1914, №35, გვ. 3

სახელმწიფო დუმა.

მარკოვ II – მთელი ვაჭრობა, მრეწველობა და რუსეთიც დამოკიდებულია, სამწუხაროდ, საერთაშორისო ე. ი. ებრაელთა ბირჟაზეო.

1914, №36, გვ. 4

ზამისლოვსკისა და გამომძიებელ პენენკოს კავშირი „ბეილისის საქმესთან“ დაკავშირებით. ზამისლოვსკი ითხოვს იუშჩინსკის მკვლელობა ჩაითვალოს რიტუალურ მკვლელობად.

1914, №36, გვ. 2

ქუთაისში ყაჩაღებმა გაიტაცეს არონ ციციანაშვილის ვაჟი.

1914, №37, გვ. 2 - 3

ბუნდი და ეროვნული სკოლების დაარსება.

სტატიის ავტორი სავარელი ნ.

1914, №37, გვ. 3

მემარჯვენეთა თათბირზე განიხილეს ბურცვევის მიერ გამოამჟღავნებული საბუთი „ბეილისის საქმესთან“ დაკავშირებით, ცდილობენ ახალი გამოძიება სხვა გზით წარმართონ.

1914, №37, გვ. 3

პეტერბურგში ახლახან დამთავრებულმა ვაჭარ-მრეწველთა კრებამ დეპეშა გაუგზავნა ლივადიაში დასასვენებლად მყოფ მთავარ მინისტრს ი. ლ. გორმენკოს, რომელშიც უთითებს, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას ხელს უშლის ებრაელთა უფლებების შეზღუდვა.

1914, №38, გვ. 3

ქუთაისში დააპატიმრეს დავით ჭიპაძე, რომელსაც აბრალებენ რიჟინაშვილის გატაცების მოწყობას.

1914, №38, გვ. 4

კიევის ბრალმდებლის ჩებიშევის გადაწყვეტილებით უარყვეს იოსებ პაშკოვის მკვლელობის რიტუალური ვერსია.

1914, №39, გვ. 3

როდის იქნება ბოლო-დასასრული?

შავრაზმელთა, პურიშკევიჩ-მარკოვების თარეშისა, რომლებიც სდევნიან ებრაელებს, თითხნიან რიტუალურ ბრალდებებს, აფერხებენ პროგრესს — კითხულობს ავტორი.

1914, №39, გვ. 3

დაიწყო ბეილისის პროცესთან დაკავშირებული 83 ვეკილის დისციპლინარული საქმე.

1914, №40, გვ. 3

მოთავსებულია უგულინოს (როგორც ჩანს ნაციონალისტური მიდრეკილების პიროვნებაა) პასუხი იაძეს წე-რილზე. ეს უკანასკნელი ათავსებს უგულინოს წერილის პასუხს. პოლემიკა მიმდინარეობს ქართულ-სომხური ურთიერთობისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის შესახებ. იაძე თვლის, რომ საქ-ში იყო ებრაელთა პოგრომი, ცოტაც და გაჩაღდებოდა ქართველ და სომეხთა შორის ბრძოლები. უგულინოს არ მიაჩნია სწორად იაძეს მსჯელობა.

1914, №46, გვ. 3

ვეკილ სოკოლოვსა და კერენსკის ბეილისის პროცესის დროს საპროტესტო რეზოლუციის გამო რვა-რვა თვე ციხე მიუსაჯეს.

1914, №47, გვ. 4

კერენსკის დუმაში ოვაცია გაუმართეს ოპოზიციებმა, ხოლო მემარჯვენეებმა მორთეს ღრიალი.

1914, №47, გვ. 4

ვილაც მერძვემ ფერდებში მსუბუქად დაჭრა ანრი როტშილდი.

1914, №48, გვ. 3

სენატმა უარი უთხრა იუსტიციის მინისტრს შჩეგლოვიტოვს 1910 წ. 4 ივნისის სენატის განმარტების გამოქვეყნებაზე, რომლის მიხედვითაც ებრაელ ფარმაცევტებს, აკუშერებსა და დანტისტებს ეკრძალებოდათ „ბინადრობის ზონის“ გარეთ ცხოვრება.

1914, №49, გვ. 3

რუმინია. აქაურმა ებრაელებმა დამფუძნებელ კრებას წარუდგინეს მოთხოვნა თანასწორუფლებიანობის მინიჭების შესახებ.

1914, №49, გვ. 2

ვეკილთა პროცესი „ბეილისის საქმის“ წინააღმდეგ პროტესტის გამო.

1914, №49, გვ. 4

რუმინეთში მოუწოდებენ ებრაელთა პოგრომისაკენ.

1914, №50, გვ. 3

ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორმა უარი უთხრა 7 ებრაელს,

რომლებიც აირჩიეს ბაზრობის „სტაროსტათ“.

1914, №52, გვ. 2

ბათუმის ებრაელებმა ქალაქის საბჭოს სთხოვეს მიეცა მათთვის სილა და ხრეში უფასოდ სინაგოგის ასაგებად. მისცეს მარტო ხრეში.

1914, №53, გვ. 3

განათლების მინისტრმა კასსომ დააყენა საკითხი, რომ იმ ებრაელებს, რომლებიც მოინათლენ, მაგრამ მათი მშობლები არ არიან მონათლულები, არ მიეცეთ სასწავლებელში შესვლის ყფლება.

„ბათუმის ფურცელი“

1913, №94, გვ. 2

ბეილისის საქმისა და მასთან დაკავშირებული მოვლე-ნების დავინწყება ძნელი აღმოჩნდა.

1914, №2, გვ. 4

ახად ჰაამს გადაუხადეს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე პეტერ-ბურგში.

1914, №2, გვ. 3

კახეთში, ურიათუბანთან ყაჩაღებმა მოკლეს მამა-შვილი გაძარცვის მიზნით.

1914, №2, გვ. 3

ვარშავაში აკრძალეს ებრაელ მასწავლებელთა კრება.

1914, №7, გვ. 2

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია აპირებს დუმაში შეიტანოს შეკითხვა იუშჩინსკის საქმის შესახებ, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების მოსპობის გამო.

1914, №7, გვ. 3

ჟურნალისტ ფრანსის დე პრესანსეს სიკვდილი. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა „დრეიფუსის საქმის“ დროს.

1914, №8, გვ. 3

კიევის საოლქო სასამართლოში დაიწყო ვერა ჩებერიაკოვას საქმე მოპარული ნივთების გაყიდვის ბრალდებით.

1914, №9, გვ. 3

დეპუტატ შულგინს, რომელმაც „კიევიანინის“ რედაქტორობის დროს გამოაქვეყნა წერილი კიევის პროკურატურის წინააღმდეგ „ბეილისის საქმის“ გამო 3 თვით ციხე მიესაჯა.

1914, №13, გვ. 2

მკვლელობა ფასტოვში. ახალი „ბეილისის საქმის“ შექმნის მცდელობა კვლავ რიტუალური ბრალდებით.

1914, №13, გვ. 3

ონში ხანძარმა რამდენიმე ებრაული ოჯახი იმსხვერპლა, გადაინვა მათი სახლები.

1914, №15, გვ. 3

როგორც გაზეთები იტყობინებიან მოკლული ებრაელის იოსებ პაშკოვის გვამი კიევიდან ფასტოვში გადაასვენეს დასამარხად.

1914, №16, გვ. 3

ებრაელთა გაქრისტიანების მიზნები.

1914, №17, გვ. 4

პოლკოვნიკ ენკელის მოწოდება ლაილაში ხანძრის შედეგად დაზარალებულ ებრაელთა დახმარების შესახებ.

1914, №18, გვ. 3

მოსკოვში აპირებენ ეროვნებათა სრულიად რუსეთის კონფერენციის მოწვევას, რომელშიც ებრაელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

1920, №18, გვ. 4

სევასტოპოლის მცხოვრებნი, საბჭოთა წყობილებისა და ინტერნაციონალის მომხრეები გადასახლებულ იქნენ საბჭოთა რუსეთში როგორც არასაიმედო ხალხი.

1920, №18, გვ. 3

მოგზაურის დღიურიდან:

ებრაელი ვაჭარი ჩივის სავალუტო პოლიტიკის სიმკაცრეზე.

1920, №18, გვ. 2

სასადილო „ინტერნაციონალში“ იდა ლიაპრეხტს დარჩა ქუტა შიგ 48016 მან, რომელიც მიითვისა სასადილოს დირექტორმა. იგი დაიჭირეს, დანაკარგი დაუბრუნეს პატრონს.

1920, №29, გვ. 2

რესპუბლიკიდან გააძევეს სპეკულანტები (ჩამოთვლილია ძირითადად აშქენაზები).

1920, №30, გვ. 3

ბატუმში ფუნქციონირებს ებრაელთა სკოლა.

1920, №67, გვ. 3

საყვარელიძე და მოშიაშვილი რალაცა მაქინაციების გამო დააპატიმრეს.

1920, №67, გვ. 3

პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფო ძვირი უჯდება ამერიკას.

1920, №81, გვ. 2

ვალუტის სპეკულაციისათვის ედელსონი გაძევებულია რესპუბლიკიდან.

1920, №83, გვ. 3

ებრაელთა ეროვნული საბჭოს არჩევნები უკანონოდ იქნა ჩათვლილი.

„ბათომის ცხოვრება“

1921, №10, გვ. 3

ებრაელები აღმოსავლეთ რუსეთიდან უკან (დასავლეთში) დაბრუნებას აპირებენ, რაც არ მოსწონს ადგილობრივ მთავრობას.

1921, №18, გვ. 4

ფრონტს ეხმარებიან ებრაელები (ჩამონათვალი).

1921, №23, გვ. 3

სტამბოლიდან დიდძალი შაქარი მოაქვთ სომეხ და ებრაელ კომერსანტებს.

1921, №22, გვ. 1

სარაიონო (არჩევნების) ბიურო იმყოფება ებრაელთა უბანში.

1921, №22, გვ. 4

ბალტაში ბოლშევიკთა ჯარის აჯანყების ჩახშობის დროს დახოცეს 6 ებრაელი და დაიჭრა 37.

1921, №23, გვ. 3

ფინანსთა მინისტრის ამხანაგებად დაინიშნენ სალაყაია და ელიგულაშვილი.

1921, №33, გვ. 3

ნაფიცი ვეჭილი ფუბარი რაბინად აირჩიეს, მაგრამ მთავრობამ არ დაამტკიცა.

1921, №34, გვ. 4

ბატუმის ებრაელთა ეროვნულ საბჭოში ბატუმის ებრაელთა სოც. პარტიამ გააგზავნა ცელიკოვსკი.

1921, №34, გვ. 4

ბათუმში რუსი, სომეხი, ბერძენი და ებრაელი ახალგაზრდები ჯარში წასვლაზე არ აქტიურობენ.

„ბათუმის მოამბე“

1911, №1, გვ. 3

ახალი ამბები. საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება თავმჯდომარედ ასახელებს ბ-ნ მდივანს, სხვები ამ თანამდებობაზე ასახელებენ ვაჭარ აბრამ სოლომონის ძე ბერდმანს.

1911, №1, გვ. 3

რუსი ხალხის განახლებული საბჭოს სხდომაზე პურიშკე-ვიჩი და მარკოვ II რუსეთის ყველა უბედურებას ებრაელებს აბრალიან.

1911, №2, გვ. 2

ახალი ამბები. ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა აპელაციური სარჩელი „ბატუმსკი ვესტის“ რედაქტორისადმი ქ. ევ. გერმანის მიმართ, რომელსაც უჩიოდა იორდანოვიჩი ცილისწამებას. სასამართლომ მოსპო ეს საქმე.

„ბრძოლა“

1901, №1, გვ. 16

ქუთაისში დადგმული სპექტაკლის „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს პროტესტის გამოხატვის გამო პოლიციამ დაიჭირა სამი სტუდენტი (ნინიძე, კანდელაკი, ლორთქიფანიძე)

„განათლება“

1910, №1, გვ. 4 - 6

მაჩაბლის ცულლუტობის გამო ურია დაისაჯა. დღეს გამო-
ამკარავდა სიმართლე. ურია გვეცოდება, მაჩაბელზე ბრაზი
მოგვდის. ვაჟა-ფშაველა (აგრეთვე თხზ. ტ. 9, გვ 289-290, 1964)

1913, №6, გვ. 462

ახალციხეში ცხოვრობდა 1897 წ. აღწერილობით სარწმუნოე-
ბის მიხედვით 1738 ებრაელი.

1915, №2, გვ. 103 - 105

კ. ანთაძის წერილი „ებრაელების სტრატეგია ომის დროს“ (და-
ბადებიდან). ლაპარაკია იერიხონის აღებასთან დაკავშირებულ
ამბებზე. გაგრძელება №5 – 6

„განახლებული მესხეთი“

1919, №3, გვ. 3

როგორ ეხმარებოდნენ ქართულ ჯარსა და მეფე ერეკლეს
ქართველი ებრაელები. ავტორი ზ. ჭიჭინაძე.

1919, №9, გვ. 2

უკრაინაში ებრაელთა პროგრამის შესახებ.

1919, №13, გვ. 3

ახალციხის ისრაელობა განირჩევა ევროპიელი ისრაელებისა-
გან მხოლოდ ტანისამოსით. ისე კი მრენველი, ვაჭარი და მოხ-
ერხებული ხალხია. (გაგრძელება შემდეგ №14-ში).

1919, №14, გვ. 2

1831 წლის აღწერით ახალციხეში იყო 117 ებრაული ოჯახი – 327
მამაკაცით.

1919, №14, გვ. 2

„ანციერის აჯანყება“.
„ეს მხარე თლათ არის დასახლებული, აქ ცხოვრობს
ებრაელების 31 ოჯახი 57 მამაკაცით. ებრაელები მისდევენ
ვაჭრობას“.

1919, №15, გვ. 3

„ხერთვისის სანჯაყი“.

ხერთვისში ცხოვრობს 18 ებრაელის ოჯახი 41 სულით. მისდევნენ ვაჭრობას.

1919, №16, გვ. 1

ახალციხის ალების შემდეგ 1828 აჭარის ფაშის მიერ მაჰმადიანები გადასახლდნენ ახალციხიდან. ებრაელებმა და ქრისტიანებმა შეიძინეს მათი სახლ-კარი და მიწები. ავტორი ი. ასათიანი.

1919, №16, გვ. 3

„ოსმალეთის მთავრობამ ყველას აუკრძალა ქართულად ლაპარაკი. მხოლოდ ქართველი ურიები გადაურჩნენ ამ ბოროტებას. ისინი ყველგან ქართულად ლაპარაკობდნენ“. ავტორი ზ. ჭიჭინაძე.

„განთიადი“

1906, №1, გვ. 4

გაზეთების ცნობით გაჩნრიკეს ლავროვი, იპოვეს მისივე ნაწერი პროკლამაციები ებრაელთა დარბევის მოწოდებით.

1906, №3, გვ. 4

ვიტებსკში ჩაშალეს ებრაელ ამომრჩეველთა კრება. პლოცკში შექმნა ებრაელების ნაციონალური პარტია.

1906, №4, გვ. 3

ვიტე-დურნოვის ბრძანება ებრაელთა პოგრომების დაუშვებლობის შესახებ. გაზეთი ეჭვის თვალთ უყურებს ამ ფაქტს.

1906, №4, გვ. 4

გადანყვიტეს აუცილებლად მოახერხონ დუმაში დეპუტატად ერთი ებრაელი არჩევა მაინც.

1913, №5, გვ. 2

4 აგვისტოს არჩეულმა 31 რწმუნებულმა უნდა აირჩიოს რაბინი, მისი თანაშემწე და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი.

1913, №10, გვ. 3

დელეგატ-ებრაელების წინააღმდეგ. კოპერატიულ ყრილობაზე ებრაელი დელეგატები 1 დღე ზედმეტად არ დატოვეს, რომ დნეპრზე ესეირნათ.

„გლები“

1906, №6, გვ. 12

ქუთაისი.

იცკა რიჟინაშვილის მკვლევლობის შესახებ.

„გრიგალი“

1906, №4, გვ. 2

პოლიტიკური მიმოხილვა.

კიშინიოვის შავრაზმელთა ვედრება.

„რუსეთის ხალხის კავშირი“ სასწავლებლებში ებრაელთა მიღების პროცენტული ნორმის გაუქმების წინააღმდეგია.

1906, №13, გვ. 4

შავრაზმელთა აგიტაცია.

„საყურადღებოა მათი ფურცელი, რომელსაც ასეთი სათაური აწერია: „დათხოვნილი დუ მა“. კონსტიტუციონალ-დემოკრატები მხოლოდ ურიების შემწეობით და ურიების ხარჯზე მოხვდნენ დუმაში“.

1906, №16, გვ. 4

„რუსეთის ხალხის კავშირის“ პროგრამაში ყველაზე დიდი ადგილი „ურიებს“ უკავიათ“. ყველა, რუსეთში მცხოვრები ებრაელი უცხოელად არის გამოცხადებული.

„დასაწყისი“

1908, №2, გვ. 2

გაზ. „კავკაზის“ კანტორაში მიიღება შემოწირულობანი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად.

1908, №2, გვ. 4

იალტიდან გააძევეს მრეცხავი ქალი, რომელიც ებრაელთან ცხოვრობდა.

1908, №8, გვ. 3

დეპუტატმა სოციალისტმა ფინლანდიის სეიმში წარადგინა პეტიცია ფინლანდიის ებრაელთათვის უფლებების მინიჭების თაობაზე.

1908, №9, გვ. 2

სახელმწიფო დუმის ციმბირელი დეპუტატები იღებენ უამრავ წერილებს მოთხოვნით შეაჩერონ ებრაელთა გასახლება ციმბირის ქალაქებიდან.

1908, №20, გვ. 3

რუსეთის ამბები.

შავრაზმული გაზეთი „მეფისა და სამშობლოსათვის“ 19 მარტის ნომერში ბეჭდავს წერილს, რომელშიც მოუწოდებს ოდესის ებრაელთა პოგრომისაკენ.

1908, №20, გვ. 4

საზღვარგარეთის ქრონიკა. იაფაში ებრაელთა დარბევა.

1908, №20, გვ. 4

საზღვარგარეთის ქრონიკა.

დანვრილებითი ცნობები იაფაში ებრაელთა დარბევის შესახებ.

1908, №21, გვ. 4

შმაკოვმა ქ. ნოვგოროდში წაკითხულ ლექციაში გაილაშქრა ებრაელთა წინააღმდეგ.

1908, №23, გვ. 4

საოლქო სასამართლოში გაირჩა ოქტომბერში მომხდარი ებრაელთა პოგრომის საქმე.

„დილა“

1907, №6, გვ. 3

რუსეთის ამბები. ებრაელთა სახალხო ჯგუფის კონფერენციაზე დაადგინეს, ებრაელებმა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

1907, №10, გვ. 3

„ბუნდის“ ცკ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მესამე სახელმწიფო დუმის მუშაობაში.

1907, №15, გვ. 4

რუსეთის სიონისტთა მეოთხე ყრილობა გაიხსნა ჰააგაში 27 ივლისს.

1907, №19, გვ. 3

რუსეთის ამბები. ებრაული ორგანიზაციების შესახებ.

1912, №2, გვ. 3

ოდესა. შავრაზმელები მოუწოდებენ მოსახლეობას ებრაელებს ხმა არ მისცეთ არჩევნებშიო.

1912, №5, გვ. 3

ვარშავა. გამოიკვავა, რომ აქ არჩევნებში გამარჯვება ებრაელებს დარჩებათ.

1912, №8, გვ. 3

„ვარშავის ვიბორჩიკები. აქტიურობენ ებრაელები, ამიტომაც საარჩევნო სიებში ებრაელები მეტნი აღმოჩნდნენ“.

1912, №8, გვ. 3

ლოძში ჩატარდა ბუნდის კონფერენცია.

1913, №2, გვ. 3

ხარკოვის კერძო გიმნაზიის უფროსის (ქალის) ანტი-ებრაული გამონათქვამი.

1913, №2, გვ. 3

ნაციონალისტები და ებრაელების ფული. სიმფეროპოლში რამდენიმეჯერ გაქურდეს ებრაელ მალინსკის მალაზია.

1913, №3, გვ. 2

ქუთაისის ებრაელ ვაჭრებს განუზრახავთ ღარიბ ებრაელთა დამხმარე სალაროს დაარსება.

1913, №3, გვ. 2

ცაგერიდან ლაილაში გადაიტანეს მომრიგებელი სასამართლო, რამაც ძალიან გააბრაზა ცაგერელები.

1913, №4, გვ. 2

ქუთაისში ბანდიტებმა ყუმბარა ესროლეს დავით თარონიშვილის სახლს.

1913, №4, გვ. 2

დეპუტატი დუმაში თავის სიტყვაში ეხება ებრაელების წარმომადგენლობას.

1913, №6, გვ. 2

წერილი ეხება ქუთაისის ღარიბ ებრაელთა დამხმარე სალაროს მიზნებსა და ამოცანებს.

1913, №7, გვ. 3

რუსეთის ამბები.
ებრაელ ვექილებს სამსახურში არ იღებენ პროცენტული ნორმების ზემოთ.

1913, №11, გვ. 3

რუსეთის ამბები.
ვოლინის გუბერნიიდან 1912 წ. გადასახლდა 4000 ებრაელი.

1913, №14, გვ. 3

რუსეთის ამბები.
შავრაზმელების აგიტაცია ებრაელთა წინააღმდეგ იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით (რიტუალური პროცესი ბეილისის ბრალდებით – შ. წ.)

1913, №15, გვ. 3

ივანოვო-ვოზნესენსკის სასამართლო არჩევს ებრაელთა ანიოკების საქმეს.

1913, №15, გვ. 2

აბრამ ციციაშვილს ყაჩაღები ატერორებდნენ.

1913, №17, გვ. 3

მარტინოვი: რიტუალური ბრალდება სიცრუე და ცილისწამებაა ებრაელთა მიმართ.

1913, №18, გვ. 2

ბენიამინ ელიგულაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ ბაზრის მოიჯარადაე მორჩაძემ ბაზარში სცემა მისი ძმა.

1913, №20, გვ. 3

რუსეთის ამბები.
გუბერნატორმა აკრძალა ებრაელი ექიმების მიღება სამუშაოზე საავადმყოფოებში, თუ არ აქვთ იმ ადგილას ცხოვრების უფლება.

1913, №21, გვ. 2

ბაზრის ზედამხედველმა ოქმი შეუდგინა რიჟინაშვილს და გაბრიელ ხახანაშვილს.

1913, №24, გვ. 2

ქუთაისი. გუბერნატორის განკარგულებით ადმინისტრაციული წესით იგზავნებიან ადგილობრივი 4 ებრაელი (ჩამოთვლილია).

1913, №25, გვ. 3

პროვოკაცია ბერისლავში (ხერსონის ოლქი). ებრაელ გოლდრინის მაღაზიიდან ბავშვის ტირილი ისმოდა. ქრისტიანები აღელდნენ ქრისტიანი ბავშვი დაამწყვდიესო. როცა ნახეს ბავშვი ებრაელი აღმოჩნდა.

1913, №26, გვ. 4

კიევის ნაციონალისტები გამოდიან ებრაელთა წინააღმდეგ.

1913, №27, გვ. 4

ვილნას ეპისკოპოსმა დაგმო რიტუალური ბრალდება.

1913, №35, გვ. 3

ბელისის საქმის გამოძიება დამთავრდა.

1913, №35, გვ. 3

მოსკოვის ვექილებში ხმა გავრცელდა ებრაელ ნაფიცი ვექილების თანაშემწეებს გარეკავენო.

კიევის ადვოკატურიდან უკვე გამორიცხეს ასამდე ნაფიცი ვექილის თანაშემწე ებრაელები.

ვილნოში წინადადება მიეცათ სკოლებში ებრაელთა მიღებისას იხელმძღვანელონ დაწესებული ნორმებით.

1913, №38, გვ. 4

როდომისიდან აპირებენ ებრაელთა გასახლებას.

„დროება“

1866, №4. გვ. 4.

ტფილისის გუბერნიაში ცხოვრობს 2281 ებრაელი.

1867, №42. გვ. 2

მოთხრობილია ცხინვალის შესახებ — სულ ცხოვრობს 500 კომლამდე, ქართველები, სომხები და ებრაელები. ყველას აქვს ვენახები, ბაღები. სომხები და ებრაელები მისდევენ ვაჭრობას.

1868, №43. გვ. 4.

ფრანგები და ურიები წმინდა ქართულ ტანსაცმელს იცვამენ.

1869, №22. გვ. 4

დიმიტრი ბაქრაძის წერილი ზოგიერთი სიტყვების წარმომავლობის შესახებ. იშველიებს ებრაულ სიტყვებსაც შედარებისთვის.

1869, №48. გვ. 2

დაბა ონი. მოსახლეობის ნახევარი (სულ 200 კომლია) ებრაელებია. ერთ სოფელში მოსამართლედ ებრაელი ამოურჩევიათ. ებრაელები სავაჭროდ სტამბოლსა და რუსეთში დადიან. აქვთ ერთკლასიანი სასწავლებლები, სწავლობენ ებრაელი ბავშვებიც.

1869, №50. გვ. 4

მცხეთის ტაძარი.

საუბრობს ქართლის გაქრისტიანებაზე, ელიოზის მიერ ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანაზე და სიდონიას სიკვდილზე.

1870, №15. გვ. 1 - 3

ძველი ჩინოვნიკის გულის ტკივილი; ტრაბახობს ებრაელთა გაძარცვით.

1870, №17. გვ. 1

ბანკის თაობაზე.

წერილში საუბარია ბანკის ვალის დასაფარავად დაგირავებული მამულების გაყიდვაზე, რომელსაც შეიძენენ ან დიდი მებატონეები ან „ვაჭრები-ურიები“.

1870, №23. გვ. 2

„ურიებმა და სომხებმა ლამის მთელი უეზდი გაატყაონ“.

1870, №46. გვ. 3

აღწერს პარასკევის ბაზრობას და ებრაელთა საქმიანობას ამ ბაზრობაზე.

1871, №16. გვ. 2

ოდესაში ებრაელთა პროგრომის შესახებ.

1871, №20. გვ. 3

კორესპონდენციაში საუბარია ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის სარწმუნოების ნიადაგზე განხეთქილების შესახებ, აგრეთვე რუსეთის დასავლეთ გუბერნიებსა და პოლონეთში ებრაელთა დომინირების შესახებ ეკონომიკა ვაჭრობაში.

1871, №26. გვ. 2

ქუთაისის ამბები.

აქ ლაპარაკია სოფლად მევახშეობის გავრცელებაზე.

1871, №31. გვ. 2

იმერეთის ებრაელობის აკაკი წერეთლისეული მკაცრი შეფასება.

1871, №32. გვ. 3

ურიების მდგომარეობა საქ-ში. ავტორი ნ. ნიკოლაძე.
შეეცადა აეხსნა ურიების გავაჭრების ისტორიული მიზეზები.
წერილი წარმოადგენს პასუხს აკაკის ღვარძლიან შენიშვნებზე.

1872, №5. გვ. 4

მცხეთის აკლდამები.
საუბარია სამთავროს მონასტერში ბაიერნის მიერ წარმოებულ
ლი გათხრების შესახებ.

1872, №5. გვ. 2

ოდესის ებრაელთა პროგრამის გამო სასამართლო პროცესის
შესახებ.

1872, №11. გვ. 2

რაჭიდან. წერილი იმის შესახებ, თუ რატომ გაქრისტიანდა
აქაური ებრაელი.

1872, №26. გვ. 4

აქაური ებრაელების ყოფა-ცხოვრების შესახებ.

1872, №39. გვ. 4

მცხეთის აკლდამები.
კვლავ მცხეთაში ჩატარებული გათხრების შესახებ.

1872, №47. გვ. 4

როგორ გაქრისტიანდა ებრაელი ქალი და როგორ დაბრუნდა
ძველ რწმენაზე.

1873, №1. გვ. 4

რკინიგზაზე (ფოთი - თბილისი) ებრაელმა დაკარგა ბარგი და
ვერ პოულობენ.

1873, №9. გვ. 3

ვარშავაში გარდაიცვალა ებრაელი, რომელმაც დატოვა 50 000
მან. საქველმოქმედოდ.

1873, №16. გვ. 4

ოდესაში გემზე დაიჭირეს ებრაელი, რომელსაც რამდენიმე
ქალი მიყვავდა სტამბოლში გასაყიდად.

1873, №20. გვ. 3 - 4

ვენის გამოფენა.
ვენა უვარგისი ქალაქია. აქ ბედნიერები არიან მარტო ურია

ვაჭრები და მათი დიაცები (ამონერილია ნ. ნიკოლაძის თხზულებანი, ტ.3, თბილისი, 1963, გვ. 192)

1873, №23. გვ. 3

ფელეტონი (ავტორი – აკაკი წერეთელი).
აღწერს მატარებელში მგზავრობას. ვიღაცა მგზავრი ამბობს, რომ ურიებზე მეტად ქართველები მეფავრებითო. ქართველ მგზავრსა და მას შორის გაიმართება დიალოგი.

1873, №23. გვ. 2

სამ დღიანი „იარმუკა“ დ. წევაში.
მავანმა ქრისტიანმა ფული გამოსძალა ებრაელებს.

1874, №417. გვ. 2

„დროების“ კორესპონდენცია.
ავტორი ამბობს, რომ იცის ზოგიერთი ურიები, რომელნიც დაგლეჯილი ტანისამოსით დადიან და მილიონებს კი ეთამაშებიან.

1874, №421. გვ. 4

რუსეთიდან და პოლონეთიდან ებრაელები მიდიან დასასახლებლად პალესტინაში.

1874, №439. გვ. 3

„დროების“ კორესპონდენცია.
აღწერს აბასთუმანს, ამბობს, რომ რაც სახლება მეტი ნაწილი ახალციხელ ებრაელებს ეკუთვნითო.

1874, №446. გვ. 2

სუფუნა. „აქაურ ქართველებს და ურიებს განუზრახავთ ბანკის ჩამოყალიბება“.

1874, №451. გვ. 2

სოხუმი. „ურიას ქალს შეჰყვარებია ოფიცერი და მას გაყოლია“.

1874, №451. გვ. 2

სოხუმი. ერთი ებრაელის შესახებ, რომელსაც ვიღაცა ოფიცერმა ცოლი მოსტაცა, ამან კი სხვა შეირთო უფრო ლამაზი.

1875, №2. გვ. I

იკუჟდა ჩორნის მოგზაურობის შესახებ კავკასიაში.

1875, №9. გვ. I

ს. მესხი. წერილი ებრაელთა თანასწორუფლებიანობის შემოღების საჭიროების შესახებ.

1875, №19. გვ. 3

„დროების“ კორესპონდენცია.
ლაპარაკია სამეგრელოს რაიონებში ებრაელთა სალოცავების გაქურდვის შესახებ.

1875, №27. გვ. 2

დაუპატიჟებელი სტუმრები ებრაელთა ქორწილში.

1875, №34. გვ. 2

ქუთაისელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ აქაური ებრაელები მანეთიან ქალაქის ფულებს ექვს შაურად იბარებენ.

1875, №53. გვ. 4

ერთ სარატოველ ებრაელ ქალს განუზრახავს ქრისტიანზე გათხოვება, რისთვისაც სარწმუნოება შეუცვლია.

1875, №60. გვ. I

აკაკი წერეთლის ფელეტონი მოჩხუბარი ებრაელებისა და მამასახლისის შესახებ.

1875, №67. გვ. 3

მონტეფიორეს შესახებ.

1875, №72. გვ. I

ქართველს ეთაკილება ვაჭრობა, ამბობს ეგ ურიების საქმეაო. ავტორი ს. მესხი.

1875, №80. გვ. 4

ებრაელების მიერ მიცვალებულის დასაფლავების შესახებ.

1875, №83. გვ. 3

რუსეთში ებრაელ ფოტოგრაფებს აეკრძალათ პეტერბურგში ცხოვრება.

1875, №86. გვ. 2

რაჭაში ებრაელთა ვაჭრობის შესახებ.

1875, №87. გვ. 4

თურმე ნაბუქოდონოსორს დაუპყრია საქართველო და ძალად დაუსახლებია ურიები აქ 605 წ. ავტორი ინგილო ჯანაშვილი.

1875, №94. გვ. 4

სპარსეთის შაჰის მოგონება როტმილდთან შეხვედრის შესახებ.

1875, №94. გვ. 4

როტმილდები.

1875, №95. გვ. 2

ოდესაში ცხოვრებულა 51 380 ებრაელი.

1875, №97. გვ. 4

პეტერბურგში რაბინ ნეიმანის გასვენების დროს ორ ებრაულ ჯგუფს შორის კამათი ატყდა.

1875, №98. გვ. 4

მდიდარი ებრაელის ქალი უკანონოდ დაორსულებულა. პაპამ და დედამ ტყეში წაიყვანეს და მოკლეს. ისინი დააპატიმრეს.

1875, №99. გვ. 2

ნაგომარის „იარმუკა“ გურიაში.

აღწერს ბაზრობაზე ებრაელთა ვაჭრობის წესს.

1875, №104. გვ. 2

ათი ოდესელი ებრაელი ქალი წასულა პეტერბურგში სამედიცინო განათლების მისაღებად.

1875, №107. გვ. 2

1870 წ. კავკასიაში ირიცხებოდა 22 733 ებრაელი.

1875, №108. გვ. 2

რუსეთის ებრაელების დასახლების უფლება-უუფლებობის შესახებ.

1875, №121. გვ. 3 - 4

ერთი ცამეტი წლის ოდესელი ვუნდერკინდი ხანმის შესახებ.

1876, №16. გვ. 2

ქუთაისის ხანძრის შესახებ.

1876, №17. გვ. 3

ქუთაისის ხანძრისა და მისი ჩაქრობის შესახებ.

1876, №23. გვ. 3

მოსკოვში დაიჭირეს ქ. ნიკოლაევის ბანკის მძარცველი ებრაელები.

1875, №115. გვ. 3

ოქრომჭედელსა და ებრაელს შორის მომხდარი დავის შესახებ.

1876, №28. გვ. 1

ხალხმა ყმანვილის მოტაცება ურიებს დააბრალა.

1876, №103. გვ. 3

„ურიების თორა და მათი დღესასწაული“. აღწერს სინაგოგის

აღჭურვილობას და ერთ-ერთი ლოცვის პროცესს. ავტორი ზ. ჭიჭინაძე.

1876, №110. გვ.

კულაშვილი ებრაელი გაძარცვეს ყაჩაღებმა.

1876, №126. გვ. 3

ცხინვალში 300-მდე კომლი ებრაელი, ნაწილი სომეხი და ნაწილი ქართველები ცხოვრობენ (ოსები ხსენებაშიც არაა — შ. ნ.).

1876, №128. გვ. 2

წერილი დიმ. ბაქრაძისადმი. წერილში აღწერილია თბილისში ჯვარის მამის ვინრო ქუჩაზე მდებარე შესანიშნავი დარბაზი, რომლის ყიდვა მოუხდომებიათ ურიებს (სექტანტებს), მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

1877, №27. გვ. I

ს. მესხის წერილი თბილისიდან (აშქენაზი) ებრაელების გასახლების შესახებ.

1877, №38. გვ. 2

სურამის ებრაელებს აბრალებენ ბავშვის მოტაცებას.

1877, №40. გვ. I

ს. მესხი სურამის ებრაელთა დარბევის შესახებ.

1877, №40. გვ. 2

აღწერს სურამის სომხებსა და ებრაელებს შორის მომხდარ შეტაკებას.

1877, №46. გვ. 3

დანვრილებით აღწერს სურამში მომხდარი ამბის მიზეზ-შედეგს. ავტორი ილია ალხაზიშვილი.

1877, №51. გვ. 3

ჭორები ახლადდაწყებული ომის შესახებ.

1877, №59. გვ. 2

ქუთაისის სალოცავში შევარდა ვილაც კაცი და ყვიროდა შვილი დამიბრუნეთო. ამ დროს ბიჭი თამაშობდა ქუჩაში ამხანაგებთან. მიმდინარეობს გამოძიება.

1877, №89. გვ. 3

ქუთაისის გიმნაზია 2 ებრაელმა დაამთავრა.

1877, №118. გვ. 3

წყალდიდობა ახალციხის ებრაელთა უბანში.

1877, №129. გვ. 2

ქუთაისელი რაბინის ამბიციები.

1877, №208. გვ. 2

„ურეების დაბადება და ამალღება“. აღწერს ებრაელთა ერთ-ერთი დღესასწაული ლოცვის პროცესს. ავტორი ზ. ჭიჭინაძე.

1877, №210. გვ. 3

გაზეთი აფრთხილებს ტყის მჭრელებს არ ენდოთ ოდესიდან და ვარშავიდან ჩამოსულ ტყით მოვაჭრე ებრაელებს.

1878, №7. გვ. 2 - 3

„ვინმე მესხი“ (ივანე გვარამაძე - დ. ხ.) წერს ახალციხის ებრაელთა და სომეხ ვაჭართა შესახებ.

1878, №71. გვ. 2

ქუთაისში ურეების უბანში ანტისანიტარიის შესახებ.

1878, №80. გვ. 3

საჩხერის ებრაელებს აბრალევენ ბავშვის მოტაცებას.

1878, №101. გვ. 3

დანვრილებით აღწერს ბავშვის ამბავს, რომლის მოტაცებასაც ებრაელებს აბრალებდნენ.

1878, №104. გვ. 2

ვილაცა აფერისტი ებრაელი ატყუებს ზემო იმერლებს და ფულს სცანცლავს.

1878, №108. გვ. 3

„საქართველოში რიტუალური ბრალდების აჩრდილი დადის. იგი ახლა გორს ეწვია“.

1878, №108. გვ. 2

„ეს ცრუმორწმუნეობა (ქრისტიანი ბავშვისგან სისხლის აღება ებრაელების მიერ რიტუალური საჭიროებისათვის) ერთობ მკვიდრად არის ჩვენში გავრცელებული“...

1878, №126. გვ. 4

ბოსტონში ერთ-ერთ ქუჩას დაერქმევა რუბინშტეინის სახელი.

1892, №17, გვ. 2

ხონთქარს ახალ წელიწადს ოთხას-ოთხასი ლირა უბოძებია სომეხთა, სომეხ კათოლიკეთა, ბერძენთა პატრიარქებისათვის, აგრეთვე ებრაელთა რაბინისათვის.

1892, №17, გვ. 4

ვენა. მესაზღვრეებს უბრძანეს ქვეყანაში არ შეუშვან ღარიბი და უპასპორტო ლტოლვილი ებრაელები რუსეთიდან.

1892, №27, გვ. 2

ქუთაისში მე-2 რიგის ხმოსანთა 4 წევრმა ხელახლა იყარა კენჭი. გაიმარჯვეს შ. რიჟინაშვილმა და ალიბეგოვმა.

1892, №27, გვ. 2

შორაპნის მაზრაში დაიჭირეს იაკობაშვილისა და ციცია-შვილის მკვლელობის თანამონაწილე რობაქიძე.

1892, №30, გვ. 3

ქუთაისი. მესამე რიგის ხმოსნებად აირჩიეს 2 ებრაელი.

1892, №67, გვ. 1

სამმა ოსმა გაძარცვის მიზნით სცემა ქარელელ ებრაელს მდ. დამის პირას. მცხოვრებლებმა დაინახეს ჩხუბი და გამოვარდნენ გასაშველებლად. ოსები გაიქცნენ.

1892, №76, გვ. 2

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი. ახლად მონათლული ებრაელები ითხოვენ ნება მოგვეცეს ხელახლა ვიქორწინოთო. მსჯელობაა ამ საკითხზე.

1892, №91, გვ. 4

პარიზში დაიჭირეს მორდესაი ბუტმანი, რომელიც 43-ჯერ მოინათლა და მიღებული საჩუქრებით ინახავდა საყვარელს.

1892, №96, გვ. 4

ახლად დამტკიცებული კანონპროექტების მიხედვით უნდა დაი-

ხუროს ებრაელთა ხედვრები, მათ მაგიერ დააარსონ მთავრობის სკოლები, სადაც ისწავლება ებრაული ენა, საღმრთო წერილი მომზადებული მასწავლებლების მიერ.

1892, №113, გვ. 4

პეტერბურგი. „ებრაელთა საახალშენო ასოციაციას“ ნება მისცეს დაიწყოს მოქმედება რუსეთში.

1892, №116, გვ. 1

გაზეთი იტყობინება ახალციხეში ორი მეგობარი ვაჭრის ჩხუბის შესახებ. რა ვერ გაიყვეს, საინტერესოა!

1892, №121, გვ. 3

ლონდონში დაარსდა „ებრაელთა საახალშენო ასოციაცია“, რომელსაც აზრად აქვს რუსეთიდან და ევროპიდან ებრაელები ამერიკაში (ძირითადად არგენტინაში — შ. წ.) გადაასახლოს. რუსეთის მთავრობამაც უკვე ნება დართო.

1892, №122, გვ.

ინფორმაცია ბარონ ჰირშისა და მისი ოჯახის შესახებ.

1892, №122, გვ. 3

რუსეთში გაიხსნა არგენტინაში ებრაელთა გადასახლების მთავარი კომიტეტი. იხსნება ფილიალები ევროპაში.

1892, №124, გვ. 3

რუსეთი უარყოფს ხმებს ებრაელთა გადასახლების კომიტეტის არჩევის შესახებ.

1892, №124, გვ. 4

ქუთაისის ბანკი აცხადებს 18 7/12 წლიან სესხს. ჩამოთვლილია 5 ებრაელის გვარი მისამართების ჩვენებით.

1892, №124, გვ. 3

პარიზში წაიკითხეს ტონდოსის მემუარი რუსეთში გრიგორიანული კალენდრის შემოღების თაობაზე ისე, რომ ქრისტიანული პასეჟი არ უნდა უსწრებდეს და არც ემთხვეოდეს ებრაულს.

1892, №146, გვ. 4

პოლიციას ნება მიეცა, ებრაელები, რომლებიც ცხოვრობენ სოფლებში, რაც არაა ნებადართული მათთვის, გაასახლონ მათი ბინადრობის ზონის ადგილებში.

1892, №147, გვ. 2

ტფილისის ებრაელთა საზოგადოებამ შეაგროვა 500 მან. ფული მძვინვარე ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1892, №157, გვ. 2

„სოფ. კულაშში ამ ხოლერის დროს საშინელი უსუფთაობაა პატარა ბაზარში, სადაც უმეტესობა ვაჭარი ურიებია“.

1892, №159, გვ. 4

პრუსიის საზღვრის ჩაკეტვის გამო გადასახლების მსურველ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი გაუქმდა.

1892, №168, გვ. 2

საჩხერელ ებრაელებს ფიცი დაუდვიათ, ოღონდ ხოლერას გადავრჩეთ და სარგებელს აღარ ავიღებთ მოვალეებისგანო.

1892, №168, გვ. 2

ცხინვალში ყველაზე მეტად მძვინვარებს ხოლერა ებრაელთა უბანში.

1892, №171, გვ. 4

რუსეთის მთავრობის აზრით ებრაელთა წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებანი იმიტომ ჰგონიათ მეტისმეტად მკაცრად, რომ ებრაელთა ნახევარზე მეტი რუსეთში ცხოვრობს.

1892, №177, გვ. 4

პარიზი. მორესს ბრალად ედებოდა ფულიანი ებრაელის მოკვლა. სასამართლომ გაამართლა.

1892, №191, გვ. 2

საჩხერეში ერთი ბენო ადგილზე ცხოვრობენ ურიები და სომხები.

1892, №195, გვ. 4

ნიუ-იორკის დიდ სალოცავში 1000-მდე მლოცველი იყო შეკრებილი. ყვრილზე „ცეცხლი, ცეცხლიო,“ ატყდა ერთი ჩოჩქოლი. ოთხი დაიღუპა, 12 დაიჭრა.

1892, №195, გვ. 3

ერთი ებრაელის ბავშვმა პირველდანიყებითი განათლების მიღების შემდეგ მოისურვა სწავლის გაგრძელება. საექიმო კომისიამ მისცა უფლება — ჯანმრთელი ხარო, გამოცდები კარგად ჩააბარა, მაინც არ მიიღეს. ინფორმაციის ავტორი ასკვნის: „უნდა ვიფიქროთ, რომ ანტისემიტობამ ჩვენს სკო-

ლებშიც ფეხი შეუდგამს“.

1892, №204, გვ. 4

(იხ. №195 – შ. წ.)

1892, №207, გვ. 3

იერუსალიმსა და იაფას შორის დაიწყო სარკინიგზო მიმოსვლა.

1892, №216, გვ. 3 - 4

«Новое время»-ს აზრით პეტერბურგში ამ შემოდგომის დამლევს დაიწყებს მოქმედებას „ებრაელთა გადასახლების მთავარი კომიტეტი“.

1892, №261, გვ. 3

ავსტრია-გერმანიაში ანტისემიტიზმის გაძლიერების შესახებ.

1892, №263, გვ. 2 - 3

სუჯუნა. ხოლერით გარდაცვლილი მიცვალებული დაასაფლავეს ძველი ეკლესიის ტერიტორიაზე ებრაელთა სამოსახლოს ახლოს. ებრაელთა პროტესტი და განა-მანია. მოითხოვენ სხვაგან გადასვენებას.

1892, №265, გვ. 3

გერმანია. კონსერვატორების კრებაზე მოითხოვეს ებრაელთა უფლებების შეზღუდვა. ყველა უბედურების მიზეზად ებრაელები გამოიყვანეს.

1892, №268, გვ. 2

ბანძა. „ურია კარში“ ვაჭრობენ ურიები. სავაჭრო დღედ კვირა გამოაცხადეს. ეკლესიის მაგივრად ხალხი იქ მიდის“.

1892, №266, გვ. 4

ქუთაისის ბანკის განცხადება (დ. ხ.). ჩამოთვლილია ებრაელთა 7 ოჯახი მისამართებით.

1892, №268, გვ. 5 - 6

იგივე. ჩამოთვლილია 4 ებრაელის ოჯახი მისამართებით.

1892, №269, გვ. 3

კულაშსა და სამტრედიას შორის დავაა, თუ სად უნდა იყოს ბაზრობა პარასკევობით. თუ კულაშში გაიმართება აქაური ებრაელები კიტრის ფასად ჩაიგდებენ ხელში ყველაფერს.

1892, №277, გვ. I

ოდესის სასტუმროში ორი ქართველი ებრაელის მკვლელობის საქმე გაარჩია სასამართლომ. მუშკუდიანსა და სანაძეს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს, ხოლო რობაქიძესა და ტერ-ანტონოვს 14 და 10 წლით კატორღა.

1893, №3, გვ. 2

ქარელში ძლიერი სიცივეები დაიჭირა. ტყეში შეშისთვის წასული ხისკო ციცაშვილი (? – დ. ხ.) უკანა გზაზე დავარდნილა და მეორე დღეს მკვდარი უპოვიათ.

1893, №9, გვ. 2-3

„მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში და ხმლით აღება იერუსალიმის ქალაქისა ქართველთაგან 1527წ“. გაგრძელებები №№ 12, 13, 14. ავტორი თედო ჟორდანია.

1893, №11, გვ. 2

პეტერბურგი. ებრაელებს, აგრეთვე უცხოეთის საზოგადოებებს უფლება ეძლევათ შეიძინონ ნავთობიანი მიწების აქციები, ნავთობის წყაროები და იჯარით აიღონ ნავთის წარმოება კავკასიაში.

1893, №12, გვ. 3

სტამბოლში მყოფ ინგლისის ელჩს თურქეთში პორტას წარმომადგენლები უმტკიცებდნენ, რომ ებრაელებმა უნდა იცხოვრონ იმ ქვეყნის კანონებით, სადაც იმყოფებიანო.

1893, №24, გვ. 2

ტფილისი. ებრაელებს, რომელთაც უძრავი ქონება გააჩნიათ ამორჩევით არ ამოირჩევენ, მაგრამ შეიძლება მათი ხმოსნებად დანიშნა.

1893, №36, გვ. 2 - 3

ტფილისის ამომრჩეველთა რიცხვი — 2212. აქედან ებრაელები 10 (0,4%).

1893, №36, გვ. 4

ვენა. ეპისკოპოსთა კონფერენცია პროტესტს უცხადებს იმპერატორს ებრაელთა სარწმუნოების შემწყნარებლობის გამო.

1893, №48, გვ. 4

ბერლინი. კონსერვატორებმა მოითხოვეს, მთავრობამ შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომელიც აუკრძალავს გადმოსახლებას ებრაელებს, თუ ისინი გერმანიის ქვეშევრდომები არ არიან.

1893, №50, გვ. 3

„ქუთაისის გუბერნიის მკვიდრნი“ ი. ი. პანტიუხოვისა. აქ ლაპარაკია აგრეთვე ამ მხარის ებრაელების შესახებ.

1893, №55, გვ. 4

ებრაელებს იალტაში ცხოვრების უფლება არა აქვთ.

1893, №65, გვ. 3

ხანძარი იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში.

1893, №67, გვ. 4

კიოლნში ორი დღეა გრძელდება ებრაელთა სანინააღმდეგო გამოსვლები.

1893, №77, გვ. 4

უნგრეთის სეიმს მთავრობამ წარუდგინა ორი კანონპროექტი, რომელთა მიხედვით ებრაელთა სარწმუნოებას მიენიჭება ქრისტიანობის თანაბარი უფლებები.

1893, №82, გვ. 2

ებრაელთა სამლოცველოს გაქურდვა მოინდომა ნახჩევანის მცხოვრებმა ავეტიქ ნაზაროვმა, მაგრამ დაიჭირეს.

1893, №99, გვ. 4

პეტერბურგი. „მინად-მფლობელ საზოგადოებაში,“ რო-მელიც სოფლის მეურნეობის ნაწარმს საზღვარგარეთ გაიტანს მიიღება რუსეთის ყველა ქვეშევრდომი გარდა ებრაელისა.

1893, №125, გვ. 2

ახალი სენაკი. აბრეშუმის მოსავალი კარგი იყო წელს, მაგრამ მყიდველი ებრაელთა გარდა არავინაა.

1893, №130, გვ. 2

„კავკაზის“ ცნობით ებრაელები უნდა გაესახლებინათ ამ-იერკავკასიიდან, მაგრამ მათი თხოვნა ცოტა ხანს კიდევ დაეტოვათ დააკმაყოფილა მიხეილ ნიკოლოზის ძემ პეტერბურგში.

1893, №130, გვ. 2

რამდენიმე მეცნიერს განუზრახავს ებრაელთა ისტორიის დანერა. მიმართეს ქართველ ებრაელებს მათ შესახებ ცნობებისათვის.

1893, №133, გვ. 2

კვლავ ბაზრობის გამართვის შესახებ, რომელიც კულაშში უნდა გამართულიყო ხუთშაბათობით, გუბერნატორმა უარი თქვა.

1893, №133, გვ.

კულაშსა და სამტრედიას შორის გამართულ დავაში ბაზრობის ადგილთან დაკავშირებით პარასკევობით გაიმარჯვა სამტრედიამ.

1893, №136, გვ. 1

ტფილისში ებრაელმა მიიღო სომხური გრიგორიანობა.

1893, №137, გვ. 1

ავნევის გზაზე ყაჩაღებმა გაძარცვეს ცხინვალელი ებრაელი.

1893, №138, გვ. 3

რუმინეთში ჩატარდა ებრაელთა კონგრესი; განიხილავენ ებრაელი სამხედროების უფლებებს.

1893, №153, გვ. 1

ერედეთან ცხენი წაართვეს ერთ ებრაელს.

1893, №167, გვ. 2

იერუსალიმიდან იტყობინებიან, რომ სომეხთა პატრიარქი მკრტირ I 5 აგვისტოს გამოემგზავრება აქედანო.

1893, №189, გვ. 1

სურამი. ამ ორ დღეში უკვე გარდაიცვალა პირლებინებითა და ფალარათით 4 ებრაელი და 1 სომეხი.

1893, №201, გვ. 2

ამ წლის დამდეგს სახელმწიფო საბჭო განიხილავს ებრაელთა მდგომარეობას — იუნყება «НОВ. ВР.»

1893, №212, გვ. 2

„ლაილაშში ორი ურიის ქალი და ერთი სომეხი მარჩიელობას მისდევენ და ატყუებენ ხალხს“.

1893, №215, გვ. 1

სამტრედიასი მატარებელმა ფეხი დაუშავა ქუთაისელ ებრაელს ბალუაშვილს.

1893, №219, გვ. 2

რაბინოვიჩმა პოლიციას აცნობა თბილისში ოდესიდან ჩამოსული ბრილიანტებით მოვაჭრის რაშკევიჩის დაკარგვის შესახებ.

1893, №220, გვ. 2

პოლიცია ეძებს დაკარგულ რაშკევიჩს. ეჭვია, რომ იგი მოკლეს

შუა ბაზარში ოქრომჭედლებისა და ფრანგების ქუჩებს შუა.

1893, №223, გვ. 1

პოლიციას გაექცა ვინმე წულუკიძე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო რაშკევიჩის მკვლელობაში.

1893, №224, გვ. 4

იერუსალიმი. ბეთლემის ეკლესიაში წირვის დროს მოხდა ჩხუბი, მოკლეს ერთი ბერი და დაჭრეს 4.

1893, №228, გვ. 2

50 თუმანი დანიშნეს საჩუქრად, ვინც იპოვის რაშკევიჩის გვამს.

1893, №228, გვ. 3

საუბარია ებრაელთა საპასპორტო რეჟიმის შესახებ.

1893, №236, გვ. 4

„ტაიმსს“ არ მოსწონს ებრაელთა წესით პირუტყვის დაკვლა.

1893, №245, გვ. 1

პოლიციას შეატყობინეს მოკლული რაშკევიჩის გვამი ვიპოვეთო. მკვლეელი აღმოჩნდა ვინმე ხუციშვილი.

1893, №245, გვ. 2

სენატმა უნდა გადაწყვიტოს, ჯარში ნამსახურებ ახალგაზრდა ებრაელებს შეუძლიათ თუ არა ჩაენერონ საზოგადოებაში და შეიძინონ უძრავი ქონება ბინადრობის ზონის გარეთ.

1893, №249, გვ. 2

პეტერბურგში დროებითი ცხოვრების ნებართვას ებრაელთათვის იძლევა მხოლოდ შს მინისტრი გრადონაჩალნიკის ნაცვლად.

1893, №253, გვ. 4

პეტერბურგი. ებრაელთა გადასასახლება მათთვის განკუთვნილ ადგილიდან მოხდება 1894 წ. I ივნისიდან.

1893, №258, გვ. 3

რიტუალურ პროცეში გამართლებული ებრაელების წინააღმდეგ პროკურორმა მოითხოვა დამატებითი გამოძიება ქ. რახოვში.

1893, №273, გვ. 2

ებრაელ ჯარისკაცთა შვილებს სენატმა ნება დართო შეიძინონ

უძრავი ქონება ბინადრობის ზონის გარეთ.

1893, №274, გვ. 2

რაშკევიჩის მკვლევლობაში 4 კაცი მონაწილეობდა.

1893, №277, გვ. 3

ებრაელებმა პეტერბურგში ახალი სინაგოგა ააშენეს, რაც ნარკვევის ავტორს დიდ გამარჯვებად მიაჩნია.

1894, №52, გვ. I

ახალი ამბავი. ქარელში ჩხუბი ორ ებრაელს შორის ერთის სიკვდილით დამთავრდა.

1894, №55, გვ. 3

სავალდებულოა, თუ არა ებრაელთათვის წინადაცვეთა? ვორონეჟში ებრაელმა არ მოინდომა შვილის წინადაცვეთა.

1894, №73, გვ. 3

რომელი არარატია? წერილში ლაპარაკია პ. გნედიჩის საეჭვო აზრის შესახებ, თითქოს ბიბლიური არარატი ა/კავკასიის არარატი არააო.

1894, №91, გვ. 3

„კიდევ ქართველთა მონასტრების შესახებ პალესტინაში“. წერილის ავტორია - „ვინმე მესხი (გვარამაძე ი.)“

1894, №95, გვ. 3

ებრაელთა დარბევა ეკატერინოსლავში.

1894, №109, გვ. 4

„ისევ პალესტინის მონასტრებზედ,“ ავტორი მ. კელენჯერიძე.

1894, №106, გვ. 4

ნოეს საფლავი უჩვენებიათ ნახჩევანში, კიდევ უნახავს აშხაბადიდან 45 ვერსის დაშორებით გეოქთაფის ახლოს, რომელზეც მეჩეთი იდგა. ავტორი გიორგი ჩელთისპირელი.

1894, №114, გვ. 2

ახალციხეში ანტისანიტარიაა, განსაკუთრებით კი ებრაელთა უბანში.

1894, №116, გვ. 3

„ახალციხეში ცხოვრობენ ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები და ებრაელები. ქართველები და ებრაელები ძველი მცხოვრებნი არიან“.

1894, №131, გვ. 4

„პასუხად გიორგი ჩელთისპირელს – სად უნდა ეცხოვროს ნოეს“. ავტორი „ვინმე მესხი“.

1894, №149, გვ. 2

წერილი სამტრედიიდან. კვლავ ბაზრობის გამართვის შესახებ კულაშში პარასკეობით.

1894, №155, გვ. 3

ი. ელიოზიშვილის კორესპონდენცია ცხინვალში მცხოვრებებზე ებრაელთა, სომეხთა და სხვათა შესახებ. მათ შორის სწავლავანათლებლის მდგომარეობის შესახებ.

1894, №164, გვ. 2

ქუთაისი. ებრაელმა ხათუნა ენუქაშვილმა რევოლუციური ესროლა სინაგოგაში მიმავალ მ. ციციაშვილს.

1894, №178, გვ. 1

ახალი სენაკი. გაძარცვეს ძველი სენაკიდან მომავალი ებრაელი და ქართველი.

1894, №203, გვ. 3 - 4

აბრეშუმით ვაჭრობა სამეგრელოში ბერძნებისა და ებრაელების ხელშია.

1894, №205, გვ. 1

ვენა. მაგნატთა პარლამენტმა განიხილა კანონ-პროექტი ებრაელთა სარწმუნოების სხვა სარწმუნოებებთან უფლებრივი გათანაბრების შესახებ.

1894, №240, გვ. 3

ცეცხლმა ცხინვალში ურიების უბანი შთანთქა.

1894, №241, გვ. 3

საჩხერე. ფულის გამოძალვის საშუალება. ვიღაცამ იჩივლა ჟანდარმერიაში, თითქოს, ებრაელებმა ქრისტიანის საფლავი შეურაცხვეს. გამოძიებამ ებრაელები გაამართლა.

1894, №247, გვ. 2

საჩხერეში ბოქაულსა და მის ხალხს ერთის მხრივ და ებრაელს შორის მეორეს მხრივ მოხდა ჩხუბი. ებრაელმა სამივეს ჯოხით ძლიერ სცემა. დაიჭირეს ოთხი ებრაელი.

1894, №258, გვ. 4

ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა ძმები მოშიაშვილების საქმე, რომლებიც ჩიოდნენ მალაზია გაგვიქურდესო.

1894, №262, გვ. 3

რაშკევიჩის მკვლელობაში მონაწილე ებრაელმა აღიარა, რომ გვამი დაკუნეს და მტკვარში გადაყარეს.

1894, №267, გვ. 2

ცხინვალი. ექიმმა დაიარა დუქან-ბაზარი. ყველას უბრძანა, განსაკუთრებით ებრაელებს, დაესუფთავებინათ.

1894, №276, გვ. 3

ხელმწიფე იმპერატორი მადლობას უხდის ქუთაისის ებრაელობას მილოცვისთვის ცოლის შერთვასთან დაკავშირებით.

1895, №51, გვ. 1

რაბინმა უნდა აცნობოს სტატისტიკურ ბიუროს ყოველი ქორწინების, დაბადებისა და ნათლობის, აგრეთვე სიკვდილის შესახებ. სიკვდილის შესახებ უნდა ეცნობოს პოლიციასაც.

1895, №63, გვ. 1

ებრაელთა რაბინი ლევინი არჩეულ იქნა სახელმწიფო რაბინად.

1895, №64, გვ. 4

რამდენიმე შენიშვნა ახალ დაბეჭდილ ქართული „დაბადების“ შესახებ. წერილში საუბარია გაპარულ შეცდომებსა და სხვა ნაკლოვანობებზე.

1895, №65, გვ. 3

ახალი სენაკი. კვირა დღეს დუქნები დაკეტილია. მაგრამ რამდენიმე ებრაელი ჩუმ-ჩუმად ვაჭრობს. ითხოვენ ზომების მიღებას.

1895, №67, გვ. 4

პეტერბურგი. „ხრონიკა ვასხოდ“-ს გაუგონია, რომ ჰირში აპირებს კუნძულ კრეტას შექენას ებრაელთა დასასახლებლად არგენტინის ნაცვლად.

1895, №70, გვ. 2

„სააღდგომო მოსაზრება“. ქრისტიანთა მტრულმა დამოკიდებულებამ, თვლის ავტორი, დაუბადა ებრაელებს წინააღმდეგობისა და გასაოცარი სულიერი ძალა, რამაც შეუწარმუნა თავისი ეროვნული სახე და ხასიათი. საჭიროა ებრაელთა ემანსიპაცია ყველგან, როგორც ესაა ევროპის მოწინავე ქვეყნებში. ძველი

ქართველი“.

1895, №93, გვ. 1

რაშკევიჩის მკვლევლობაში თანამონაწილე 8 კაცი აგვისტოში ან სექტემბერში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

1895, №95, გვ. 4

ვენა. უნგრეთის პარლამენტმა გადაწყვიტა ებრაელთა უფლებრივი გათანაბრება სხვა ერებთან.

1895, №101, გვ. 4

პარიზი. დეპუტატ დენისის აზრით უმაღლეს დანესებულებათა უმთავრესი ადგილები ებრაელებს უჭირავთ და ამიტომ ალჟირის სიმდიდრე ებრაელმა კაპიტალისტებმა ჩაიგდეს ხელში.

1895, №121, გვ. 3

ცხინვალი. აქ ცხოვრობს 277 კომლი ებრაელი. „ვაჭრობა სომხისა და ურიის ხელშიაო“

1895, №146, გვ. 4

გერმანული გაზეთის „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ აზრით რუსეთის მთავრობამ ებრაელები „მუჟიკებს“ ჩაუგდო ხელში საჯიჯგნელად. იგი ძალით აქრისტიანებს ურიებს. 100 000 ებრაელი უკვე გააქრისტიანა.

1895, №146, გვ. 2

ქუთაისი. კოსტავასა და ებრაელების ინციდენტი, რომელიც კოსტავას რიონში დახრჩობით დამთავრდა.

1895, №154, გვ. 3

ურიების უბანთან ახლოს ცხინვალში, ლიახვის ნაპირას ბალი გააშენეს.

1895, №160, გვ. 1

საჩხერელ ებრაელს არონ ციციამვილს უნდოდა მატარებელზე შემხტარიყო, მაგრამ ვერ მოასწრო და დაიღუპა.

1895, №172, გვ. 3

ჩვენი ისტორიულნი ნაშთნი და მათი სვე (წერილი მებუთე). ახალციხის ებრაელები, განსხვავებით სხვებისაგან მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ, თუმცა სომხურიც იციან და თათრულიც.

1895, №182, გვ. 1

ბრონის ქუჩაზე თამამშევის სახლების წინ, რომელშიც ერთი

ურიაც ცხოვრობს, სალამოობით საძაგელ სიტყვებს ხმარობენ ამ ოჯახის გასათხოვარი ქალების მიმართ.

1895, №224, გვ. 2

კორესპონდენცია გადმოსცემს ებრაელებისა და კოსტავას შორის მომხდარ ინციდენტს, რაც კოსტავას რიონში დახრჩობით დამთავრდა.

1895, №242, გვ. 3

ახალი კანონ-პროექტის მიხედვით ებრაელებს შეუძლიათ გაჩერდნენ სატახტო ქალაქებში 2 კვირა, საგუბერნიო ქალაქში — 8 დღე, სხვა ადგილებში — 6 დღე.

1895, №246, გვ. 4

მწერალ ანტონ ფურცელაძის წერილი ქუთაისში ებრაელთა და კოსტავას შორის მომხდარი ინციდენტის გამო. წერილში აკრიტიკებს ზოგიერთი გაზეთისა და მოღვაწის ანტიებრაულ არასწორ გამოსვლას.

1895, №255, გვ. 2

ბ-ნ. ანტონ ფურცელაძეს. წერილი ეხება შემოხიზნულთა მოქცევა-მოქმედებას კოსტავასთან მომხდარი ინციდენტის ქრილში.

1895, №262, გვ. 4

მახვილი თუ ინდუსტრია? პასუხი ბ-ნ „ი“-ს წერილზე. ბ-ნი „ი“ თავის წერილში ან. ფურცელაძისადმი წერდა, რომ შემოხიზნულები (იგულისხმება ებრაელები — შ. ნ.) თავს გავიდნენ და აივსო საწყაო (ფიალა — შ. ნ.). ან. ფურცელაძე პასუხობს და ამტკიცებს, რომ მისი მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.

1896, №54, გვ. 1

ქუთაისში კოსტავას მკვლელობასთან დაკავშირებით დაჭერილია 7 ებრაელი.

1896, №60, გვ. 4

სასამართლოს მატთანე. წერილი ეხება ლ. კოსტავას მკვლელობის საქმეს.

1896, №86, გვ. 1

ცხინვალში რაბინად კვლავ ხვოლესი აირჩიეს.

1897, №3, გვ. 2

ს. ზემო ფლევის მცხოვრებმა მოკლა სურამელი ებრაელი იუდა

ჯანაშვილი გაძარცვის მიზნით.

1897, №6, გვ. 3

„ნოვოე ვრემიას“ შეუტყვია, რომ რუსეთიდან ებრაელები მიდინან აფრიკაში ბედის საცდელად.

1897, №10, გვ. 1

ბრიტანეთის საღმრთო წერილის საზოგადოებამ მიიღო ქართული დაბადების დაბეჭდვის ნებართვა.

1897, №22, გვ. 2

მას შემდეგ, რაც შარშან ურიები ცეცხლმა გაანადგურა, მონინდომეს ბაზრობის გადატანა ქუთაისიდან „საბეჟაში,“ მაგრამ ნება არ დართეს.

1897, №23, გვ. 3

რუსეთის სენატმა განმარტა, რომ ებრაელებს ციმბირში ცხოვრების უფლება არ აქვთ.

1897, №23, გვ. 23

შოთას ახალი სურათი და მისი ბიუსტი. საუბრობს იერუსალიმში ჯვრის მონასტერში არსებული შოთა რუსთაველის ფრესკის შესახებ.

1897, №42, გვ. 2

ახალი ვარიანტი ქართული დაბადებისა. მიმოიხილავს ქართული დაბადების გადაწერის ისტორიას, ზოგიერთ ფონეტიკურ თავისებურებებს.

1897, №44, გვ. 3

კიევის გუბერნიის დაბა შპოლაში ვილაცამ ხმა გაავრცელა - კანონით არაა აკრძალული ებრაელთა ქონების გაძარცვაო და ხალხი დაეცა ებრაელებს და გაძარცვა.

1897, №43, გვ. 2

ახალი ვარიანტი ქართული დაბადებისა. ესაა №42-ში მოთავსებული წერილის დასასრული.

1897, №50, გვ. 3

რუსეთის მთავრობას განუზრახავს ებრაელ ქალებს ნება დართოს უმაღლეს სამკურნალო კურსებზედ ისწავლოსო.

1897, №59, გვ. 4

გალიციის ქალქ ხალოროვში რკინის გზის მოხელენი თავს

დაეცნენ ურიებს, რომლებსაც აბრალებენ – გვაზარალებსო.

1897, №67, გვ. 3

ტფილისის ებრაელთ მიუმართავთ ქალაქის ხელმძღვანელობისათვის ნება დაერთოთ 6 და 12 აპრილს ღამე დაეკლათ საკლავი, რადგანაც მხოლოდ ღამე დაკლული საქონლის ხორცი გვეჭმებაო. თხოვნა დაკმაყოფილდა.

1897, №76, გვ. 2

რუსეთი. გამოაცხადეს, რომ ებრაელებს, კალმიკებსა და კირგიზებს, რომელთაც ქრისტიანობა მიუღიათ შეუძლიათ გადავიდნენ სახოვრებლად ქრისტიანთა შორის ადგილებში.

1897, №98, გვ. 2 - 3

შოთა რუსთაველის ბიუსტის შესახებ.

1897, №115, გვ. 3

სასამართლომ ქუთაისში მომხდარი არეულობისა (1895 წ. ლ. კოსტავას მკვლელობასთან დაკავშირებით) და ებრაელთა დარბევის მონაწილეებს მიუსაჯა გადასახლება ციმბირში და ზოგს სხვა სასჯელი.

1897, №121, გვ. 2

1896, წ. ტფილისში ცხოვრობდა ებრაელი 1613 მამაკაცი და 1397 ქალი.

1897, №127, გვ. 3

კონსტანტინოპოლიდან იუნყებიან, რომ მაჰმადიანებს, ქრისტიანებს და ურიებს დეპეშა გაუგზავნიათ ოსმალეთის დიდი ვეზირისათვის დაგვიცავით ადგილობრივი ბანდიტებისგანო.

1897, №131, გვ. 2

ზიბერმანს ტფილისის სადგურზე ყალბი ფული მიჰყიდეს.

1897, №140, გვ. 2

საბრალო მილიონერი. ინფორმაცია ეხება მილიონერ ბარნატოს, რომელიც ღარიბი იყო, მაგრამ მერე გამდიდრდა. როგორც ამბობენ ძლიერ კეთილი გულის კაცი იყო და ღარიბებს ეხმარებოდა. გაკოტრების დაწყებისთანავე თავი მოიკლაო. იგი ებრაელი ყოფილა.

1897, №171, გვ. 3

ვანი. მამასახლისის არჩევნები. ბაზრობის ადგილის შერჩევისას ხალხის ერთ ნაწილს უნდოდა ბაზრობა გამართულიყო „ურიებში“, სადაც დუქნებიც ბევრი იყო და ადგილებიც.

1897, №174, გვ. 1

ოდესაში მოსამართლეთა კრებას გადაუწყვეტია, რომ ებრაელებსა და არაქრისტიანებს შეუძლიათ იმუშავონ კვირა დღეს, ოღონდ ქრისტიანი არ უნდა ამუშავონ.

1897, №178, გვ. 3

ახალციხეში ცხოვრობენ სომხები, ქართველები, ურიები, რუსები და ბერძნები. ქართველები და ებრაელები – რაბათში, დანარჩენნი პანში.

1897, №181, გვ. 3

უცხოეთი. სიონისტთა კონგრესი. ამ რამდენიმე დღის წინ ბაზელში ჩატარდა სიონისტთა კონგრესი. შემდეგ საუბარია სიონისტების, მათი მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

1897, №182, გვ. 2

ცხინვალი. საუბარია სოფელ-სოფელ მოვაჭრე ებრაელებზე და მათ მიერ ხალხის მოტყუებაზე.

1897, №184, გვ. 4

3 სექტემბერი. ტფილისის სამოსამართლო პალატაში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ებრაელ წვეთაშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის გამო შორაპნის მაზრის სოფ. ნაბებრებში.

1897, №185, გვ. 2

პეტერბურგში ბარონ ჰირშის მემკვიდრეთა რწმუნებული ჩამოვიდა.

1897, №191, გვ. 2

ქ. ფოთი. 14 სექტემბერს ეზოში თამაშისას ერთი ებრაელი ბავშვი ქაში ჩავარდა. გადაარჩინეს.

1897, №221, გვ. 4

რუსეთში ებრაელ ასოთამწყობებს ნება ეძლევათ იცხოვრონ სატახტო ქალაქებში.

1897, №223, გვ. 3

რუსეთი. საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში, აგრეთვე დედათა სასწავლებელში შესვლის მსურველ ებრაელებს მოუწყონ გამოცდები.

1897, №254, გვ. 3

საფრანგეთი. გრაფ დე ბარეგარს ახალი კანონპროექტი შეაქვს

პარლამენტში ებრაელთა წინააღმდეგ.

1897, №260, გვ. 2

ვანში ერთ კუთხეს ეწოდება „ურები“, სადაც ბევრი დუქანია.

1897, №260, გვ. 3

რუსეთი. უმაღლეს სასულიერო უწყებას განუზრახავს გამოსცეს განსაკუთრებული წესები ებრაელთა მონათვლის შესახებ.

1898, №35, გვ. 3

სვეტიცხოვლის ტაძარი. სტატიაში მოთხრობილია აგრეთვე ებრაელთა მცხეთაში მოსვლისა და ცხოვრების შესახებ.

1898, №54, გვ. 23

ავსტრია-უნგრეთი. არეულობა გალიციაში ებრაელთა წინააღმდეგ.

1898, №57

წერილი დრეიფუსის საქმეზე.

1898, №59, გვ. 3

წერილი ეხება ქუთაისის საქალაქო კომიტეტის არჩევნებში ხმოსნებად ებრაელთა არჩევის უფუფლებობას. ამის გამო პროტესტსა და გაკვირვებას გამოთქვამს საზოგადოება.

1898, №62, გვ. 3

წერილი სურამიდან. ეხება სურამელ სომხებისა და ებრაელების საქმიანობას.

1898, №72, გვ. 8

ქ. ქუთაისი. სათავად-აზნაურო ბანკი აცხადებს ვაჭრობას. ჩამოთვლილია 2 ებრაელი, ახალციხეში – 1 ებრაელი.

1898, №92, გვ. 3

წერილები ინგლისიდან. წერილში საუბარია სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მცხოვრებლების შესახებ. მათ შორის რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მოსული ებრაელების შესახებაც.

1898, №95, გვ. 2

კულაში. ებრაელი მევალისა და ქართველი მოვალის ურთიერთობის შესახებ.

1898, №99, გვ. 2

ბაქოს საგუბერნიო სამმართველომ გააუქმა ბაქოს პოლიცმაის-

ტერის ბრძანება ებრაელთა საჩივრის საფუძველზე.

1898, №102, გვ. 2

სამხედრო ბეგარის გადასახდელად მოხდა კენჭისყრა 1877 წ. დაბადებულთა შორის. განვეულია 22 ებრაელი.

1898, №121, გვ. 4

„მინათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათ სამინისტროს რუსეთში განუზრახავს გაჰმართოს რამდენიმე ებრაელთა სამინათ-მოქმედო ახალშენი“.

1898, №132, გვ. 3

სოფ. ურიათუბანი. სახელიდან ჩანს, რომ წინათ აქ ებრაელები ცხოვრობდნენ. ეხლა არ არიან.

1898, №159, გვ. 2

კულამის ებრაელთა შორის გავრცელდა სენი მუცელა.

1898, №168, გვ. 2

ახალციხის გზაზე დაჭრეს ვაჭარი ებრაელი, რომელიც გარდაიცვალა.

1898, №175, გვ. 2

ქარელში ძმების ისხაკა და ხაიმა ციციაშვილების ოჯახი გაქურდეს.

1898, №175, გვ. 3

„ურეების ბაზარი სოფ. ვანში თანდათანობით იზრდება“.

1898, №183, გვ. 3

ბაქოს ებრაელმა ვაჭრებმა საპროტესტო წერილი მისწერეს ბაქოს გუბერნატორს პოლიცმანისტერის ახალ განკარგულებასთან დაკავშირებით.

1898, №186, გვ. 2

ს. ბანძა. „ცენტრში არის „ურიაკარი,“ მოვაჭრეები ურეები არიან“.

1898, №202, გვ. 2

სურამი. ებრაელების უბანში ანტისანიტარიაა.

1898, №224, გვ. 4

გერმანიის იმპერატორმა მეუღლითურთ მოინახულა მაცხოვრის საფლავის ეკლესია.

1898, №226, გვ. 4

იერუსალიმი. გერმანიის იმპერატორი დაესწრო გერმანიისა და

ოსმალეთის დროშების აღმართვას სიონის მთაზე.

1898, №229, გვ. 4

იმპერატორი გემით ბეირუთში წავიდა.

1898, №231, გვ. 3

იერუსალიმში იმპერატორს მიწა უყიდა და პალესტინის გერმანელ კათოლიკეთა საზოგადოებისთვის უჩუქნია.

1898, №265, გვ. 2

ვანი. მეკვერცხე ებრაელს გზაში შეხვდნენ ორნი, მოსთხოვეს ფული, რომ არ აღმოაჩნდა თავში ჩასცხეს ქვა.

1898, №273, გვ. 2

ქ. კუბაში (დაბაა აზერბაიჯანში — შ. ნ.) მოკლეს მდიდარი ებრაელის ცოლი და ხუთი პატარა ბავშვი.

1899, №18, გვ. 1

1898 წ. ჯარში გაიწვიეს 6 ებრაელი.

1899, №55, გვ. 3

ქუჩები ყველგან უსუფთაოა საჩხერეში, მეტადრე ურიების უბანში.

1899, №78, გვ. 3

რაჭის სოფელში ქალს თავი მოუწამლია ებრაელისგან ნაყიდი სანამლავით.

1899, №94, გვ. 2

ონი. აქ 120 კომლამდე ებრაელია. მისდევენ ვაჭრობას.

1899, №125, გვ. 2

ბათუმელი ებრაელები განმეორებით ითხოვენ სამლოცველო სახლის გამართვის უფლებას.

1899, №136, გვ. 3

რუსეთი. უზნეო საქციელის გამოვლენის შემთხვევაში ებრაელს არ შეუძლია იცხოვროს „ბინადრობის ზონის“ გარეშე ადგილას.

1899, №137, გვ. 4

ქ. ნიკოლაევში მოხდა ებრაელთა დიდი პოგრომი. ზარალი უდრის 110 000 მან.

1899, №138, გვ. 1

ქუთათური ვაჭრები (ძირითადად აშქენაზები — შ. ნ.) აარსებენ „იმერეთ-ჭიათურის შავი ქვის და ლითონის მწარმოებელ საზოგადოებას“.

1899, №139, გვ. 3

სლოვაკეთში თითქმის მთელი ვაჭრობა ებრაელთა ხელშია.

1899, №145, გვ. 3

ანტისანიტარიია „საჩხერის ურიების უბანში“.

1899, №156, გვ. 1

ქუთაისი. სასამართლომ გაამართლა ა. ელიგულაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა უვარგისი ფქვილის გაყიდვა.

1899, №168, გვ. 3

ბენდერში ფარული საზოგადოება ყიდულობდა ლამაზ გოგოებს და ასყიდებდა ბუენოს-აირესში საროსკიპოებს. ამ საზოგადოების 12-ივე წევრი ებრაელი ყოფილა.

1899, №187, გვ. 2

გარდაცვლილი ბარონესა კლარა ჰირშის ანდერძის თანახმად „ებრაელთა ახალშენების დამაარსებელ საზოგადოებას“ შესწირა 10 მლნ. ფრანკი.

1899, №204, გვ. 3

„გავრცელებულმა ავადმყოფობამ ყელ-ჭირვებამ მრავალი ებრაელი იმსხვერპლა ლეჩხუმში“.

1899, №208, გვ. 4

იოგანესბურგი. ვილაც კაცები შევიდნენ ებრაელის დუქანში და ორი ებრაელი მოკლეს.

1899, №211, გვ. 3

ებრაელთა სარწმუნოების მიმდევარნი 7 — 8 მილიონია.

1899, №211, გვ. 3

„გზათა სამინისტრომ აცნობა რკინის გზათა გამგეობათ, რომ ებრაელთ არ უნდა მიეცეთ რკინის გზაზედ საშტატო თანამდებობა“.

1899, №225, გვ. 4

პრალაში მანიფესტანტებმა ებრაელთა სახლების ფანჯრის შუშები ჩაამტვრიეს.

1899, №261, გვ. 2

თბილისიდან განწვეულ 679 ახალი ჯარისკაციდან 21 ებრაელია.

1899, №263, გვ. 1 - 2

ტფილისი (მონინავე — დ. ხ.). ალ. ფრონელის წერილი ებრაელთა წარსულის, ანმეოსა და მათი ცხოვრების შესახებ.

1899, №277, გვ. 2

სენატის განმარტებით „ბინადრობის ზონაში“ დაბადებულ ან იქ მიწერილ ებრაელებს უფლება არ აქვთ იცხოვრონ კავკასიაში, თუ ეს უფლება მოპოვებული არ აქვთ კანონიერი გზით.

1899, №280, გვ. 1

ეხება იგივე საკითხს, რაც №277-შია.

1900, №6, გვ. 3

კორესპონდენცია ეხება ვაჭრობას, სხვა ვაჭრებს შორის სახელდებიან ებრაელებიც.

1900, №55, გვ. 4

ებრაელთა საერთო რიცხვია 11 მლნ.

1900, №60, გვ. 3

ებრაელები მიდიან ევროპის ქვეყნებიდან კვიპროსზე.

1900, №63, გვ. 1 - 2

ბურების ომი და ებრაელი კაპიტალისტები.
ავტორი ვ. მარველი (ვარლამ ჩერქეზიშვილი — დ. ხ).

1900, №68, გვ. 2

გაგრძელება წინა წერილისა.

1900, №93, გვ. 1

სენატის გადაწყვეტილებით ებრაელ ასოთამწყობებს შეუძლიათ იცხოვრონ ბინადრობის ზონის გარეთ.

1900, №94, გვ. 2

შსს მოსტხოვს ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაციებს წესდების წარმოდგენას დასამტკიცებლად.

1900, №101, გვ. 32

სურამში ორი ბაზარი, 300 მეტი დუქანია. 2-ის გარდა ყველა ურიებისა და სომხების ხელშია.

1900, №113, გვ. 4

რუსეთიდან პალესტინაში ებრაელთა გადასახლების შესახებ.

1900, №117, გვ. 1

რუსთა შორის. წერილში საუბარია ვაჭრობისა და ძირითადად ქუთაისელი ებრაელი ვაჭრების შესახებ.

1900, №139, გვ. 4

ერთი გამდიდრებული ებრაელის ისტორია.

1900, №145, გვ. 2

ტფილისის ებრაელთა რაბინი სთხოვს ქალაქის ხელმძღვანელობას ნებართვას საქონლის შაბათ ღამეს დაკვლის შესახებ ივლის-აგვისტოში.

1900, №167, გვ. 3

ერთი ოდესელი ებრაელი ვაჭრის ისტორია.

1900, №192, გვ. 2

ებრაელთა საქმეები ამის შემდეგ განიხილება სხვადასხვა სარწმუნოების სასულიერო დეპარტამენტში.

1900, №213, გვ. 1

ებრაელთა შვილებს შეუძლიათ ნებისმიერ სასწავლებელში შევიდნენ, თუ მათ მშობლებს „ბინადრობის ზონის“ გარეთ ცხოვრების უფლება აქვთ.

1900, №215, გვ. 2

ქართველ ებრაელთა მე-3 სინაგოგაში რაბინად დანიშნეს ნაფთალაშვილი იაკობ.

1900, №230, გვ. 2

ქუთაისი. ახალი რიტუალური ბრალდება ებრაელთა მიმართ.

1900, №240, გვ. 4

ვილაცა ებრაელი ხალხს ჰპირდებოდა სამოთხეს გარკვეული გასამრჯელოს საფასურად — იუნყებიან რუსული გაზეთები.

1900, №241, გვ. 3

რიტუალური ბრალდება ჩეხეთში.

1900, №248, გვ. 9

განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა და საჯარო

ვაჭრობის შესახებ. ქუთაისში 2 ებრაელი, ფოთში — 1.

1900, №269, გვ. 2

კულაშელი ებრაელის ოჯახი დააყარაღეს.

1901, №3, გვ. 2

ხანძარი არლუთინსკისა და ებრაელების ვინრო ქუჩაზე.

1901, №4, გვ. 2

ამ წლის მაისში მოხდება ქალაქის (ტფილისის — შ. წ.) არჩევნები. გამოაქვეყნეს ცნობები იმ სახლის პატრონთა შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ქვეყნდება ებრაელ სახლის პატრონთა მონაცემები.

1901, №35, გვ. 2

ტფილისის ებრაელებს შეუგროვებიათ 15 000 მან. ახალი სინაგოგის ასაშენებლად.

1901, №39, გვ. 3

ერი და მამული. მოტანილია რენანის თეორია ერის შესახებ „რა არის ერი?“ რომელიც უთარგმნია წერილის ავტორს. განხილულია აგრეთვე ებრაელთა ერის საკითხი.

გაგრძელებებია №№ 40, 41, 42, 46, 47, 52, 53, 54, 64.

1901, №45, გვ. 2

ტფილისში გამართულ კრებაზე აღინიშნა მცირეწლოვან დამნაშავე ბავშვთა ზრდა. ებრაელია 2 ბავშვი.

1901, №48 ? (კითხვის ნიშანი დ. ხ.-სია)

პოლიციის ბოქაულებმა ჩამოსულ ებრაელებს პასპორტის გარდა უნდა მოსთხოვონ საბუთი „ბინადრობის ზონის“ გარეშე ცხოვრების უფლების შესახებ.

1901, №72, გვ. 5

აღდგომის მოახლოებისას იერუსალიმის ქუჩები მლოცველებით ივსება.

1901, №82, გვ. 3

მთავრობას განუზრახავს გააფართოოს ებრაელთა სავაჭრო უფლებანი.

1901, №92, გვ. 4

პარიზი. ზოგიერთი გაზეთი წერს, რომ საჭიროა ერთად იმოქმედონ სოციალისტებმა, ბონაპარტისტებმა, ანტისემიტებმა და

მელინისა და დესაელედის მომხრეებმა პარლამენტის მომავალ არჩევნებშიო.

1901, №104, გვ. 1

„კავკაზის“ ცნობა ქუთაისში „კონტრაბანდისტების“ (ანტი-ებრაული ხასიათისაა — შ. ნ.) წარმოდგენის დროს მომხდარი არეულობის შესახებ.

1901, №113, გვ. 2

ქუთაისში „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს მომხდარი ინციდენტის შესახებ.

1901, №115, გვ. 4

ამ ცოტა ხანში ნიუ-იორკში გამართავენ ებრაელთა ისტორიულ გამოფენას.

1901, №128, გვ. 2

შსს შეიმუშავა პროექტი — რაბინებსა და მის თანაშემწეებს აირჩევს რელიგიური საზოგადოება.

1901, №128, გვ. 2

წყალტუბო. ქრისტიანები და ებრაელები ერთ დროს ბანაობენ, მაგრამ სხვადასხვა აუზებში.

1901, №135, გვ. 4

გალიციაში 810 845 ებრაელია.

1901, №139, გვ. 2

თბილისის პოლიცმაისტერს შეუნიშნავს, რომ თბილისში ხელოსნების სტატუსით მყოფი ებრაელები ვაჭრობენ სხვისი საქონლითაც.

1901, №141, გვ. 3

სათანადო დანესებულება შეუდგა ებრაელთა შესახებ კანონების გადახედვას..

1901, №158, გვ. 4

ბულგარული გაზეთის ცნობით რუმინეთში 600 000 ებრაელია.

1901, №176, გვ. 2

20-22 აგვისტოს ტფილისში ჩატარდება კავკასიის სიონისტთა კრება.

1901, №182, გვ. 3

სიონისტთა პირველი კრება ტფილისში.

1901, №184, გვ. 4

იერუსალიმში გაიხსნა რუსეთის საფოსტო კანტორა.

1901, №185, გვ. 3

ძველი სენაკის ბაზრობაზე ებრაელებიც იყვნენ.

1901, №193, გვ. 1

ჯარმობდილ ებრაელს შეუძლია აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

1901, №206, გვ. 4

პროცესი „კონტრაბანდისტების“ გამო. გრძელდება №№ 207, 208, 209, 211, ანტიებრაული ხასიათის სპექტაკლი, რომელიც სტუდენტებმა ჩაშალეს ქუთაისში.

1901, №222, გვ. 3

იერუსალიმის გაზეთი იუნყება ვილაც კორეს შესახებ, რომელიც 109 წლისა გარდაიცვალა. მან დატოვა 200 000 ფრანკი და ძვირფასი ხელნაწერი.

1901, №233, გვ. 1

ტფილისში „გაჭირვებული ებრაელი მკერავების საზოგადოების“ წესდების პროექტი არ დაამტკიცეს — ჯერ უნდა გადაწყდეს მათი აქ ცხოვრების უფლების საკითხიო.

1901, №260, გვ. 3

რუსეთი. ებრაელთა შესახებ მოქმედ კანონებს ამიერიდან განიხილავს შსს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია.

1901, №272, გვ. 3

ნარკვევი. აქ საუბარია ნ. მარის დამსახურებაზე. იპოლიტეს „ქებათა ქების“ განმარტებების კვლევაზე, ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობებზე.

1901, №274, გვ. 2

ცხინვალი. ექიმი ცისკარიშვილი გადაიყვანეს თელავის მაზრაში ექიმად. ებრაელებმა პურმარული მიართვეს.

1901, №274, გვ. 2

რუსეთი. სენატის განმარტებით სამეცნიერო ხარისხის მქონე ებრაელს შეუძლია იცხოვროს „ბინადრობის ზონის“ გარეთ.

1901, №283, გვ. 2

წერილი ლეჩხუმიდან ქუთაისელ წვრილვაჭარ ებრაელთა შესა-

ხებ, რომლებიც სოფლებში ხილს ყიდულობენ და მერე ჰყიდიან.

1902, №20, გვ. 3

ავტორი თვლის, რომ „ქართულ მწერლობას ურიულად ანამებენ, თათრულად ამახინჯებენ, რუსულად მოიფიქრებენ და ქართულად წერენ“.

1902, №22, გვ. I - 3

ცეცხლი ქუთაისის ებრაელთა უბანში, რომელმაც ბევრი დატოვა უსახლკაროდ.

1902, №32, გვ. 3

ჟურნალ „ვოსსოდში“ დასტამბული წერილი სიონისტთა კრების გამო „ავტონომიზმთან“ დაკავშირებით.

1902, №39, გვ. 4

ვარშაველი სიონისტები შუამდგომლობენ, რომ ვარშავაში დაარსდეს ლონდონის „სახალხო ბანკის“ განყოფილება.

1902, №41, გვ. 2

ტფილისში სამხედროში განვეულთა შორის 22 ებრაელია.

1902, №43, გვ. 3

ვილნაში გაირჩა ბლონდესის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა კაცის კვლა სარწმუნოებრივ ნიადაგზე.

1902, №45, გვ. I

ებრაელებმა დიცვეს ეროვნება უმთავრესად თავისი რელიგიის მეოხებით... ყალამი (ს. ფირცხალავა).

1902, №52, გვ. 3

ანტისანიტარიის წინააღმდეგ ქუთაისის ებრაელთა უბანში.

1902, №53, გვ. 3

პეტერბურგელი სიონისტის კითხვაზე გორკი გამოთქვამს თავის აზრს სიონიზმზე.

1902, №61, გვ. 3

ავსტრიაში ცხოვრებულა I 225 000 ებრაელი.

1902, №64, გვ. I

ფრანგი მეცნიერი ბარონ დე ბაო პარიზში წაიკითხავს ლექციას კავკასიაში მოსულ და ქართველ ებრაელებზე.

1902, №67, გვ. 3

ზოგიერთმა ვარშაველმა რაბინმა სიონიზმს ხერემი (ანათემა – შ. ნ.) გამოუტანა.

1902, №71, გვ. 4

კოვნო. ერთი ებრაელის ოჯახი (7 კაცი) ცოცხლად დასწვეს.

1902, №76, გვ. 3

ლაილაში მსაჯულად აირჩიეს ებრაელი ი. ზონენაშვილი. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილია მისით.

1902, №80, გვ. 3

„აღდგომა და წითელი კვერცხები“. საუბარია ებრაელთა მიერ პასექის დღესასწაულის აღსრულებაზე.

1902, №90, გვ. 4

აღიწიეს არჩევნებში დამარცხდნენ სემიტები (ე. ი. ებრაელები – შ. ნ.).

1902, №93, გვ. 1

ტფილისის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილება „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს მომხდარი არეულობის გამო.

1902, №94, გვ.

„კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს მომხდარი არეულობის შესახებ.

1902, №116, გვ. 1

„ქუთაისში ცეცხლი გაუჩნდა ხახანაშვილების სახლს ურიების უბანში და მთლად დაინვა“.

1902, №117, გვ. 2

„სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების“ გამგეობაში არჩეულ იქნა გრუზინბერგიც.

1902, №126, გვ. 2

სენატის დადგენილება ებრაელთა უუფლებობის შესახებ უძრავი ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით.

1902, №139, გვ. 3

უცნაური ფანატიკოსობა. როგორ მოახერხა ორმა ებრაელმა შაბათ დღეს რკინიგზით გამგზავრება სხვა ქალაქში.

1902, №141, გვ. 2 - 3

„ჩვენებური ებრაელები“. წერილი ეხება ქართველ ებრაელთა

ყოფა-ცხოვრებას. ავტორი პლებს.

1902, №142, გვ. 2

ტფილისში მცხოვრებ ებრაელებს (აშქენაზებს – შ. წ.) თხოვნით მიუმართავთ გუბერნატორისათვის ნება დაერთო აქ საცხოვრებლად.

1902, №142, გვ. 2

ქუთაისი. მთავრობამ ებრაელებს პირველდანიეებითი სკოლის დაარსების ნება დართო.

1902, №144, გვ. 1

ტფილისის სასამართლომ გაარჩია პოლიცმაისტერად ნამყოფის სიმონოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება 1894 წ. ურიების უბანში 35 სახლის კიბეებისა და აივნების მონგრევა გაუფრთხილებლად.

1902, №146, გვ. 2

ივრის ხეობაში მოკლეს ვაჭარი ებრაელი.

1902, №146, გვ. 3

სენატმა დააკმაყოფილა ვანელების მოთხოვნა ბაზრობის „ურიებში გადატანის თაობაზე“.

1902, №150, გვ. 1

ცხინვალის ხანძარმა უფრო მეტად დააზარალა ებრაელები.

1902, №152, გვ. 2

ტფილისის ებრაელებმა შეაგროვეს ფული ცხინვალელთა დასახმარებლად.

1902, №154, გვ. 3

ცხინვალის ებრაელთა საცხოვრებელი პირობების შესახებ.

1902, №154, გვ. 2 - 3

ცხინვალის ხანძარი, ქურდ-ბაცაცები და მსხვერპლი – 200-მდე კომლი.

1902, №156, გვ. 3

ვანში „ურიებმა“ აკურთხეს საბაზრო ადგილი.

1902, №156, გვ.

ვანში ბაზრობის „ურიებში“ გადატანის შესახებ.

1902, №157, გვ. 2

კვლავ ცხინვალში ცეცხლით მიყენებული ზარალის შესახებ.

1902, №161, გვ. 3

ცხინვალის ხანძრით მიყენებული ზარალი.

1902, №163, გვ. 2

ტფილისი. პოლიცმაისტერმა მისწერა ხელოსანთა გამგეობას, რომ ებრაელ სოლომონ იოსების ძე იაკუბოვიჩის მისცენ სახელოსნოს გახსნის მოწმობა.

1902, №166, გვ. 4

ცხინვალის ებრაელებმა უარი თქვეს სომხებისგან პურის მიღებაზე.

1902, №170, გვ. 2

ახალგაზრდა ებრაელთა კრება ქუთაისის რაბინ ს. რიჟინაშვილის გარდაცვალების გამო არ შედგა.

1902, №170, გვ. 3

რაბინ ს. რიჟინაშვილის გასვენების შესახებ.

1902, №170, გვ. 2

ცხინვალელი ებრაელების შესახებ. ხანძრით გამონვეული ზარალი და გაჭირვება.

1902, №171, გვ. 2

დაზარალებულ ცხინვალელთა შესახებ.

1902, №171, გვ. 2

ცხინვალში ხანძრით დაზარალებულთა (მათ შორის ებრაელების) შესახებ.

1902, №171, გვ. 2

„ივერიის“ რედაქცია ბოდის იხდის რაბინ ს. რიჟინაშვილის დასაფლავებასთან დაკავშირებით დაშვებული უნებური შეცდომებისათვის.

1902, №173, გვ. 3

კვლავ ვანის ბაზრობის შესახებ.

1902, №177, გვ. 1

ტფილისის პოლიცმაისტერი კვლავ აფრთხილებს მოსულ ებრაელებს არ გაყიდონ სხვის ნაწარმი.

1902, №183, გვ. 4

ცხინვალში ებრაელთა სასარგებლოდ გამართულ თეატრალური წარმოდგენის დროს შემოვიდა სუფთა მოგება 125,51 კ. გადაეცა მომრიგებელ მსაჯულს პოპოვს.

1902, №186, გვ. 3

გერმანიაში მკურნალობა უფრო იაფი ჯდება ვიდრე კისლავოდსკსა და ესენტუკში. წერილის ავტორს თავისი თვალთ უნახავს, როგორ ჩამოვიდნენ კარლსბადში ერთი ვაგონი ებრაელები.

1902, №189, გვ. 3

კვლავ რუმინელი ებრაელების შესახებ.

1902, №192, გვ. 4

ინგლისის დიპლომატიური ნაბიჯები რუმინეთის ებრაელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

1902, №194, გვ. 2

კვლავ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ რუმინეთში.

1902, №197, გვ. 2

შეერთებული შტატების ნაბიჯები რუმინეთის ებრაელთა შესახებ.

1902, №197, გვ. 2

რუმინეთში აღარ აძლევენ პასპორტებს ებრაელებს.

1902, №197, გვ. 4

რუმინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ებრაელთა გასვლას რუმინეთიდან არ შეუშლის ხელს.

1902, №198, გვ. 3

ავსტრიაში მხარი მისცა ინგლისსა და შეერთებულ შტატებს რუმინეთის ებრაელთა საკითხში.

1902, №200, გვ. 2

ინგლისის მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ჰკიცხავენ რუმინეთის მთავრობას ებრაელთა მიმართ გატარებული პოლიტიკის გამო.

1902, №200, გვ. 2

რუმინეთის მთავრობას გადაუწყვეტია ყურადღება არ მიაქციოს სხვა ქვეყნების კრიტიკას ებრაელთა მდგომარეობის გამო.

1902, №200, გვ. 2

ავსტრია-უნგრეთი. მომავალ არჩევნებში ალბათ ვერ გაიმარჯვებს „ებრაელთა მოძულე დასი“.

1902, №204, გვ. 3

ბელგია. შსს ბრძანება გასცა გადასახლების მსურველ ებრაელებზე პასპორტი არ გასცეთო. მიუხედავად ამისა გადასახლების მსურველთა რიცხვი იზრდება.

1902, №205, გვ. 3

რუმინეთის ებრაელთა მძიმე მდგომარეობის შესახებ.

1902, №205, გვ. 2 - 3

აშშ დაინტერესდა რუმინეთში ებრაელთა მდგომარეობით.

1902, №219, გვ. 4

გენუელებს კონკურენციას უწევენ ებრაელები და ბერძნები.

1902, №221, გვ. 2

კვლავ ხანძრით დაზარალებული ცხინვალელი ებრაელების შესახებ.

1902, №221, გვ. 2

ცხინვალის ხანძარი, დაზარალებულები, ქურდები მარადიორები.

1902, №227, გვ. 2

სიფხიზლის საზოგადოების თეატრში მოღვაწე ებრაელ არტისტებს ნება ეძლევათ იცხოვრონ პეტერბურგში ოჯახით.

1902, №228, გვ. 3

შსს შეადგინა კანონ-პროექტი ებრაელების მიერ რუსეთში ადგილების შექმნის შესახებ.

1902, №258, გვ. 2

ცხინვალის დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალურ საქველმოქმედო კომიტეტს განუზრახავს სალამო გამართოს ტფილისში.

1902, №260, გვ. 2

რუმინელ ებრაელთა შესახებ.

1902, №262, გვ. 3

გომელი. „კაკრდიანი“ ქუდის მატარებელს ყველა ებრაელმა ქუდი უნდა მოუხადოს — ამბობს აქაური პოლიციის უფროსი.

1902, №263, გვ. 3

ციმბირის სიონისტებს უნდათ ჩაატარონ სიონისტების კრება ტომსკში.

1902, №274, გვ. 2

სუჯუნა რკინიგზის გაყვანამდე, რომელიც მას ასცდა პირველი ადგილი იყო საჭყონდიდოში, „მაგრამ ახლა ყველაფერი ჩაკვდა, პირველ რიგში ვაჭრობა. აქ ურიებმა ითავეს ახალი სასწავლებლის დაარსება“.

1903, №9, გვ. 2

ნერილში ლაპარაკია ქართველთა ტოლერანტობის შესახებ. ხაზგასმულად არის ნათქვამი, რომ მაცხოვრის მკვლეელი ურიებიც კი არ იდევნებოდნენო.

1903, №17, გვ. 1

ცხინვალის ხანძრის შესახებ.

1903, №20, გვ. 2

ქართველმა ებრაელებმა გადაწყვიტეს სინაგოგის აშენება.

1903, №25, გვ. 2

ტფილისი. საქართველოში ყველა სარწმუნოების წარმომადგენლები ქართველები არიან — ფიქრობს ნერილის ავტორი მირიანაშვილი პეტრე.

1903, №25, გვ. 2

ტფილისი (მონინავე — დ. ხ.). კლდიას ნერილის „სხვა რჯულის ქართველი განა არ ქართველობს“ მიმოხილვა. ნერილში მოყვანილია ქართველთა ტოლერანტობის მაგალითები. საყურადღებოა, რომ ყველა სარწმუნოების წარმომადგენლებს თვლიან ეროვნებით ქართველად.

1903, №37, გვ. 1

პეტერბურგში იმყოფება (აშქენაზ — შ. წ.) ებრაელთა დეპუტაცია, რომელმაც უნდა დააბოლოვოს 120 აშქენაზისთვის კავკასიაში ცხოვრების უფლების მიღების საქმე.

1903, №52, გვ. 2

სუჯუნიდან ვაჭარმა ებრაელმა ისრაელაშვილმა ტფილისში გამოგზავნა 15,5 ფუთი აბრეშუმი, მიიღო 15 გირვანქით ნაკლები.

1903, №53, გვ. 1

ტფილისში ბრუნდება ზემოთ ხსენებული დეპუტაცია, რომელმაც მასზე დაკისრებული საქმე წარმატებით მოაგვარა.

1903, №58, გვ. 3

დუბოსარში ებრაელ მცხოვრებლებს თავს დაესხნენ გლეხები.

1903, №61, გვ. 2

ველიჩკოს ანტისემიტური გამოთქმები შესახებ.

1903, №62, გვ. 3

დუბოსარელი ებრაელები ტყუილად დაადანაშაულეს ბიჭის მკვლელობაში — დაამტკიცა გამოძიებამ.

1903, №69, გვ. 4

ნარკვევი. ხმარობენ თუ არა ებრაელები ქრისტიანის სისხლს? აი, ნარკვევის თემა. რუსი მღვდელი პეტროვი ამტკიცებს რომ ებრაელები ქრისტიანის სისხლს არა ხმარობენო.

1903, №79, გვ. 4

ფოთის ქალაქის გამგეობა აცხადებს საჯარო გაყიდვას (მოტანილია ორი ებრაელის გვარი).

1903, №84, გვ. 3

კიშინიოვში ებრაელთა პოგრომის შესახებ.

1903, №85, გვ. 3

ოდესაში ჩამოვიდა კიშინიოველი ებრაელების ჯგუფი.

1903, №86, გვ. 3

რუსეთი. კიშინიოვში პოგრომის დროს ყველაზე მეტად ღარიბი ებრაელები დაშავდნენ.

1903, №88, გვ. 3

ზოგი რუსული გაზეთი აღვივებს პოგრომულ განწყობილებას.

1903, №88, გვ. 4

კიევი. ებრაელთა გადასახლება მინელდა.

1903, №89, გვ. 3

გაზ. «Русские ведомости»-ს კორესპონდენტი იტყობინება კიშინიოვის პოგრომის შედეგებზე, მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობას.

1903, №89, გვ. 4

ნარკვევი. ეძღვნება კომინიოვის პროგრამის ანალიზს.

1903, №90, გვ. 4

მოჰყავს გაზ. «Будущий»-ში დაბეჭდილი ინფორმაცია კომინიოვის პროგრამის შესახებ.

1903, №91, გვ. 3

კიევი ხმა გავრცელდა ებრაელთა პროგრამის შესახებ უახლოეს მომავალში.

1903, №91, გვ. 4

ავსტრია-უნგრეთი. გალიციაში არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ.

1903, №92, გვ. 2

ჟიტომირის რაბინი მოუწოდებს ებრაელებს დღესასწაულები გაატარონ სახლებში.

1903, №92, გვ. 2

კომინიოვის პროგრამა გამოიწვია რეზონანსი ბესარაბიის სხვა ქალაქებშიც, აპირებენ თავდასხმას ებრაელებზე.

1903, №93, გვ. 3

კომინიოვის პროგრამაში მოკლეს 46 ებრაელი და დაჭრეს 84.

1903, №93, გვ. 4

პეტერბურგი. შსმ-ის ცირკულარი კომინიოვის პროგრამთან დაკავშირებით.

1903, №94, გვ. 3

პეტერბურგი. ლიტერატორთა კრებამ ებრაელთა დამხმარე კომიტეტს გაუგზავნა თანაგრძნობის წერილი კომინიოვის პროგრამის გამო.

1903, №95, გვ. 3

კომინიოვის პროგრამის შემდგომი მდგომარეობის შესახებ.

1903, №97, გვ. 3

რუსეთის შსმ აფრთხილებს ზოგიერთ ანტისემიტური მმართველების გაზეთებს.

1903, №97, გვ. 3

ნარკვევი ანტისემიტური გაზეთის «Бесарабец»-ის რედაქტორის კრუშევანის შესახებ.

1903, №102, გვ. 2

ცხინვალის ებრაელების შესახებ.

1903, №103, გვ. 3

ოდესის უფროსმა სტარკოვმა უთხრა ებრაელ რაბინებს, რომ ადმინისტრაცია სასტიკ ზომებს მიიღებს ებრაელთა დასაცავად.

1903, №103, გვ. 1

ტფილისი. აკიმოვის ქუჩაზე, ფრანგთა ეკლესიასთან ახლოს ებრაელები სამლოცველოს აშენებენ.

1903, №104, გვ. 3

უცხოეთის გაზეთები გამოეხმაურნენ კიშინიოვში ებრაელთა პროგრამს.

1903, №105, გვ. 3

«Отечество» ადანაშაულებს ქრისტიანთა მღვდლებს პროგრამის დროს გამოჩენილი გულგრილობისათვის.

1903, №105, გვ. 3

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის შვილი აცხადებს, რომ ხმები — თითქოს მამამისს 15 000 მან. შეეწიროს კიშინიოვში პროგრამით დაზარალებული ებრაელებისათვის, ტყუილია. იგი აღშფოთებულა იქ მომხდარი პროგრამით.

1903, №108, გვ. 4

ლ. ტოლსტოიმ წერილით მიმართა კიშინიოვის მერს და გამოუცხადა თანაგრძნობა მომხდარი არეულობის გამო. წერილს ხელს აწერენ აგრეთვე ცნობილი პროფესორები და არტისტები.

1903, №108, გვ. 3

კიშინიოვში ჩამოდის აშშ ყოფილი სენატორი მაიკლ ლევიტტი, ჩამოაქვს 1 000 000 მან. დაზარალებულთათვის.

1903, №108, გვ. 3

ქ. ლიბოვიდან 2 000 ებრაელი გადასახლდა საზღვარგარეთ.

1903, №109, გვ. 4

დროებით აკრძალულია ებრაელთა სახელით და ებრაელთა სასარგებლოდ ყოველგვარი ნასყიდობის ქალაქის შედგენა.

1903, №109, გვ. 4

გერმანელ ებრაელთა დამხმარე საზოგადოებას შეუკრებია

345 000 მარკა კიშინიოველ ებრაელთა დასახმარებლად.

1903, №117, გვ. 3

ვარშავის სასამართლო პალატაში დაინყო ქ. ჩენსტოხოვში ებრაელებზე თავდასხმასთან დაკავშირებული საქმის გარჩევა.

1903, №117, გვ. 3

გამოქვეყნდა კანონი, რომლითაც ებრაელებს ეკრძალებათ მიწის ყიდვა „ბინადრობის ზონის“ გარეთ.

1903, №117, გვ. 3

მ. გორკი აპირებს ებრაელ მწერალთა ნაწარმოებების გამოცემას რუსულად. შემოსავალი გადაირიცხება კიშინიოვის პროგრამში დაზარალებულთათვის.

1903, №120, გვ. 4

პეტერბურგი. გაზეთ „ზნამიას“ რედაქტორი კრუშევანი (ანტი-სემიტი — შ. ნ.) დაჭრეს.

1903, №124, გვ. 4

კრუშევანის დაჭრამ გააბრაზა ზოგ-ზოგები.

1903, №125, გვ. 3

მინსკში ორი სიონისტი ქალი პასუხისგებაში მისცეს სიონისტური კრების ჩატარებისთვის. სასამართლომ გაამართლა.

1903, №126, გვ. 4

«Руское слово»-ში დაბეჭდილია იაბლონოვსკის წერილი კრუშევანის დაჭრასთან დაკავშირებით.

1903, №128, გვ. 3

კიევის პოლიცმაისტერს უბრძანებია ყველა ებრაელი ყასბის გაძევება კიევიდან, გარდა იმათი, ვისაც იქ ცხოვრების უფლება აქვთ.

1903, №131, გვ. 3

კიშინიოვის ებრაელთა დეპუტაციამ ფინანსთა მინისტრს დახმარება სთხოვა. შეპირდა.

1903, №134, გვ. 4

კრუშევანის დაჭრის ისტორია.

1903, №136, გვ. 3

სურამის ებრაელთა უბანში უსუფთაობაა.

1903, №139, გვ. 1

ყაჩაღური თავდასხმა სურამელი ებრაელის თანურიშვილის ოჯახზე გაძარცვის მიზნით. მოკლეს ორი და დაჭრეს ორი.

1903, №141, გვ. 2

სურამში დახოცეს და დააყაჩაღეს ებრაელთა ოჯახი.

1903, №141, გვ. 2

წერილი ეძღვნება სურამელი ვაჭრის თანურიშვილის ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმას.

1903, №145, გვ. 3

კიშინიოვში ებრაელთა დარბევის შემდეგ ბევრი ებრაელი წავიდა იქიდან.

1903, №148, გვ. 3

«Вест. Евр.» მოჰყავს თავისი სიტყვები 1882 წ. ნათქვამი, ებრაელთა დევნის გაძლიერების დროს სამხრეთში.

1903, №154, გვ. 4

კიშინიოვის დარბეულ ებრაელთა სასარგებლოდ გერმანიის ებრაელებმა შეაგროვეს 525 483 მარკა.

1903, №163, გვ. 3

გარდაიცვალა ებრაელი ჟურნალისტი როზენშტეინი.

1903, №163, გვ. 4

ლონდონი. საიმიგრაციო კომისია აღნიშნავს, რომ გაძლიერდა იმიგრაცია, რაც გამოწვეულია რუსეთიდან და პოლონეთიდან ებრაელთა მოდინებით.

1903, №163, გვ. 3

მწერალ ვ. დოროშევიჩის წერილი ნ. რუბინშტეინის დასაფლავებასთან დაკავშირებით.

1903, №166, გვ. 2

ცხინვალის ებრაელებმა სთხოვეს მაზრის ახალ უფროსს ნება დართონ დროებითი ხის სახლების ასაშენებლად.

1903, №167, გვ. 2

სინოდის ბრძანება ყველა სამწყსოს მიმართ კიშინიოვის ამბებთან დაკავშირებით.

1903, №184, გვ. 1

ტფილისი. სურამში თანურიშვილების მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს მეხანჯლე (ხანჯლის მკეთებელ — შ. ნ.) ლეკებზე, მაგრამ მალე გაათავისუფლეს.

1903, №185, გვ. 2

საჩხერე. შაბათა შალელაშვილმა მძიმედ დაჭრა მეზობელი.

1903, №186, გვ. 2

კრუშევანის დამჭრელი ლაშვესკი გაიგზავნა 5 წლით გამასწორებელ რაზმში.

1903, №188, გვ. 3

სტარცევი, რომელიც გაზეთ „ბაკუში“ მუშაობდა და ახლა „ნოვოსტ“-შია წერს ებრაელთა უფლებებისა და ნაციონალური გრძნობების შელახვის შესახებ.

1903, №193, გვ. 3

გომელში მოხდა ჩხუბი ებრაელებსა და რუსებს შორის.

1903, №199, გვ. 2

კიშინიოვის ებრაელთა პოგრომის საქმე სასამართლოში დაინიშნა განსახილველად ნოემბრის მიწურულისათვის.

1903, №201, გვ. 4

„ვილნოს მოამბის“ რედაქტორის ჩუმაკოვის წერილი ებრაელთა და რუსებს შორის ჩხუბის შესახებ.

1903, №213, გვ. 2

გადამწვარ ცხინვალში სახლებს უგეგმოდ აშენებენ.

1903, №224, გვ. 2

ჩვენებური ურიები — წერს გაზეთი — ქველმოქმედებაში გვჯობიანო.

1903, №227, გვ. 3

კიშინიოვიდან კვლავ მიდიან ებრაელები ამერიკასა და ევროპაში.

1903, №239, გვ. 4

დაიწყო კიშინიოვის პოგრომის მონაწილეთა პროცესი.

1903, №239, გვ. 4

7 ნოემბერი. დღეს კიშინიოვის სასამართლომ დაიწყო პოგრომის საქმის გარჩევა.

1903, №241, გვ. 3

კიშინიოვის პროგრამის საქმეზე ჯერ II მონმე დაიკითხა.

1903, №241, გვ. 3

1846 წ. იერუსალიმში სულ 7000 ებრაელი იყო.

1903, №244, გვ. 4

კიშინიოვის პროგრამის საქმეზე დაიკითხა მხოლოდ 20 მონმე.

1903, №245, გვ. 4

კიშინიოვის პროგრამის საქმის განხილვა ძალიან გაჭიანურდა.

1903, №246, გვ. 4

კიშინიოვი. ჯერ ორმოცი მონმე არაა დაკითხული.

1903, №247, გვ. 3

ლიბავის საკომერციო სასწავლებლიდან მოსწავლეები წაიყვანეს ექსკურსიაზე მოსკოვში. ებრაელი მოსწავლეები მოსკოვში არ შეუშვეს.

1903, №248, გვ. 3

კიშინიოვის პროგრამის საქმეზე 12 დღეში 66 მონმე დაიკითხა.

1903, №252 გვ. 2

გაზაფხულიდან ბევრი ებრაელი წავა კიშინიოვიდან.

1903, №254, გვ. 2

ტფილისში ჯარში გაიწვიეს 90 ებრაელი.

1903, №259, გვ. 4

კიშინიოვის პროგრამის გამოძიება დამთავრდა.

1903, №260, გვ. 3

ვილნაში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს სამუშაოს პოვნაში მიეხმაროს ღარიბ ებრაელებს.

1903, №261, გვ. 4

კიშინიოვი. სასამართლოში კამათი დამთავრდა.

1903, №262, გვ. 2

ამ დროისათვის თბილისში ცხოვრობდა 157 ებრაელი (საეჭვოა — შ. წ.).

1903, №262, გვ. 4

პარიზი. სიონისტების კრებაზე ესროლეს მაქს ნორდაუს. გადარჩა.

1903, №263, გვ. 4

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი კიშინიოვის პოგრომთან დაკავშირებით.

1903, №266, გვ. 3

პაპს გამოუცია ბრძანება ილოცონ ებრაელებისათვის.

1903, №266, გვ. 3

პეტერბურგის ებრაული გაზეთის ცნობით რომის პაპს ბრძანება გაუცია კათოლიკეთა ეკლესიებში ყოველთა წმიდათა დღესასწაულებზე ილოცონ ებრაელთათვის.

1904, №29, გვ. 2

ტფილისის ებრაელებმა 500 მან. შეაგროვეს შორეულ აღმოსავლეთში რუს მეომართა დასახმარებლად.

1904, №38, გვ. 4

კიშინიოვის პოგრომის შესახებ.

1904, №39, გვ. 4

დაიწყო კიშინიოვის პოგრომის საქმის გარჩევა.

1904, №42, გვ. 3

ველისციხეში დროებით ცხოვრობ 40 კომლი ებრაელები და რუსები.

1904, №47, გვ. 2

ებრაელთა ოჯახებს, რომელთა შვილები შორეულ ზღვისპირეთში ჯარში მსახურობენ, შეუძლიათ იცხოვრონ კიევში მათი შვილების დაბრუნებამდე.

1904, №52, გვ. 3

ვიტებსკის ებრაელებმა შეაგროვეს 2000 მან. შორეულ აღმოსავლეთში მეომართა დასახმარებლად.

1904, №54, გვ. 4

კიშინიოვის პოგრომის საქმის გარჩევას მოუწოდნენ 2 კვირა. გამოიტანეს განაჩენი.

1904, №65, გვ. 3

სუფუნაში ებრაელებს აქვთ კვერცხისა და ბუმბულის საწყობები.

1904, №81, გვ. 3

ცხინვალში ებრაელების უბანში ანტისანიტარიაა.

1904, №88, გვ. 3

სურამი. ებრაელთა უბანს არ ექცევა ყურადღება.

1904, №96, გვ. 4

კიშინიოვი. სასამართლომ გაამართლა პოგრომის დროს ებრაელთა მკვლელობაში 2 ეჭვმიტანილი.

1904, №99, გვ. 4

კიშინიოვი. სასამართლოს განაჩენი კიშინიოვის პოგრომის საქმეზე.

1904, №117, გვ. 3

ს. ბოსლევი (შორაპნის მაზრა) ებრაელი ვაჭრების შესახებ.

1904, №117, გვ. 8

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას. ჩამოთვლილია 3 ებრაელის გვარი.

1904, №120, გვ. 3

ბობრუისკში დაინვა ებრაელთა სახელოსნო სასწავლებელი.

1904, №125, გვ. 3

ქუთათურ ებრაელთა სავაჭრო ასპარეზი ხონია.

1904, №126, გვ. 3

სოფ. ხვარბეთის გზაზე მიმავალი ებრაელი ვაჭარი მოკლეს გაძარცვის მიზნით.

1904, №175, გვ. 2

საჩხერე. ებრაელები ანტისანიტარიაში იმყოფებიან.

1904, №196, გვ. 3

პეტერბურგი. ზოგიერთი კანონი შესახებ შეიცვლება.

1904, №207, გვ. 3

ბელოსტოკელ ებრაელთა მილოცვა ახალ შს მინისტრისადმი.

1904, №208, გვ. 3

რუსეთის კანონების უსამართლობის შესახებ არაქრისტიანთა მიმართ. წერს მეშჩერსკი.

1904, №227, გვ. 2

ებრაელ ჯარისკაცთა რიცხვი მანჯურიაში აღწევს 27 000 კაცს.

1904, №237, გვ. 2

ფოთის ებრაელთა განწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელად.

1904, №260, გვ. 3

გაზეთი ბეჭდავს სვ-სკ (ჯუღელი გიგა — დ. ხ.) საინტერესო წერილს ებრაელთა და ზოგადად ანტისემიტიზმის შესახებ.

1904, №262, გვ. 3

კიშინიოვის პოგრომის შემდეგ იმატა ებრაელთა გასვლამ ქალაქიდან.

1904, №283, გვ. 3

სასამართლოს განაჩენი კიშინიოვის პოგრომის მონაწილეებზე.

1904, №286, გვ. 3

გომელელი ებრაელი ჟურნალისტები პროტესტს გამოთქვამენ მათ მიმართ უსამართლო ბრალდების გამო.

1904, №286, გვ. 3

კრუშევანის წერილებით შეშინებულ ებრაელებს შეხვედრა ჰქონდათ ადგილობრივ გუბერნატორთან.

1904, №288, გვ. 3

ელისავეტოგრადის საბჭოს კრებაზე არეულობა იყო, რაბინ ცემლიშის (თუ ტემლიშის?) წინადადება არ მიიღეს.

1905, №2, გვ. 2

გომელში ებრაელთა სასამართლოზე მოსამართლეები არ იცავენ სამართლიანობას, შეურაცხყოფენ ებრაელთა დამცველებს.

1905, №3, გვ. 3

გომელის პროცესში სამართლიანობას არ იცავენ, რის გამოც ებრაელთა რამდენიმე ადვოკატმა პროცესი მიატოვა.

1905, №4, გვ. 4

ვარშავა. ებრაელი გამომცემლები ითხოვენ სიტყვის თავისუფლებას.

1905, №4, გვ. 3

ვარშავაში პროფესორმა თავის ლექციაში დაუშვა ანტისემიტური გამოთქმები.

1905, №9, გვ. 3

– პეტერბურგის საოლქო სასამართლოში მიმდინარეობს გაზეთების 20 თანამშრომლის საქმის გამოძიება ბეილისის საქმესთან დაკავშირებით.

1914, №25, გვ. 3

ეპისკოპოსი ნიკონი თვლის შეუძლებლად ებრაელებში რიტუალურ მკვლელობას.

1914, №33, გვ. 3

პოლიციის წესის დარღვევისათვის ოშეკა ციციაშვილს 25 მან. ჯარიმა გადაუწყვიტეს.

1914, №33, გვ. 4

პეტერბურგის უნივერსიტეტში შესაძლოა ებრაელები არ მიიღონ. თუ მიიღებენ მხოლოდ ვილნოსა და პეტერბურგის სამოსნავლო ოლქებში სასწავლებელ დამთავრებულებს.

1914, №33, გვ. 3

გზათა მინისტრმა რკინიგზაზე პრაქტიკის გასავლელად ებრაელთა და პოლონელ სტუდენტთა მიღება მაქსიმალურად შეზღუდა.

1914, №34, გვ. 3

დამთავრდა იმ ჯგუფის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ებრაელთა ამერიკაში ემიგრაციის მონყობა.

1914, №34, გვ. 4

20 აპრილს კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში გაიმართება დისპუტი თემაზე: „ებრაელები და სამოქალაქო უფლებები“.

1914, №35, გვ. 3

ჩრდილო-დასავლეთ რუსეთიდან ებრაელთა ერთი ჯგუფი გადასახლდა პალესტინაში.

1914, №36, გვ. 2

საურთიერთო ნდობის ბანკი ქუთაისის გუბერნიის მოშიმშილევებს დაეხმარება 500 მან-ით, გადამწვარ ლაილაშს — 100 მან.

1914, №36, გვ. 3

კიევის საოლქო სასამართლონ გაამართლა „კივლიანინის“ თანამშრომელი ტრიფონოვი, რომელსაც უჩიოდა ჩებერიაკი.

1914, №39, გვ. 1

ექ. კაკიტელაშვილის განცხადება.

1914, №41, გვ. 2

ხანანაშვილის ექვსი წლის ბავშვი მეორე სართულის კიბიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

1914, №41, გვ. 3

ებრაელი დეპუტატები ბიუჯეტს ხმას არ მისცემენ, რადგანაც მთავრობა ცდილობს ებრაელთა ეკონომიურად დაჩაგვრას.

1914, №42, გვ. 2

ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ბარათაშვილმა ოქმი შეუყენა შაფათა მოშიაშვილს პოლიციის ქუჩაზე რამდენიმე კალათა ბალის შესყიდვისთვის დილით ადრე.

1914, №45, გვ. 3

დეპუტატი ფრიდმანი აღწერს ებრაელთა უნუგეშო მდგომარეობას.

1914, №48, გვ. 2

ქუთაისში ვაჭრების კრებაზე უნდა აირჩიონ კომისია, რომელიც განაწილებს სავაჭრო მოგების პროცენტებს. კომისიის წევრებად აირჩიეს: არ. ელიგულაშვილი, მ. მოშიაშვილი და ფილიპოვი, ხოლო მათ კანდიდატად — სიმ. ეზიკოვი.

1914, №48, გვ. 2

ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ ოქმი შეუდგინა მეირა ბუზიაშვილს დილით ადრე წინილებისა და კრავის ყიდვისათვის.

1914, №50, გვ. 2

გაგარინის ქუჩაზე ყავახანაში ბაგრატ სარქისოვმა დანით მოკლა აბრამ ხოტოველი იგივე ჯანაშვილი.

1914, №50, გვ. 3

მარკოვ მეორე: ებრაელთა თანასწორობას ვერ ეღიროსებით.

1914, №51, გვ. 3

გაიტაცეს არონ რიჟინაშვილის შვილი მოსე.

1914, №52, გვ. 2

რიჟინაშვილის ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებით პოლიციამ რამდენიმე მეეტლე დააკავა.

1914, №55, გვ. 3

ქუთაისის სააზნაურო საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე დ. ჩიკვაიძემ ერთი წევრი, რომელიც ფიგურირებდა მსჯელობაში მოიხსენია „ურიად“, თავმჯდომარემ სთხოვა განემარტა სიჩყვა „ებრაელი;“ ითხოვა დაესახელებინა თოფურიასეული სახლის მყიდველის გვარი. ელიგულაშვილი — იყო პასუხი.

1914, №55, გვ. 3

ზამისლოვსკის აზრით არ შეიძლებოდა ბეილისი არ მიეცათ სამართალში. კერენსკი შეეპასუხა მას.

1914, №56, გვ. 4

არეულ-დარეულობა, ყვირილი, ერთ-ერთის შეურაცხყოფა სათათბიროში ბეილისის საქმის გამო.

1914, №59, გვ. 3

იაბლონოვსკი (ჟურნალისტი) ბრალად სდებდა ჩებერიაკს იუშჩინსკის მკვლელობას. ჩებერიაკმა უჩივლა. სასამართლომ იაბლონოვსკი გაამართლა.

1914, №62, გვ. 2

ებრაელთა უბანში ანტისანიტარია.

1914, №63, გვ. 2

იაკობიშვილებს ბანდიტები ფულს სძალავდნენ.

1914, №64, გვ. 3

ვაჭრობის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვაზე შინგარევემა თქვა, რომ ვაჭრობა-მრეწველობიდან სდევნიან ებრაელებს.

1914, №65, გვ. 2

რაჭა-ლეჩხუმის ზოგიერთ სოფელში აღდგომის ლიტანიაზე ყვირიან „ვაი ურიას“ ზოგჯერ მღვდლის წინამძღოლობით.

1914, №65, გვ. 3

ჩებერიაკმა კვლავ წააგო სასამართლო ჟურნალისტებთან.

1914, №67, გვ. 2

ქუთაისის სანიტარმა ექიმმა თავის რაზმთან ერთად დაათვალიერა ებრაელთა უბანი და ბრძანა ყველას შეუდგინონ ოქმი.

1914, №71, გვ. 2

ამ დროისთვის თბილისში ცხოვრობდა 9167 ებრაელი.

1914, №71, გვ. 3

სათათბროში მიიღეს კანონპროექტი, რომლის ძალითაც ებრაელებს არ მიიღებენ ორთქლმავალ გემებზე, რომლებიც მიმოდინდუნაისა და შავ ზღვას შორის.

1914, №71, გვ. 3

პეტერბურგის საოლქო სასამართლო არჩევს 25 პეტერბურგელ ვეჟილთა საქმეს, რომელთაც ბრალდებათ უმაღლესი იურიდიული ჩინოვნიკის შეურაცხყოფა ბეილისის საქმის გამო რეზოლუციის მიღებისას.

1914, №73, გვ. 2

ქუთაისის ებრაელები ქალაქის გამგეობას სთხოვენ ნუ დააჯარიმებენ სანიტარული ოქმების გამო.

1914, №74, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ. იაკობსონის წერილი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს სტ. კუზანოვის მიერ ებრაელთა ერის უდიერად მოხსენიების ფაქტს.

1914, №76, გვ. 3

სანიტარმა ვ. ბეჟენიშვილმა ოქმი შეუდგინა რამდენიმე ებრაელს.

1914, №78, გვ. 4

წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც ავტორი ითხოვს მადლობა გადაეცეს იმ პირებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ფინანსურად კომერციულ სასწავლებელს.

1914, №79, გვ. 3

სანიტარმა ვ. ბეჟენიშვილმა აქტი შეუდგინა რამდენიმე ებრაელს. იგივე თემაზე №81, გვ. 2

1914, №83

განაჩენი. ამხანაგური სასამართლო არჩევს საქმეს, რომელშიც ბრალი ედება სტ. კუზანოვს ებრაელი ერის უდიერად მოხსენიებაში და გამოაქვს თავისი განჩინება.

1914, №85, გვ. 3

ქუთაისის თვითმმართველობის დარბაზში შედგება ქუთაისის ებრაელთა რწმუნებულების კრება ახალი რაბინის ასარჩევად.

1914, №85, გვ. 3

სანიტარმა ვ. ბეჟენიშვილმა ოქმი შეუდგინა რამდენიმე ებრაელს.

1914, №92, გვ. 3

ოდესის რეაქციული გაზეთი „ზნამია“ განაგრძობს რა პროგრესული ჟურნალისტების წინააღმდეგ ბრძოლას, იწყებს მათი სურათების ბეჭდვას კომპრომეტაციის მიზნით.

1914, №93, გვ. 3

ბროდსკიმ პალესტინაში იყიდა ერთი ათასი დესეტინა მიწა, სადაც დასახლებიან კიევიდან ჩამოსულები.

1914, №93, გვ. 3

რუმინეთში ანტისემიტურმა პროპაგანდამ პოგრომები გამოიწვია.

1914, №94, გვ. 2

ქუთაისის სასამართლომ რამდენიმე ებრაელი თითო — ორ-ორი მანეთით დააჯარიმა ანტისანიტარიის გამო.

1914, №95, გვ. 2

სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ბაზარში ოქმი შეუდგინა ხილით მოვაჭრე ებრაელებს.

1914, №96, გვ. 3

კიევის საგუბერნიო სამმართველო ძლიერ მკაცრად ეპყრობა ებრაელთა დასახლების უფლებების შემოწმებას. გადასახლება მოელის 5000 ოჯახს — 30 000 სულს.

1914, №96, გვ. 3

წერილი რედაქციის მიმართ ქუთაისის სომეხთა სკოლის მზრუნველებისაგან იაკობსონსა და კუზანოვის ინციდენტთან დაკავშირებით.

1914, №100, გვ. 3

დეპუტატ დემჩენკოს კიევიდან ებრაელთა გადასახლება მიაჩნია კატასტროფად ებრაელებისა და რუსებისათვის.

1914, №105, გვ. 2

სად. ლაშეზე დააპატიმრეს რიჟინაშვილის გატაცებაში მონაწილე 3 კაცი.

1914, №105, გვ. 3

უკრაინის ქალაქებიდან ასახლებენ ებრაელებს. კიეველმა ებრაელებმა სთხოვეს შს მინისტრს მაკლაკოვს შეაჩეროს გასახლებები სენატის მიერ საქმის საბოლოო გარჩევამდე.

1914, №107, გვ. 3

სად. ლაშეზე დაპატიმრებულებს გოკიელოვის მოკვლაც ჰქონიათ განზრახული.

1914, №109, გვ. 2

ბუზიაშვილის საპნის ქარხნის მუშამ დადუნაშვილმა წყლის მაგივრად დალია საპნის შესაზავებელი სითხე და გარდაიცვალა. ბუზიაშვილს ოქმი შეუდგინეს.

1914, №110, გვ. 2

ქუთაისის სასამართლომ დააჯარიმა რამდენიმე ებრაელი ანტისანიტარის გამო I მანეთით.

1914, №110, გვ. 2

28 ივლისს შედგება მ. იაკობაშვილის მოძრავი ქონების ვაჭრობა, რაც შეფასებულია 95 მან. 2 შაურად.

1914, №111, გვ. 3

სასამართლომ რამდენიმე ებრაელი დააჯარიმა ანტისანიტარის გამო. იგივე თემაზეა №114-ში მოთავსებული ინფორმაცია, გვ. 3.

1914, №125, გვ. 3

სანიტრებმა ოქმი შეუდგინეს გელათის ქუჩაზე მცხოვრებ რამდენიმე ებრაელს.

1914, №134, გვ. 3

ომში განვეულთა ოჯახების დამხმარე კომისიას მიემატა რამდენიმე ცნობილი ებრაელი.

1914, №137, გვ. 3

სასამართლომ პაპიაშვილი დააჯარიმა 25 მანეთით სხვისი შეურაცხყოფისათვის.

1914, №138, გვ. 4

ბაზრის ზედამხედველმა ოქმი შეუდგინა ორ ებრაელს ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

1914, №147, გვ. 3

გაზეთი ბეჭდავს „გოლოს მოსკვის“ წერილს ამ ომიანობის

დროს მცირე ერების მიმართ აგრესიული პოლიტიკის გატარებისა და აგიტაციის წინააღმდეგ.

1915, №10, გვ. 3

ა/კ 86802 ებრაელი ცხოვრობს.

1915, №13, გვ. 3

ებრაელთა უბანში ანტისანიტარიაა გამეფებული.

1915, №14, გვ. 3

პალესტინაში ანტისიონისტურ ლონისძიებებს ატარებენ და აიძულებენ ხალხს გაიქცნენ.

„ისარი“

1907, №9, გვ. 4

ნაფიც ვექილთა თანაშემწე ებრაელებს ჩამოართვეს დაცვის უფლება.

1907, №10, გვ. 2-3

გერცენშტეინის მკვლელობის საქმის დეტალები. (გაგრძელება №11-ში გვ. 3-4)

1907, №15, გვ. 3

20 იანვარს ტფილისის საბჭოს დარბაზში ი. ტრაცევიცკიმ წაიკითხა ლექცია „ებრაელთა ეკონომიკური უფლებები“. დაესწრო ბევრი ხალხი.

1907, №17, გვ. 3

გერცენშტეინის მკვლელობის გამომძიებელმა ვექილმა ვებერმა შეკრიბა საყურადღებო ცნობები მკვლელობაში მონაწილეთა შესახებ.

1907, №23, გვ. 4

ოდესაში ებრაელებს აფრთხილებენ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოთ.

1907, №32, გვ. 3

შავრაზმელთა ძალმომრეობა ებრაელებზე ოდესაში

1907, №34, გვ. 4.

ოდესაში ებრაელთა მიმართ ძალმომრეობის შესახებ.

1907, №70, გვ. 4

სამხრეთ გუბერნიებიდან ებრაელები საჩქაროდ მიდიან

საზღვარგარეთ.

1907, №74, გვ. 4

ტულის ოლქის სასამართლოს პროკურორმა მიიღო დეპეშა სახელმწიფო კარის მინისტრისგან იმის შესახებ, რომ ტულაში ებრაელთა ანიოკების 3 მონაწილეს ეპატიოთ დანაშაული.

1907, №76, გვ. 4.

დაიწყო ბელოსტოკის პოგრომის საქმის გარჩევა.

1907, №92, გვ. 2.

კონგრესი ეროვნულ საკითხზე, რომელშიც მონაწილეობდა მონვეული II-დან 7 პარტია, მათ შორის „ებრაელთა პროლეტარიატის სოც. პარტია“. განიხილავდნენ ნაციონალური დამოუკიდებლობისა და ავტონომიის უფლებრივ საკითხებს.

1907, №96, გვ. 4

ვილნა. სიონისტების კონგრესი ჩატარდება ჰაგაში 14-20 აგვისტოს.

1907, №108, გვ. 3.

ებრაელთა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ („სერი“) გად-ანყვიტა საკუთარი კანდიდატები წამოაყენოს მომავალ სათათ-ბიროს არჩევნებში.

(არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას მოუწოდებდა ვილნოდან სიონისტთა კომიტეტიც „ისარი“, №156, გვ. 4 — დ. ხ.)

1907, №122, გვ. 3

ფინლანდიის სეიმში შეიტანეს კანონ-პროექტი ებრაელთა უფ-ლებრივად გათანასწორების შესახებ.

1907, №127, გვ. 3

ხელმწიფე იმპერატორმა ებრაელთა აკლესიაში მონაწილეო-ბისათვის დასჯილ 14 გლესს აპატია დანაშაული და დაუბრუნა ღირსება-უფლება.

1907, №132, გვ. 1

პოლონელები და ებრაელები მომავალ არჩევნებში ერთ ბლოკ-ში მისცემენ ხმას.

1907, №138, გვ. 3

კროლევცაშიმ ჟიტომირსა და კიევში დაიწყო ებრაელთა აკ-ლების საქმეების გარჩევა.

1907, №140, გვ. 3.

„ფინლანდიის სასამართლომ გადასდო გერცენშტეინის მკვლელობის საქმის განხილვა.

1907, №155, გვ. 3.

იცკა რიჟინაშვილის მოკვლის წლისთავზე მის საფლავთან თავი მოიყარა ახალგაზრდობამ განურჩევლად პარტიული მიმართულებიან.

1907, №156, გვ.

ტფილისი. რუსეთის ისტორიაში მრავლად მოიძებნება ხალხთა დევნის ფაქტები; არ ინდობდნენ პოლონელებს, არბევდნენ ებრაელებს, თავს ესხმოდნენ „ინოროდცებს“. ყველაფერს „ინოროდცებს“ და ებრაელებს აბრალებდნენ. იაპონიასთან დამარცხებაც მათი ბრალი ყოფილა.

1907, №157, გვ. 3

1906 წელს ებრაელ ემიგრანტთა დიდი ნაკადი მიანყდა ამერიკის კონტინენტს.

იგივე თემას ეხება №158 გვ. 3. ინფორმაცია.

1907, №170, გვ. 4

ლუცკი. ებრაელი მემარჯვენეები პოლონელ აგრარებთან ბლოკს ჰკრავენ.

1907, №174, გვ. 2

„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“ იმუქრება: თუ მესამე სათათბირომ ებრაელებს თანასწორუფლებიანობა მიანიჭა, რუსი ხალხის რისხვა კადეტებს დაატყდება თავსო.

1907, №177, გვ. 3

ჰააგაში სიონისტთა კონგრესზე შეიკრიბა 446 დელეგატი.

1907, №180. გვ. 3

შსს-მ ვარშავის ოლქის მთავარ სამედიცინო მმართველობას შეატყობინა, რომ პოლონეთის თითო აფთიაქში შეიძლება მხოლოდ ორი ებრაელი შეგირდის მიღება.

1907, №184, გვ. 3

„ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ შეუმუშავებია ებრაელებთან ეკონომიური ბრძოლის პროექტი.

1907, №187, გვ. 3.

სენატის განმარტებით თუ მონათლული ებრაელი დაუბრუნდა

ძველ რჯულს, ჩამოერთმევა ყველა უფლება, რაც მას მიენიჭა.

1907, №188, გვ. 3

„ჭემმარიტ რუსთა კავშირმა“ ისევ მიუსია ებრაელებს თავის მხეცები. ებრაელები გარბიან.

1907, №192, გვ. 4

ოდესის გრადონაჩაღნიკმა რაბინს სთხოვა შეაჩეროს ებრაელი ახალგაზრდები და პირობა მისცა, მეც გავაჩერებ რუსის ახალგაზრდებსო.

1907, №195, გვ. 3

გარდაიცვალა ცნობილი ქუთაისელი ვაჭარი მარდახა ციციაშვილი, რომელიც ექსპროპრიაციის მსხვერპლი შეიქნა.

1907, №198, გვ. 3.

სამგლოვიარო წერილები და დეპეშები ქუთაისის ებრაელთა საზოგადოებამ ზიზღი გამოსთქვა ი. ჭავჭავაძის მკვლელისადმი.

1907, №204, გვ. 3

ტფილისში ებრაელთა თორაში პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებული ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.

1907, №204, გვ. 3

„17 ენკენისთვის ტფილისში ებრაელთა თორაში (სინაგოგაში — შ. ნ.) პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებული ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად“.

1907, №212, გვ. 3

ტამბოვის გუბერნიის ქ. კოზლოვის პოლიცმანისტერმა ბრძანება გასცა არჩევნების დღეს ებრაელები გარეთ არ გამოვიდნენო, რითაც მოუსპო არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

1907, №214, გვ. 2

ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აუცილებლობა ასე აქვთ სხვა ერებს — ებრაელებს, პოლონელებს და ა.შ.

1907, №214, გვ. 4

სენატის განმარტებით ციმბირში გადასახლებულ ებრაელებს შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოდ მიწერილ ადგილებში.

1907, №215, გვ. 3

ანარქისტებმა მოკლეს ოდესის საიდუმლო პოლიციის უფროსი

დელფინსკი. ჭეშმარიტმა რუსებმა ამის გამო დაარბიეს ებრაელები. მთელი დღე ებრაელთა ხოცვა არ შეწყვეტილა.

1907, №217, გვ. 2-3

დანვრილებითაა აღწერილი დელფინსკის დასაფლავების დღეს ხულიგანთა მიერ ებრაელთა ანიოკების ამბავი.

1907, №217, გვ. 2

წერილი ოდესიდან - პატრიოტების თავგასულობა. ებრაელთა დარბევა ხულიგანი პატრიოტების მიერ. უნივერსიტეტში შესვლის მსურველი წელს მრავლადაა. მაგრამ გარეთ ბევრი დარჩა — უმეტესად ებრაელობა.

1907, №239, გვ. 4

სოფელ უსტინოვკაში ერთმა შეშლილმა ებრაელმა რამდენიმე სახლს ცეცხლი წაუკიდა. დაპატიმრებული ებრაელი ბრბომ მოიტაცა და ცეცხლში შეაგდო, სადაც დაიწვა.

1907, №246, გვ. 4

გაპონის მოლაღატეობის დამტკიცება როტენბერგის მიერ. გაპონის მოკვლა.

1907, №247, გვ. 2

პროფესორ პიხნოს ახალი კანონ-პროექტით ებრაელებს წაერთმევათ რუსეთის ქვეშევრდომების უფლებანი და მიეცემათ მხოლოდ ისეთი უფლებები, როგორც გააჩნიათ უცხოეთის ქვეყნების ქვეშევრდომებს.

1907, №248, გვ. 2

სათათბიროს თავმჯდომარე ხაიმიაკოვის აზრით, ჯერ არაა იმის დრო, რომ ებრაელთა თანასწორუფლებიანობაზე ვიმსჯელოთ.

1907, №250, გვ. 2

მინისტრების მსჯელობის საგანი გახდა კიევის პოლიტექნიკუმში ებრაელთა მიღება (ალბათ, ნორმაზე მეტის მიღების გამო — შ. ნ.)

1907, №250, გვ. 2.

ფარცხანაყანების ბაზრობაზე მოდიან ებრაელი ვაჭრები ქუთაისიდან და კულაშიდან. ბ. თ.

1907, №251, გვ. 3

ქუთაისი. ერთ ებრაელს შეუცვივდნენ სახლში ორი ახალგაზ-

რდა და მოსთხოვეს ფული. რომ გამოვიდნენ, დაიჭირეს. აღმოჩნდნენ გიმნაზიელები.

1907, №252, გვ. 4

ოდესელ „ჭემმარიტ რუსთა“ კავშირის ლიდერი გრაფი კონონიციანი უჩივის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს უკანონოდ გააფართოვა ებრაელთა უფლებებიო.

1907, №257, გვ. 3

ოდესაში მოკლული საბა კლდიაშვილის წლისთავზე განსვენებული საფლავზე ქუთაისში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

1907, №262, გვ. 4

იუსტიციის მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა აღადგინა ორი წლის წინ გაუქმებული 600 განმარტება ებრაელთა შესახებ, რომელნიც ებრაელთა უფლებებს ზღუდავენ.

1907, №276, გვ. 4

კიევის სასამართლოში დაიწყო ებრაელთა პროგრამის საქმის გარჩევა. ადმინისტრაციის ბრძანებით ვლადივოსტოკიდან ყველა ებრაელი უნდა გავიდეს.

1907, №285, გვ. 4.

კიევის ებრაელთა პროგრამის სასამართლო პროცესზე მოწმე მათიუშენკოს ჩვენების შესახებ.

იგივე თემაზე №286-ის ინფორმაცია გვ. 3

1908, №15, გვ. 4

გონებაარეულ მენშიკოვს („ნოვოე ვრემიას“ სულის ჩამდგმელი – გაზეთის გამნარტებაა – შ. ნ.) ყველგან ღალატი და მტრობა ელანდება ებრაელების მხრიდან.

1908, №41, გვ. 2-3.

ეროვნული მოძრაობა რუსეთის ებრაელებს შორის.

(„სერბის“ მეორე კრებული) (გაგრძელება №45-ში გვ. 2-3)

1908, №47, გვ. 2

გადამწვარ ქუთაისელ ებრაელთა დასახმარებლად ადგილობრივ შეძლებულ ებრაელთ შეუკრებიანთ 42000 მან. ნამესტნიკს შეუწირავს 2000 მან.

1908, №48, გვ. 3

ქუთაისის ხანძრის დეტალების შესახებ.

„კავკასიის კალენდარი“

1889, გვ. 305

თბილისის გუბერნია.

არის 3 სინაგოგა. ებრაელები 5 ათასამდე. დამნაშავეთა რიცხვით ებრაელები ბოლო მე-5 ადგილზეა.

მსგავსი ცნობებია ქუთაისის გუბერნიასა და ელისავეტოპოლის (განჯის) გუბერნიაზე.

„კვალი“

1893, №12, გვ. 7

მოსეს სიკვდილი (პოემა). ავტ. რ. საჯავახოელი (რაჟდენ ხუნდაძე).

1893, №17, გვ. 5 - 6

ქუთაისელი მოსეს სჯულის მქონე ხმოსნების პრეტენზიული ქმედების შესახებ.

1893, №22, გვ. 20

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1893, №28, გვ. 9

იგივე განცხადების დამატებითი სია.

1893, №23

აცხადებს ვალებიანი მამულების გაყიდვას (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1893, №41, გვ. 4

სუფუნაში ებრაელები ძველი დროიდან ცხოვრობენ და აქვთ მამულები.

1893, №47, გვ. 17

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის განცხადება საჯარო ვაჭრობის შესახებ (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1894, №47

აცხადებს გაყიდვას (ჩამოთვლილია გვარები).

1894, №2

იგივე (გაყიდვის შესახებ).

1896, №53

იგივე (გაყიდვის შესახებ).

1895, №3, №4, №2, №7 №6 №22

იგივე.

1894, №2, გვ. 14 – 16 – 17 – 18 - 19

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს ვაჭრობას (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1894, №3, გვ. 17

იგივე (გაყიდვის შესახებ).

1894, №23, გვ. 21

იგივე.

1894, №47, გვ. 17 - 24

იგივე.

1894, №16, გვ. 5

„ებრაელი ხმოსნების უმსგავსო საქციელის შესახებ ქუთაისში“.

1894, №23, გვ. 14 – 15

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს გაყიდვას (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1894, №38, გვ. 5

ხონის მიდამოებში აბრეშუმის კარგი მოსავალია; სომხები უფრო პარკად ყიდულობენ, ხოლო ებრაელები — ამოღებულ ძაფს.

1894, №47, გვ. 16

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს გაყიდვას (ჩამოთვლილია ებრაელთა გვარები).

1895, №16, გვ. 12

1890 წ. აღწერით ბათუმში ცხოვრობდა 862 ებრაელი.

1895, №1, გვ. 17 – 20 – 21 - 22 – 23 - 24

ებრაელთა ჩამონათვალი მისამართების ჩვენებით.

1895, №23, გვ. 7

ერთ ქუთაისელ ვაჭარს სოფ. ჯურუყვეთში (ოზურგეთის მაზ-

რა) ჩამოყვანა ცოლი, რომელმაც მარჩიელობით დიდძალი ფული იშოვა.

1895, №31

ეს სია გრძელდება.

1895, №35, №51

საჯარო გაყიდვა.

1895, №38, გვ. 2

ცხინვალის ნორმალურ სასწავლებელთან სამეურნეო განყის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ სუფრაზე დროს ატარებდნენ სხვებს შორის ურიებიც.

1895, №49, გვ. 4

საჭირო პასუხი. აკაკის პასუხი ანტონ ფურცელაძისადმი ლ. კოსტავას ამბებთან დაკავშირებით.

1896, №13, გვ. 216

ებრაელები — ვაჭრობა — ანტისემიტიზმი - წერილის ძირითადი თემები.

1896, №15, გვ. 296

1895 წ. თბილისში ცხოვრობდა 1656 კაცი და 1690 ქალი ებრაელები.

1896, №16, გვ. 277

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს საჯარო გაყიდვას (ებრაელთა ჩამონათვალი).

1896, №28, გვ. 492

ქუთაისის გუბერნიაში 1894 წ. ცხოვრობდა 7072 ებრაელი.

1896, №34, გვ. 614

წარმოიშვნენ თუ არა სხვა ენები ებრაული ენისაგან?

1896, №46, გვ. 822

ვილაც ბოროტმოქმედმა ცეცხლი წაუკიდა ებრაელთა დუქნებს ვანში.

1896, №48, გვ. 853

ქუთაისელი ებრაელები ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობენ.

1896, №53, გვ. 965 - 975

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას

(ებრაელთა ჩამონათვალი).

1897, №3, გვ. 53 - 61

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის აცხადებს საჯარო ვაჭრობას (ჩამონათვალი ებრაელებისა). იგივე მეორდება №5-შიც.

1897, №5, გვ. 119

ქუთაისი. ურიების საქმის გამო გაძვირებულა „პრაშენიების“ წერა.

1897, №33, გვ. 612

ლენქორანში ებრაელები ცხოვრობენ შეძლებულადო — წერს კორესპონდენციის ავტორი ია ეკალაძე.

1897, №5, გვ. 165 – 168 - 173

ქუთაისის ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას (ებრაელთა ჩამონათვალი).

1897, №23, გვ. 532 – 669, 691

იგივე.

1897, №25, გვ. 81

ლუკა კოსტავას ასქმესთან დაკავშირებით.

1897, №31, გვ. 585 – 588

ქუთაისის ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას (ებრაელთა ჩამონათვალი).

1897, №36, გვ. 663 – 668

იგივე.

1897, №35, გვ. 648 – 650 - 652

იგივე.

1897, №51, გვ. 908

იგივე.

1898, №1, გვ. 22 – 32, 57 - 58

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს საჯარო ვაჭრობას (ებრაელთა ჩამონათვალი).

1898, №4, გვ. 60 – 63

წერილი პარიზიდან დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით.

1898, №5, გვ. 86

იგივე. მანიფესტები ემილ ზოლას წინააღმდეგ.

1898, №9, გვ. 162

იგივე. დაკითხვები.

1898, №10, გვ. 165 - 168

კვლავ დრეიფუსის შესახებ. ავტორი ნ. ჟორდანია.

1898, №11, გვ. 194

ერეკლე II აღწერილობით (1770 წ. 5 აპრილი) ებრაელები ცხოვრობდნენ: ნილკანში, სურამში, ქსნის საერისთაოში. ა. ხანანაშვილი.

1898, №15, გვ. 259

ქუთაისელი ებრაელები ითხოვენ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

1898, №20, გვ. 340

სოფ. კულაში ებრაელს ვექსილი დაუხიეს.

1898, №22, გვ. 383

ქართულ ენაზე გავლენა მოიხდენია სხვა ენებთან ერთად ებრაულსაც.

1898, №24, გვ. 405

სოფ. ქარელი შეცვალაო, წინათ აქაური ებრაელები ფართლით ვაჭრობდნენ და ახლა აღარ ვაჭრობენო. მხოლოდ ორი ებრაელი ვაჭრობსო.

1898, №30, გვ. 506

არჩევნებისა და მთავრობის კრიზისი საფრანგეთში, აქტიურობენ ანტისემიტები. ვ პეტრიაშვილი.

1898, №34, გვ. 562

ფოთის ამომრჩეველთა სიაში ებრაელი 64 კაცია.

1899, №4, გვ. 60

საფრანგეთში ანტისემიტობიში მძვინვარებს — წერს კორესპონდენტი.

1899, №11, გვ. 167

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები. წერილში საუბარია იმაზე, რომ ბანკის წესდების მიხედვით „მეკენჭე“ შეიძლება ყოფილიყო თავადიც და ებრაელიც და სომეხიც. ერთმა თავადმა გააძევა ბანკის მეკენჭე ებრაელი, როგორ გაბედა აქ მოსვლაო. ავტორი გ. წერეთელი.

1899, №11, გვ. 171

რკინიგზის გაყვანის მნიშვნელობა სამტრედიისათვის და ვაჭრობისათვის.

1899, №12, გვ. 184

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები. თავად-აზნაურობას მამულები ხელიდან ეცლება. ბანკი გაიყოს დასად: ერთ დასში მოხვდნენ წვრილი აზნაურობა და ვაჭრები (მათ შორის ებრაელებიც), მეორე დასში - მემამულენი და მათი ინტელიგენცია.

1899, №13, გვ. 206

ახალი სენაკის „იარმუკობაზე“ ებრაელთა ვაჭრობის შესახებ.

1899, №14, გვ. 222

ძველი სენაკის ბაზრობაზე ებრაელთა ვაჭრობის შესახებ.

1899, №29, გვ. 465

წერილის ავტორი უკმაყოფილოა ებრაელთა ვაჭრობის წესით. ავტ. გ. ბოკერია.

1899, №32, გვ. 539

ჩემი შთაბეჭდილება. როგორ გახდა აბრამა ელიგულაშვილის მწარე, მძალე, უვარგისი პურის ფქვილი მშვენიერ, სახმარად ვარგის საკვებად.

1899, №41, გვ. 704

წერილში სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკია ებრაელთა როლის შესახებ მცხეთის ისტორიაში. ავტ. ა. ხანანაშვილი.

1899, №43, გვ. 743

დრეიფუსმა გაიმარჯვა. ნაციონალისტები და მონარქისტები მიეცნენ სამართალში.

1899, №47, გვ. 801

ბანძა. წერილში მოთხრობილია ამ სოფლის უბნებზე (ერთ-ერთია ურია-კარი), აქაურ მცხოვრებლებზე — ებრაელებზე და სხვებზე.

1899, №49, გვ. 831

ურების უბანში ანტისანიტარიაა.

1900, №5, გვ. 84

წერილები საფრანგეთიდან. დღევანდელი პარტიები და მიმდინა-

რე პოლიტიკა. ავტორი ლ. დ. (ვლადიმერ დარჩიაშვილი – დ. ხ.)

1900, №7, გვ. 113 – 114

წერილები საფრანგეთიდან. საფრანგეთის ანტისემიტური მიმართულების პარტიების შესახებ. გაგრძელება №10, გვ 162; №11, გვ 178.

1900, №9, გვ. 146

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. ქუთაისში XIX ს. 20-იან წლებში 1500 მცხოვრებიდან 800 ებრაელი იყო.

1900, №15, გვ. 238

ა. ჩხენკელი, ებრაელთა ეროვნული მოძრაობა („სიონიზმი“).

1900, №16, გვ. 258

იგივე სტატიის გაგრძელება.

1900, №12, გვ. 184

ლანჩხუთში არსებობს ორი დაბა: ცაგერი – მეტობს ლეჩხუმელები, ლაილაში – მეტობს ებრაელები.

1900, №24, გვ. 384

არჩევნები საფრანგეთში.

1900, №26, გვ. 411

სურამში მამასახლისის არჩევისას ქართველები და ებრაელები ქართველს ირჩევენ მამასახლისად, ხოლო სომხები – სომეხს. აირჩიეს ქართველი.

1900, №27, გვ. 434

არჩევნების შედეგები.

1900, №32, გვ. 506

სოფელ ცხრა წყაროში მოვაჭრე ებრაელი დააყარაღეს და თავი მოკვეთეს.

1901, №8, გვ.

საფრანგეთში დაიწყო მოძრაობა ანტისემიტებისა და ნაციონალისტების წინააღმდეგ.

1901, №14, გვ. 226

რუსეთის ცხოვრება. ფინანსთა სამინისტრო მუშაობს პროექტზე ებრაელთა უფლებების გაფართოების შესახებ.

1901, №17, გვ. 269

ქუთაისის თეატრში მომხდარი არეულობის შესახებ.

1901, №17, გვ. 277

საყურადღებო აღმოჩენა. იტალიის ქალაქ კესარიის მახლობლად უპოვიათ ფიცარი იესო ქრისტეს განაჩენით.

1901, №20, გვ. 513

„მეკონტრაბანდენი“ ანუ „შვილნი ისრაილისა“ მოგვითხრობს პიესის შინაარსს.

1901, №21, გვ. 548

ქუთაისის თეატრში მომხდარი არეულობის შესახებ სპექტაკლ „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს.

1901, №22, გვ. 566

თეატრში არეულობის ჩამდენის შესახებ გამოიტანეს განაჩენი (ფულადი ჯარიმა).

1901, №23, გვ. 581

სასამართლო პროცესი ქუთაისის თეატრში არეულობის მომწყობთა შესახებ.

1901, №27, გვ. 644

განსაკუთრებული კანონის ძალით ებრაელებს ნება აქვთ მოჰკიდონ ხელი მხოლოდ ზოგიერთ კანონითვე აღნიშნულ ხელობას.

1901, №29, გვ. 675

მთავრობას განუზრახავს ხელ-ახლა გადასინჯოს ებრაელთა ბინადრობის ადგილის საკითხი.

1901, №35, გვ. 775

სიონისტების კრება თფილისში, რომელსაც ხელმძღვანელობდა უსიშკინი.

1901, №37, გვ. 804

ჯარში ნამსახურებ ებრაელებს შეუძლიათ იცხოვრონ ყველგან.

1901, №39, გვ. 837

სასამართლომ თეატრში არეულობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დასაჯა ფულადი ჯარიმით.

1901, №40, გვ. 853

პოლიციას არ აქვს უფლება დაატუსაღოს „ბინადრობის გო-

ნის“ გარეთ მცხოვრები ებრაელები.

1901, №40, გვ. 855

წერილი ქუთაისიდან. თეატრის არეულობასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის შესახებ. საინტერესოა ვეჭილების სიტყვები.

1901, №43, გვ. 900

ბაქოდან გაასახლეს ებრაელები.

1901, №43, გვ. 902

ანი ებრაელთა საქმეებს განიხილავს არა სასულიერო დეპარტამენტი, არამედ შსს-ს კომისია.

1901, №44, გვ. 916

თბილისის ებრაელ მკერავებს გადუნყვეტიათ საურთიერთო დახმარების საზ-ის დაარსება.

1901, №44, გვ. 918

მოსკოვის ობერ-პოლიცმანისტერმა ბრძანა მსახიობთა ჯგუფებში არ მიიღონ მოსკოვში ცხოვრების უფლების არ მქონე პირები.

1901, №??, გვ. 128

დრეიფუსის საქმემ ორ პარტიაში გააერთიანა ყველა პარტია: „ინტერნაციონალ-სოციალისტები და პატრიოტები“.

1902, №3, გვ. 45

რუსეთის ცხოვრება. მინსკის სადურგლო სახელოსნოების ებრაელმა მუშებმა ითხოვეს ნებართვა მუშათა კლუბის დაარსების შესახებ.

1902, №6, გვ. 101

წერილი ჟენევიდან სიონისტების V კონგრესის შესახებ. ავტორი ქართველი ქალი (ნანეიშვილი-ფალავა ალექსანდრა).

1902, №8, გვ. 129

ხონის ბაზრობაზე ქუთაისელი ებრაელები იაფად ყიდულობენ ადგილობრივი ქალების ნაწარმს.

1902, №8, გვ. 146

ს. დიდ ჯიხაიშში ბაზრობა ხდება ოთხშაბათს. აქ მოდიან კულაშელი ებრაელები სავაჭროდ.

1902, №14, გვ. 227

ებრაელთა გაზეთების ცნობით ვარშავის რაბინებს დაუწყველიათ სიონისტები.

1902, №15, გვ. 240

ძველი სენაკის ბაზრობაზე ებრაელები შალებს ყიდულობენ დაბალ ფასებში.

1902, №15, გვ. 247

რუსეთის დასავლეთი გუბერნიებიდან ებრაელები მიდიან ამერიკაში.

1902, №30, გვ. 481

ცხინვალის ხანძრით დაზარალებული ებრაელების შესახებ.

1902, №32, გვ. 512

სურამში გაიმართა საღამო ცხინვალის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

1902, №37, გვ. 591 - 592

საჩხერის ებრაელთა გაჭირვებული ყოფის შესახებ. ავტორი ჯინჭველაშვილი სერგო.

1902, №38, გვ. 611

სიონისტების კრება მინსკში.

1902, №39, გვ. 630

ქვემო ავსტრიის მომავალ არჩევნებში „ებრაელთა მოძულე“ დასის წინააღმდეგ შეერთდებიან ლიბერალები, გერმანელთა სახალხო ჯგუფი, სრულიად გერმანელნი და სოციალ-დემოკრატები.

1902, №39, გვ. 630

რუმინეთის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ევროპის ქვეყნების დაინტერესებას რუმინეთში ებრაელთა მდგომარეობით.

1902, №39, გვ. I

ინფორმაცია ემილ ზოლას გარდაცვალების შესახებ.

1902, №40, გვ. 638

პოლიცმაისტერს დაუვალებია ბოქაულებისთვის ყურადღება მიექციათ ებრაელების მიერ „ბინადრობის ზონის“ დაცვის საკითხისათვის.

1902, №40, გვ. 639

სოფ. ლანიოში (ქუთაისის მაზრა) გახსნეს რამდენიმე დუქანი,

რომელშიც კულაშელი ებრაელები ვაჭრობენ.

1902, №41, გვ. 654 - 655

ემილ ზოლას გასვენების შესახებ.

1902, №42, გვ. 670

ემილ ზოლას გასვენება.

1902, №45, გვ. 717

ებრაელებისა და სომხების ბედის მსგავსების შესახებ.

1903, №3, გვ. 38

პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ებრაელი ვერა რაფაელოვიჩი პეტერბურგიდან გააძევა. სენატმა შეაჩერა გრადონაჩალნიკის გადაწყვეტილების აღსრულება.

1903, №6, გვ. 86

„თფილისში მცხოვრებმა ებრაელებმა (აშქენაზებმა — შ. ნ.) გააგზავნეს დეპუტაცია პეტერბურგში მთავრობასთან, რათა მიიღონ ქალაქში ცხოვრების უფლება იმ ებრაელებმა, რომლებიც სიაში ვერ მოხვდნენ, მაგრამ აქ ცხოვრობენ 1885 წლიდან“.

1903, №15, გვ. 234

ცხინვალის დაზარალებული ებრაელები დიდ გაჭირვებაში არიან.

1903, №18, გვ. 278

შინაური მიმოხილვა. მსჯელობს ებრაელთა პოგრომებში გაზეთების როლის შესახებ.

1903, №18, გვ. 278

თბილისელი ებრაელები აგროვებენ ფულს კიშინიოვის პოგრომში დაზარალებული ებრაელებისთვის.

1903, №18, გვ. 281 - 282

რუსეთის ცხოვრება. ვრცელი წერილი კიშინიოვში ებრაელთა პოგრომის შესახებ.

1903, №19, გვ. 297 - 299

ვრცელი წერილი ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ კიშინიოვის პოგრომის მიმართ.

1903, №19, გვ. 295

„თფილისელმა ებრაელებმა ნება ითხოვეს გამართონ კიშინიოვში

დაზარალებულთა სასარგებლოდ ხელის მონერა და კონცერტი“.

1903, №20, გვ. 309

კიშინიოვის დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ თფილისში შეგროვდა 1000 მან-მდე. აზრად აქვთ წარმოდგენა გამართონ მათ სასარგებლოდ.

1903, №20, გვ. 312

დონის როსტოვში ხმა გავარდა ებრაელები უნდა ამოჟლიტონო.

1903, №20, გვ. 313

ზოგიერთმა ევროპულმა გაზეთმა დაბეჭდეს ცნობები, რომლებიც ყალბ წარმოდგენას ქმნიან კიშინიოვში მომხდარი პოგრომის შესახებ. ცნობები დამყარებულია შინაგან საქმეთა მინისტრის წერილზე.

1903, №20, გვ. 316

გაზეთი ბეჭდავს სენატორ ნაბოკოვის წერილს, გამოქვეყნებულს „ნოვოსტში“ კიშინიოვის პოგრომთან დაკავშირებით.

1903, №22, გვ. 350

სამშობლოს ცაზე. ირ. ევდოშვილის ორაზროვანი წერილი კიშინიოვის ებრაელთა პოგრომის შესახებ. გაუგებარია ნამდვილად ებრაელები მიაჩნია დამნაშავედ ავტორს ამ ხოცვა-ჟლეტაში, თუ სხვა ვინმე. ხელს აწერს რიგოლეტო (ი. ევდოშვილი).

1903, №23, გვ. 362

კრუშევანის გაზეთი „ზნამია“ გაიყიდა 400 მან. მყიდველმა შეროტმა გამოცემის უფლება კრუშევანს დაუთმო.

1903, №24, გვ. 378

კიევის გუბერნიის პოლიციის უფროსმა ბრძანება მიიღო „ბინადრობის ზონის“ გარეთ მცხოვრებ ებრაელთა გადასახლების შესახებ.

1903, №27, გვ. 426

კიევის გუბერნიიდან ებრაელები მიემგზავრებიან ამერიკაში.

1904, №5, გვ. 57

კრუშევანი უჩივის ჟურნალების „ვოსხოდისა“ და „მირ ბორჟის“ რედაქტორებს, რომლებმაც „ცილი დასნამეს“ მას კიშინიოვის პოგრომში მონაწილეობდაო.

როტმილდი

1897, №38, გვ. 689

1898, №10, გვ. 169; №38, გვ. 630; №42, გვ. 693; №46, გვ. 756;
№51, გვ. 839; №23, გვ. 389, 390;

1899, №5, გვ. 69

1902, №20, გვ. 321; №42, გვ. 767

დრეიფუსის საქმე

1898წ. - №4, გვ. 60 – 63; №5, გვ. 86 – 87; №8, გვ. 140 – 141;
№9, გვ. 160 – 162; №10, გვ. 165 – 168; №13, გვ. 219;
№30, გვ. 499 – 506; №36, გვ. 595; №38, გვ. 635;
№39, გვ. 652; №41, გვ. 679, 686 - 688; №42, გვ. 699;
№43, გვ. 715; №44, გვ. 728; №45, გვ. 744; №47, გვ. 777;
№50, გვ. 831

1899წ. - №1, გვ. 7; №5, გვ. 71; №19, გვ. 301; №22, გვ. 1, 346 - 347;
№33, გვ. 1; №35, გვ. 611; №36, გვ. 629 - 630;
№37, გვ. 646; №38, გვ. 662; №43, გვ. 743

1903წ. - №14, გვ. 219

„კლდე“

1912, №1, გვ. 9 - 10

პასუხად „კავკაზსკოე სლოვოს“. წერილში ლაპარაკია ქართულ-სომხურ ურთიერთობაზე, აგრეთვე პოლონელების დამოკიდებულებაზე ებრაელთა მიმართ და გავლენებულთა პარალელები. დასკვნაში მოცემულია: „პოლონელ-ებრაელთა და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა საზოგადოდ დიდ მსგავსებას წარმოადგენს. განსხვავება მხოლოდ ერთია: ებრაელებს მხოლოდ ეკონომიური ინტერესები აქვთ პოლონეთში და სომხები კი პოლიტიკურ ინტერესებსაც ეძებენ საქართველოში“.

1912, №9, გვ. 1 - 2

სახელმწიფო დუმის არჩევნებში იაგელოს მხარდაჭერას ავტორი თვლის პოლონური ნაციონალიზმის წინააღმდეგ გალაშქრე-

ბას და, ამრიგად, ებრაელების მიერ პოლონური ეროვნული პოლიტიკის (ნაციონალიზმის – შ. ნ.) უარყოფას. ავტორი ა – ი.

1912, №9, გვ. 14

წერილის ავტორის აზრით პოლონეთის საბანკო სისტემა თითქმის მთლიანად ებრაელთა ხელშია. ისინი აქ საკმაოდ ძლიერ, გავლენიან ძალას წარმოადგენენ. სტატია ხელმოუწერელია.

1915, №9, გვ. 12 - 13

ებრაელების დასაცავად. წერილში საუბარია ებრაელთა დამსახურებაზე მსოფლიოს ხალხების წინაშე და მათ მიმართ არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე.

1915, №12, გვ. 8

მეჭერკოვსკი და ჩაგრული ერების ბედი რუსეთში. საუბრობს ებრაელთა მიმართ დამოკიდებულების უსამართლობაზე. წერილს ამთავრებს ასე: „დე, ებრაელებში ნუ დაივიწყებენ, რომ ებრაელების საკითხი რუსის საკითხიც არის“.

1918, №5, გვ. 3

თბილისის ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ ყველა ებრაელი წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს მსოფლიო ებრაელი ერისა.

1918, №13, გვ. 4

ქრონიკა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-3 რაიონის წევრად 7 ებრაელია.

1918, №16, გვ. 1

რუსი ებრაელები თავის თავს თვლიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად.

1920, №24, გვ. 4

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტური ფრაქცია აცხადებს, რომ გაუნევეს ყოველგვარ დახმარებას გლეხობას. განცხადებები მიიღება ახალციხეში, სამაზრო კომიტეტში რაფიელ ალელიშვილთან (ალელიშვილები არიან ქართველებიც – შ. ნ.).

1918, №25, გვ. 3

აბრამ ბუზიაშვილმა შესწირა 5000 პაპიროსი ჯარისთვის.

1920, №52, გვ. 2

დ. ბააზოვმა შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა ზომები მიიღოს ტყიბულისა და საჩხერის გზაზე გახშირებული ყაჩაღობის

წინააღმდეგ. მინისტრი შეპირდა.

1920, №54, გვ. 3

ქრონიკა. ი. ელიგულაშვილს საქართველოს ეკონომიურ აგენტად დანიშვნის გამო როტერდამსა და საფრანგეთში შეუწყდა პარლამენტის წევრობა.

1920, №63, გვ. 2

30 მარიაშობის თვეს მონვეულია სიონისტების ყრილობა თბილისში. ელიან სტუმრებს საქართველოს ქალაქებიდან.

1920, №78, გვ. 2

მოსამსახურე ებრაელები თავისუფლდებიან სამუშაოდან მათს უქმესთან დაკავშირებით 13, 14 და 15 სექტემბერს.

1920, №78, გვ. 4

ხმა ისრაელისა (რაჭიდან). წერილში ლაპარაკია ებრაელთა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას ემატება ვაჭრობის აკრძალვაც სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით. ამის გამო ებრაელთა მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ავტორი გმობს ამ მოქმედებას და დასძენს: „როცა არჩევნებისთვის ხმებია საჭირო ისრაელებიც მოქალაქენი არიან, ხოლო როცა გაჭირვებაში გაეხვევიან, მოქალაქის სახელი ესპობათ“. ხელს აწერს ჰე-ბე.

„კოლხიდა“

1911, №1, გვ. 4

წერილი ეძღვნება ქუთაისში რადზევიჩის დაბრუნებას, რომელიც როგორც წერილიდან ჩანს, წასულა ქალაქიდან მისადმი უსამართლო ცუდი დამოკიდებულების (თუ შეურაცხყოფის) გამო.

1911, №2, გვ. 1

გაზეთი იძლევა სახელმწიფო სათათბიროს 24 მარტის სხდომის ანგარიშს (საუბარია ებრაელთა უფლებების შესახებ).

1911, №4, გვ. 4

ინფორმაცია პროფესორ დ. ხვოლსონის გარდაცვალების შესახებ.

1911, №7, გვ. 3

ყაზანში სახელმწიფო გამოცდების ჩასატარებლად ჩასულ ნოვოროსიის უნივერსიტეტდამთავრებულ ებრაელ სტუდენტებს

ქალაქში ცხოვრების უფლება არ მისცეს, მიუხედავად სტოლიპინის ნებართვისა.

1911, №7, გვ. 1

ებრაელი ხალხის, როგორც მრავალტანჯული, მაგრამ მტკიცე, ამაყი და მარადიული ერის შესახებ — მსჯელობს წერილის ავტორი.

1911, №24, გვ. 1

ექიმ ვ. კაკიტელაშვილის რეკლამა ავადმყოფთა მიღების შესახებ.

1911, №24, გვ. 3

სასულიერო საქმეთა დეპარტამენტმა აცნობა გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და ოლქის უფროსებს, რომ ებრაელთა საბუთი ნებისმიერ ადგილას ცხოვრების შესახებ იურუდიულად არ შეინყნაროთო.

1911, №31, გვ. 2

სენატის განმარტებით ებრაელს უფლება არ აქვთ შეიძინონ უძრავი ქონება მუდმივი ცხოვრების ზონის გარეთ.

1911, №32, გვ. 3

ეკატერინოსლავის გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება ახლო სოფლებში უკანონოდ მცხოვრები ებრაელების გასახლების შესახებ.

1911, №39, გვ. 3

სახელმწიფო სათათბიროში მარკოვ II თქვა, რომ „ებრაელი მუშები რუსი მუშების მტრებია, საჭირო იყო ლიფლანდიის გუბერნიიდან ყველა ურიის გადასახლება“.

1911, №65, გვ. 3

იუშჩინსკის სიკვდილის გამო ებრაელთა დარბევას აპირებენ. დეპ. პ. გეგეჩკორმამიილო იმ წერილის პირი, რომელიც გამოუგზავნია „თავისუფალ მოაზროვნე ინტერნაციონალურ საზ-ის“ დუმის სპიკერ როდზიანსკისთვის, რომელშიც შეშფოთებას გამოთქვამს ებრაელთა მდგომარეობით და მათი პოგრომისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

1911, №71, გვ. 3

სადგურ პროსკუროვოზე (კიევი) გაკრულია განცხადება, რომელშიც ჟანდარმთა საპოლიციო სამმართველო უკრძალავს არამგზავრ ებრაელებს სადგურის დერეფანში ყოფნას.

1911, №72, გვ. 3

ოდესაში პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე ებრაელი ქრისტიანული სახელის მითვისებისათვის.

1911, №73, გვ.

აკრძალეს წიგნაკი „წამებული ჭაბუკი იუშჩინსკი“.

1911, №73, გვ. 4

„ონის ებრაელები გაუნათლებლები, შეუგნებელი და უსუფთაო ხალხია“.

1911, №75, გვ. 4

იუშჩინსკის სიკვდილს ებრაელებს აბრალებენ და მუშტებს ამზადებენ მათ დასარბევად. გაზეთი ბეჭდავს სხვადასხვა სახის ინფორმაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის რაბინების წერილი, რომ ებრაელები საჭმელში არათუ ადამიანის, არამედ ფრინველ-პირუტყვის სისხლსაც არ ხმარობენ.

1911, №76, გვ. 3

79 ებრაელი ითხოვს სალორიაში იჯარით ადგილს სამოსახლოდ.

1911, №79, გვ. 2

„საყურადღებო ამბავი“ (ვუძღვნი ქუთათურ ებრაელებს). ებრაელები ითხოვენ ადგილს სალორიაში სამოსახლოდ. ავტორი მიესალმება ამ ამბავს და იმედს გამოთქვამს, რომ ქალაქის საბჭო დააკმაყოფილებს ებრაელთა თხოვნას. ხელს აწერს „ისარა“.

1911, №79, გვ. 3

კურსკის ებრაელებმა თხოვნით მიმართეს პროკურორს დაცვან ისინი „წმინდა რუსების კავშირის“ და გაზეთ „კურსკაია ბილ“-ის შევიწროებიდან იუშჩინსკის მოკვლის გამო.

1911, №79, გვ. 3

ებრაელები აპირებენ პროტესტის გაცხადებას მათი ჯარში განწვევის აკრძალვის გამო.

1911, №87, გვ. 3

გელათის ქუჩაზე ქუთაისში რევოლვერით მოკლეს ებრაელი იაკობაშვილი და დაჭრეს ელიაშვილი.

1911, №91, გვ. 2

ივანე ბაბუნაშვილმა დანით დაჭრა დათა ფიჩხაძე.

სამ ებრაელს, რომლებიც ვაჭრობიდან ბრუნდებოდნენ, თავს

დაესხნენ ბანდიტები. ერთი ებრაელი გულში დაჭრეს, ორმა ცხენების გაჭენებით უშველა თავს.

1911, №92, გვ. 2

მატარებელში ერთ ებრაელს ფეხი დაუცდა და მძინარე ქალს დაეცა. ქალის თანმხლებმა პოლკოვნიკმა 70 წლის მოხუცი ებრაელი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა.

1911, №96, გვ. 2

პოლკოვნიკი, რომელმაც მატარებელში მოხუცი ებრაელი სცემა რუსი ოფიცერი ყოფილა.

1911, №103, გვ. 2

ბოროტმოქმედებმა მოკლეს და გაძარცვეს სოფ. ქვიტირში მცხოვრები ლაილაშელი ებრაელი მოშა ბერელიშვილი.

1911, №106, გვ. 3

ქურდებმა გაქურდეს აბრამ ფიჩხადის ბინა.

1911, №125, გვ. 4

ილიოდორემ ცარიცინის მონასტერში განაცხადა, რომ მალე დაინყება „აქტიური“ მუშაობა ებრაელებისა და ინტელიგენციის წინააღმდეგ.

1911, №125, გვ. 4

გომელის ადმინისტრაციამ აკრძალა ლექციის კითხვა ჭლექის შესახებ პოლონურ და ებრაულ ენებზე.

1911, №126, გვ. 2

5.09 ქალაქის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილია 79 ებრაელის თხოვნა სალორიაში სამოსახლო ადგილის გამოყოფის შესახებ.

1911, №130, გვ. 2

ქალაქის გამგეობა სთხოვს პოლიცმაისტერს, რომ ებრაელებმა ძველი შემადგელობის ნაცვლად აირჩიონ ახალი „სწავლული, მნათე და ხაზინადარი,“ (გაზეთის ტერმინებია — შ. წ.) აგრეთვე რაბინის თანაშემწე.

1911, №130, გვ. 3

ებრაელები იხიზნებიან კიევიდან.

1911, №131, გვ. 3

ილიოდორე თავის გამოსვლაში ჰკიცხავს ადგილობრივ ადმი-

ნისტრაციას, სასამართლოს, ებრაელებს და ინტელიგენციას.

1911, №133, გვ. 3

ილიოდორე ითხოვს ნებართვას იარაღის შესაძენად, რათა ებრძოლოს მუშებს-ყიდებს, ინოროდცებს, ინტელიგენციას, მასონებს.

1911, №134, გვ. 4

კიევის ებრაელები დარბევის მოლოდინში არიან, ვისაც შეუძლია, გარბის ქალაქიდან.

1911, №135, გვ. 3

სოფიის მონასტერში პარაკლისი იყო. გოლუბოვმა მქუხარე სიტყვაში ხალს მოუწოდა ებრაელთა პოგრომისაკენ. ქალაქში მღელვარებაა.

1911, №136, გვ. 2

კავკასიაში ებრაელ მელვინებს შეუძლიათ გაყიდონ ღვინო მათთვის გამოყოფილ საცხოვრებელ ადგილას.

1911, №136, გვ. 3

სტოლიპინის ძეგლის ასაგებად ებრაელების შეწირულებას არ მიიღებენ.

1911, №136, გვ. 3

კიევის გენერალ-გუბერნატორმა ტრეპოვმა მოსთხოვა მემარჯვენე ორგანიზაციებს, რომ ებრაელთა პოგრომები არ გაბედონ.

1911, №145, გვ. 3

ბაგროვს ჩამოსხრჩობის წინ უნდოდა ლაპარაკი რაბინ ალექსოვსკისთან, მაგრამ ნება არ დართეს.

1911, №146, გვ. 1

ზამისლოვსკის, პურიშკევიჩისა და კომპანიას შეუდგენია ვრცელი მოხსენება კოკოვცევთან წარსადგენად „ინაროდცების“ შესახებ, რომელთა ქვეშ გულისხმობდნენ ფინლანდიელებს, პოლონელებს და ებრაელებს.

1911, №149, გვ. 3

ოდესაში კიშინიოვიდან ჩამოსულ დეპუტატ პურიშკევიჩის მამას რუხლოვს საჩივარი გაუგზავნია იმის შესახებ, რომ პირველი კლასის კუბეში, რომელშიც ის იჯდა, შემოსვლის უფლება მისცეს

ებრაელ ქალს.

1911, №150, გვ. 3

ონის ებრაელებს მშვენიერი სინაგოგა აქვთ დიდი ეზოთი რკინის გალავნით შემოზღუდული. აქვთ ორი სასწავლებელი — სამინისტროსი და იეშიბა. ამ მხრივ ისინი უსწრებენ ქართველებს.

1911, №160, გვ. 2

ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა გაბრიელ მოშიაშვილს 12 სთ-მდე ქათმების ყიდვისათვის.

1911, №161, გვ. 2

მესამე სათათბირო განიხილავს „ინოროდცების“ უფლებების შეზღუდვის საკითხს (აქ იგულისხმება ფინელები, პოლონელები, ებრაელები).

1911, №164, გვ. 1

15 ოქტომბერს, სათათბიროს გახსნის დღეს, თავრიდის სასახლეში დიდი ანტიისემიტური აგიტაცია გაიმართა. შემდეგ გაზეთი მოგვითხრობს იმ ანტიისემიტური გამოსვლების შესახებ დუმაში, რაც თითქმის ჩვეულებრივ ამბად გადაიქცა.

1911, №165, გვ. 1

საჩხერელი ებრაელი უჩივის პრისტავ ბუშკიას მენაშე ნანიკაშვილის მიმართ გამოჩენილი უკანონო სიმკაცრის გამო.

1911, №171, გვ. 1

შალომ კაკიტელაშვილზე შედგენილი ოქმი სანიტარული წესების დარღვევისათვის წარედგინა გუბერნატორს.

1911, №171, გვ. 1

ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა მიხეილ ცხვირაშვილს და სხვებს ქათმების ვადაზე ადრე ყიდვისათვის.

1911, №172, გვ. 3

პროფესორ ემალინოვსკის ორგანიზებულ მიტინგზე ვილაც ებრაელ აკერბლიუმს უთქვამს: „რუსეთის სახელმწიფო უფეხო და უთავო ადამიანს ჰგავს, რომელიც იარებით არის მოცული“.

1911, №173, გვ. 2

ოდესის სასამართლომ ებრაელები, რომელთაც ქრისტიანული სახელები მიუთვისებიათ, 10-დან 52 მანეთამდე დააჯარიმეს.

1911, №178, გვ.

სახელმწიფო სათათბიროში იხილება ფინლანდიაში ებრაელთა უფლებების საკითხი. ზოგი დეპუტატი მოითხოვდა მათი უფლებების გაფართოებას, უმრავლესობა — უფრო შემცირებას. როდინევის მოსწრებული თქმით: „ხალხი, რომელსაც სათათბიროს ხელმძღვანელად მოაქვს თავი, სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის გაგება-შემეცნებას ებრაელთა ლანძღვა-გინებაში ხედავს... დღევანდელი სხდომა ლანძღვა-გინების სხდომაა. ადამიანთა სამართლიანობა, მისი წმიდათა-წმიდა არ უნდა ილანძღვებოდეს და იბილწებოდეს“.

1911, №189, გვ. 2

გელათის ქუჩაზე ციციაშვილის სახლიდან ქურდებმა ოქროს საათი მოიპარეს.

1911, №190, გვ.

ძმები გოკიელოვების მალაზიიდან მოშა იაკობაშვილმა მოიპარა 10 მან. ღირებული ერთი ყუთი კონსერვები. ქურდი დაიჭირეს.

1911, №195, გვ. 3

სახელმწიფო სათათბიროზე ლაპარაკია ძირითადად პოლონეთში ებრაელთა უფლებების შეზღუდვაზე.

1911, №196, გვ. 3

გაზეთი ბეჭდავს ე. გეგეჭკორის საპასუხო წერილს გაზ. «Закавказская речь» №262-ში დაბეჭდილ წერილზე, რომელშიც განმარტავს თავის პოზიციას მემარჯვენე ანტისემიტების დებულების მიმართ, თითქოს ანტისემიტობაში ქრისტიანობის დამახასიათებელი თვისებაა და აღნიშნავს, რომ ამ დებულებას ანტისემიტები იყენებენ თავიანთი პოგრომული მოწოდებებისათვის. ხალხთა ძმობის იდეამ ღრმად გაიდგა ფესვები კავკასიის ყველა ხალხებში და პურიშკევიჩის კანიბალური მოწოდება ძმის ძმაზე გალაშქრებისა მხოლოდ ზიზლს იწვევს ჩვენში — ასკენის ავტორი.

1911, №198, გვ. 2

პოლიტიკოსთა პოლიტიკანობა. წერილი ეხება პოლონეთში საქალაქო თვითმმართველობის განხილვას სათათბიროში. პროექტი იცავს რუსთა ინტერესებს და, როგორც წესი, მოითხოვს ებრაელთა უფლებების შეკვეცას.

1911, №199, გვ. 2

ე. გეგეჭკორის წერილის გამო. წერილის ავტორი აკრიტიკებს

ე. გეგეჭკორის წერილის იმ აზრს, თითქოს ქართველებს მხოლოდ გუშინ-გუშინნინ შეუგნიათ პოგრომების სისაზიზღრე და თავი დაუნებებიათ ამ სამარცხვინო ანტისემიტური ქმედებისათვის. თუ კი რამ უსიამოვნება ან ჩხუბი მომხდარა ამ ორ ერს შორის, ასკვნის ავტორი, ეს მოძულეობით კი არა, უფრო გაუგებრობის ნიადაგზე ყოფილა. წერილს ხელს აწერს „ულმობელი“.

1911, №201, გვ. 2

განიხილავენ კანონ-პროექტს სამხედრო სამსახურის წესის შეცვლის შესახებ. ბენიგსენს წინადადება შეაქვს გამოაკლონ 395-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ებრაელთა დაჯარიმებას 300 მან., თუ უარს იტყვის სამხედრო სამსახურზე.

1911, №201, გვ. 3

განაგრძობენ სტოლიპინის მკვლევლობის შესახებ შეკითხვის განხილვას. კელესპოვსკი სტოლიპინს ებრაელთა გულისწყრომის მსხვერპლად თვლის.

1911, №202, გვ. 2

ქალაქის სანიტარმა ვ. ბეჟანიშვილმა ოქმი შეუყენა ებრაელებს ანტისანიტარიის გამო.

1911, №203, გვ. 2

18.12 9 სთ-ზე ებრაელთა სამლოცველოს ეზოში ებრაელთა რაბინის თანაშემწე აირჩიეს.

1911, №203, გვ. 3

გრძელდება სამხედრო სამსახურის წესის განხილვა. ზოგი ითხოვს ებრაელთა განთავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან, ზოგი წინააღმდეგია „ინოროდცების“ სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების.

1911, №204, გვ. 4

ლოძში გზად მიმავალი სამი ებრაელიდან ერთი მოკლეს და ორი გადარცვეს.

1911, №206, გვ. 1

აკრიტიკებს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებისა და სულისჩამდგმელი უფროსების მოღვაწეობას, რომელთა უპირველესი მიზანია ებრაელთა პოგრომები, მათი დიდი და მცირე ღარბევები.

1911, №209, გვ. 2

წერილის ავტორი რუსეთს ახასიათებს, როგორც ანტიდემოკრა-

ტიულ, ანტისემიტურ სახელმწიფოდ, რომელიც თავისი მოქალაქეების უფლებებს ამერიკისგან განსვავებით კი არ იცავს, არამედ, პირიქით ფეხქვეშ თელავს და ტალახში სვრის. ავტორი „ი ტ“.

1911, №209, გვ. 3

გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის სანიტრების მიერ შედგენილი ოქმები (მათ შორის ებრაელებზეც).

1911, №211, გვ. 1

ქუთაისის ებრაელობა რაბინის თანაშემწედ ასახელებს კვლავ რიჟინაშვილს.

1911, №211, გვ. 2

აშქენაზმა ებრაელებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს ადგილი მიხაილოვის შესახვევში, რიონის ნაპირას სინაგოგის ასაგებად.

1911, №214, გვ. 2

სანიტრებმა ოქმი შეუდგინეს რამდენიმე ებრაელს.

1911, №220, გვ. 3

კიევში ებრაელ ნაფიც ვექილთათვის 10% ნორმა დააწესეს.

1911, №224, გვ. 4

ავსტრიის მეფის სახლობის ებრაული წარმოშობის შესახებ.

1912, №4, გვ. 2

ბაქოს პოლიციის უფროსმა აქ მცხოვრებ ქუთაისელებს ჩამოართვა პასპორტები, რადგანაც ასეთი პასპორტებით იქ ცხოვრების უფლება არ ჰქონიათ.

1912, №7, გვ. 3

ექიმ კაკიტელაშვილის განმარტებითი წერილი მიკიჩა მარქარიანცის მასთან ვიზიტისა და თხოვნასთან დაკავშირებით.

1912, №3, გვ. 2

ზოგნი არ აქებენ ეხლანდელ რაბინსო. მან წინააღმდეგობა გაუწია ბ. კაკიტელაშვილს ებრაელთათვის სკოლის დაარსების საქმეში.

1912, №6, გვ. 2

ქალქის გამგეობა სთხოვს ებრაელთა სამლოცველოებს შეადგინონ რაბინის ამომრჩეველების წერილი, რათა დანიშნონ კრების დღე.

1912, №7, გვ. 2

„ბუნდის“ ჟენეველი წევრები ქართველ სტუდენტობას ბოიკოტს

უცხადებენ. გაუგებრობა წარმოიშვა ბალ-მასკარადების გამართვის თანამიმდევრობის გამო.

1912, №9, გვ. 3

სატირული ფელეტონი იმის შესახებ, რომ ვერ გაუგიათ რუსებს, რატომ თვლიან ებრაელებს ამერიკელები მოქალაქეებად, როცა მათთვის ყველა ებრაელი, ამერიკელი თუ რუსეთის, უუფლებო ხალხია. და კიდევ — რატომ გააუქმა ამერიკის კონგრესმა 1832 წელს რუსეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. ნუთუ ებრაელების გამო?!

1912, №12, გვ. 2

ჩვენი დროის გლადიატორები. ესაა მოწოდება იმ შავი ძალების მიმართ, რომელთაც სურთ ყალბი ბრალდებით იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით ებრაელთა პოგრომები გამოიწვიონ.

1912, №13, გვ. 2

მავანი ღარიბი სტუდენტი გაზეთის საშუალებით მადლობას მოახსენებს რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს ისრაელ რიჟინაშვილს და დავ. მეკინულოვს, აგრეთვე სხვებს დახმარებისთვის.

1912, №21, გვ. 2

უნყებათა შორის კომისიამ დაადგინა, რომელ ენაზე უნდა ხდებოდეს სწავლება უცხო ერებისთვის. ამ უკანასკნელში ებრაელები არ იგულისხმება.

1912, №24, გვ. 4

სათათბირო განიხილავს საკითხს დაჩქარებული წესით, განიხილონ, თუ არა კიევში მომხდარი ინციდენტი სახაზინო პალატის მიერ ებრაელი ვაჭრებისთვის სავაჭრო მოწმობების მიცემასთან დაკავშირებით.

1912, №27, გვ. 4

იუშჩინსკის საქმის გამო გამომდიებელმა დათხოვნილი სამძებრო პოლიციის ყოფილი უფროსი მიშიუკი დააპატიმრა.

1912, №30, გვ. 1

ებრაელ ტოპლიშვილის სარჩელი ქალაქის საბჭოს მიმართ გელათის ქუჩაზე მიწის ნაკვეთის შესახებ სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

1912, №33, გვ. 1

ოქმი შეუდგინეს შაფათა თოფჩიაშვილს და კიდევ ორ ებრაელს საქონლის ვადაზე ადრე ყიდვისთვის.

1912, №38, გვ. 4

პუროშკევიჩის საქციელი. წერილში ლაპარაკია აფთიაქში პუროშკევიჩის ანტისემიტურ გამობდომებზე.

1912, №39, გვ. 1

კიევში დააპატიმრეს იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით სამძებრო პოლიციის განყოფილების მეთვალყურე კლეიკი.

1912, №40, გვ. 2

ნაციონალისტების ფრაქციის ანტისემიტური პოლიტიკის შესახებ.

1912, №40, გვ. 3

იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ცნობილი ექსპერტები არიან მოწვეული.

1912, №41, გვ. 3

ავსტრიელი ცნობილი ეკონომისტის პროფესორ ზომბარტის აზრით ებრაელთა ასიმილაცია (გადაგვარება — მისი ტერმინია — შ. ნ.) შეუძლებელია. ამიტომ მათთვის უნდა დაარსდეს ცალკე სახელმწიფო, რომლის კოლონიზაცია მოხდება აღმოსავლეთის (რუსეთი და სხვა — შ. ნ.) ებრაელებით, ხოლო დასავლეთის (ევროპის — შ. ნ.) ებრაელები აგილზე დარჩებიანო.

1912, №41, გვ. 3

ინგლისის ებრაული საზოგადოების წარმომადგენლებმა სთხოვეს თავის მთავრობას განუცხადოს რუსეთს, რომ ებრაელთა არშეშვება რუსეთში 1859 წ. ხელშეკრულებას არღვევსო. მსგავსი თხოვნით მიმართეს თავიანთ მთავრობებს გერმანიის, ავსტრიისა და საფრანგეთის ებრაელებმა.

1912, №41, გვ. 4

„ვილაც ადესელ კუპრინკოს ქმრის მოკვლა განუზრახავს, რათა მერე ეს ებრაელებისთვის დაებრალეზინა სისხლის აღების მიზეზით“.

1912, №42, გვ. 4

ურალის პოლიცემისტერმა ორი ებრაელი განზრახ მოკლა, რისთვისაც სამსახურიდან დათხოვნა, უფლებათა აყრა და 3 წლით გამასწორებელ რაზმში ყოფნა გადაუწყვიტა სამხედრო

საოლქო სასამართლომ.

1912, №46, გვ. 1

ამერიკელმა ებრაელებმა შაბათ დღეს აღნიშნეს ტაფტის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

1912, №50, გვ. 3

კამათი ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ნისელოვიჩი აღნიშნავს, რომ ებრაელებს ახდევინებენ, როგორც რუსეთის სხვა მოქალაქეებს, მაგრამ მათზე ხარჯავენ მემარჯვენეების კარნახის მიხედვით, ყოვლად უსამართლოდ ექცევიან მათ.

1912, №55, გვ. 3

ქარელიდან მდიდარი ებრაელი გაიტაცეს. მოითხოვენ გამოსასყიდს.

1912, №58, გვ. 3

ქუთაისში დაჭრეს ლოცვიდან მომავალი ისხაკ ელიგულაშვილი, მოკლეს მისი შვილი.

1912, №64, გვ. 3

გეგეჭკორი: კრასოვსკი, კიევის სამძებრო პოლიციის ყოფილი უფროსი, ამბობს, რომ იუშჩინსკი ქურდთა ორგანიზაციის წევრმა მოკლაო.

1912, №66, გვ. 3

სტიპენდიების დაწესების შესახებ პროექტის გახილვისას გამოითქვა აზრი, რომ ებრაელებს არ მიეცეთ, პირიქით მათი უფლებები შევიწროვდეს. იყო აზრი, რომ მთავარია კარგი ექიმები გვყავდეს და ეროვნებას მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

1912, №66, გვ. 4

იუშჩინსკის მკვლელობა ვერა ჩებერიაკსა და მის ბანდას ჩაუდენია.

1912, №67, გვ. 3

იუშჩინსკი მოუკლავს ვერა ჩებერიაკის ბანდის ერთ წევრს, ყიფილ ყასაბს სინგაევსკის.

1912, №67, გვ. 3

„ორთავიანი არწივის“ ზოგიერთმა წევრმა გაუგზავნა დეპეშა დუმის წევრს დ. ი. პიხნოს, რომელშიც უსაყვედურებენ „რუსის საქმეს“ უღალატეო გაზეთ „კიევილიანიში“ კრასოვსკის წერილის დაბეჭდვითო.

1912, №69, გვ. 3

ი. ელიგულაშვილის მკვლევლობის საქმესთან დაკავშირებით დააკავეს ოცამდე ებრაელი. ზოგი მათგანი მალევე გაათავისუფლეს.

1912, №70, გვ. 3

ლაილაშელების საქმიანობა.
მადლობით იხსენიებენ ილია მოძღვრიშვილს კულტურული საქმეებისათვის ფულადი დახმარების გამო.

1912, №70, გვ. 3

დათიკო ვახანელის წერილი მოშე-ხაიმ იხსაკის ძე ელიგულაშვილის შესახებ, რომელიც დაჭრეს (მერე გარდაიცვალა — შ. წ.) მამის მკვლევლობასთან ერთად.

1912, №72, გვ. 3

ციხიდან გაათავისუფლეს ვერა ჩებირიაკოვის ძმა პეტრე სიგნაევსკი, რომელსაც იუშჩინსკის მკვლევლობა ბრალდება.

1912, №86, გვ. 3

დავით მოშიაშვილს ორი თვით ციხე გადაუწყვიტეს გრ. ჩარკვიანის შეურაცხეობის გამო.

1912, №86, გვ. 3

ებრაელებს, რომელთაც მოსკოვში დროებით ცხოვრების უფლება აქვთ, ნება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ წიგნის გამყიდველთა სრულიად რუსეთის მეორე კრებაზე.

1912, №91, გვ. 3

საჩხერის ბაზრის ებრაელთა ნაწილში სიბინძურება.

1912, №96, გვ. 4

1906 წლიდან ნიკოლაევში დასახლებულ ებრაელებს ასახლებენ ქალაქიდან.

1912, №96, გვ. 4

მთავრობამ უარი უთხრა ნაციონალისტებს თხოვნაზე, რომ ებრაელები ცალკე კურიაში იყონ გამოყოფილი არჩევნების დროს.

1912, №99, გვ. 3

ხარკოვში პირველი კურიიდან 50 ებრაელი გამორიცხეს, მეორე კურიიდან — 500.

1912, №99, გვ. 4

დაიჭირეს ვერა ჩებირიაკის ქალი.

1912, №102, გვ. 3

საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ჩვენებები ჩამოართვა იუშჩინსკის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით.

1912, №103, გვ. 4

ვილნოში საარჩევნო სიიდან გამორიცხეს ვეჟილი გრუზენბერგი.

1912, №103, გვ. 4

ვილნოს გუბერნიაში პოლონელებმა სთხოვეს ებრაელებს ერთიანად იმოქმედონ არჩევნებში. ებრაელებმა უარი უთხრეს, რადგან აპირებენ ლიტველებთან გაერთიანებას.

1912, №116, გვ. 2

სანიტარული ოქმი შეუდგინეს ქვედა სინაგოგას, მანუახ ბინიურიშვილსა და სხვებს უსუფთაობის გამო.

1912, №116, გვ. 3

ინფორმაცია იმ სურათების შესახებ, აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში რომაა ასახული.

1912, №117, გვ. 2

დარაჯმა თოფით დაჭრა სამი ებრაელი.

1912, №118, გვ. 3

დამნაშავე პირების ამოცნობა დიაკონოვის ქალის მიერ იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით.

1912, №119, გვ. 2

საგანგებო საქმეთა გამომძიებელი მაშკევიჩი მთელი დღე ართმევდა ჩვენებას ბრაზულ-ბრუმკოვსკის იუშჩინსკის მკვლელობასთან დაკავშირებით.

1912, №120, გვ. 2

გამომძიებელი ათვალეერებს იმ ადგილს, სადაც მკვდარი იუშჩინსკი იპოვეს.

1912, №120, გვ. 2

ხმა გავარდა, ბეილისს 15 აგვისტომდე გაათავისუფლებნო.

1912, №121, გვ. 3

„დიდი შრომა დახარჯეს და ფულიც მიაყოლეს ქუთაისელმა ებრაელებმა, რომ გელათის ქუჩაზე ცარიელა ადგილები დაესაკუთრებინათ, მაგრამ ამაოდ“ - წერს გაზეთი.

1912, №123, გვ. 3

ოდესის გერმანული გაზეთი ურჩევს გერმანელებს ოქტომბრისტებს ბოიკოტი გამოუცხადონ და მეორე კურიაში ხმა მისცენ ებრაელთა კანდიდატს.

1912, №124, გვ. 3

რისტოვის სიებში ებრაელი ექიმები და ქალაქის მოსამსახურეები არ შეუტანიათ.

1912, №125, გვ. 3

კურსკიდან ასახლებენ ებრაელებს.

1912, №125, გვ. 3

ზვენიგოროდის გუბერნიიდან ამომრჩეველთა სიიდან ამოიღეს 22 ებრაელი.

1912, №148, გვ. 2

რაფიელ რიჟინაშვილის დუქნებთან ანტისანიტარიაა.

1912, №148, გვ. 2

სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა რამდენიმე ებრაელს.

სამინისტრო აპირებს ნება დართოს ებრაელებს იცხოვრონ ბინადრობის ზონაში ნებისმიერ უბანში. ადრე ასე არ იყო.

1905, №2721 გვ. 3

ქ. რეიცაში გაირჩა ორი ებრაელის საქმე რიტუალური ბრალდებით. ორივე გაამართლეს.

1905, №2727, გვ. 2-3.

წერილი ებრაელთა მძიმე, უუფლებო, გასაცოდავებული მდგომარეობის შესახებ რუსეთში. წერილის ავტორია „სიტყვა“.

1904, №2731, გვ. 4

მოგილიოვი. პოლიცმაისტერს სამჯერ ესროლეს.

1905, №2741, გვ. 2

ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს ამორჩეული 100 რწმუნებულის სია, რომელშიც 2 ებრაელია.

1905, №2748, გვ. 3

ფეოდოსიაში მოხდა ებრაელთა პოგრომი.

1905, №2757, გვ. 3

ვარშავის ებრაელებს განუზრახავთ ბოიკოტი გამოუცხადონ ტრამვაის.

1905, №2761, გვ. 4

ებრაული საზოგადოების 32 წარმომადგენელი პეტიციაში მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარისადმი ითხოვენ ებრაელთა შესახებ განსაკუთრებული კანონების გაუქმებას.

1905, №2770, გვ. 2

ებრაელებმა პეტიცია წარუდგინეს ვიტეს, რომელსაც ხელს აწერს 4000 კაცი. პეტიციაში აღნიშნულია ებრაელთა უუფლებო მდგომარეობა და ითხოვენ უფლებრივ თანასწორობას.

1905, №2778, გვ. 4

ვარშავა. ებრაელი გამომცემლები, ლიტერატორები და გაზეთების რედაქტორები მოითხოვენ ებრაული პრესის თავისუფლებას.

1905, №2801, გვ. 4.

სიმფეროპოლი. გუშინ ხულიგნებმა ცემა დაუნყეს ებრაელებს, მაგრამ პოლიციელებმა შეაჩერეს.

1905, №2804, გვ. I

კრემენჩუგი. კრიუკოვის პორადში მომხდარი არეულობა ებრაელთა წინააღმდეგ პოლიციამ დროზე შეაჩერა.

ლოდი. ადგილობრივი გაზეთი იუნყება, რომ ბოროტი ხალხი ხმებს ავრცელებს, თითქოს პოლონელებსა და ებრაელებს ერთმანეთი სძულთ, ვითომ ურიები ბილწავდნენ პოლონელთა ეკლესიებს.

1905, №2805, გვ. I

კოვნო. გუშინ ებრაელებმა არეულობა მოახდინეს, ყვიროდნენ და რევოლვერებს ისროდნენ.

ოდესა. სამხედრო-საოლქო სასამართლომ მიიღო ცნობა ოდესის პოლიცმაისტერის გოლოვინის მოკვლის განმზრახველნი და მისი დამჭრელი აბრამ შტილმანი სამხედრო სამართალშია მიცემულიო.

1905, №2807, გვ. 4

კიევი. 27 აპრილი. „კერძო ცნობებით“ ჟიტომირში ებრაელთა ამოჟლეტის დროს 13 ებრაელი და 5 რუსია მოკლული, მათ რიცხვში 2 კიევის უნივერსიტეტისა და ერთი ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

1905, №2809, გვ. I

კოვნა. 29.04. დაბა აბელში, ნოვოალექსანდროვის მაზრაში, ერთმა „სტაროობრიადეცმა“ ებრაელის დუქანში დაჭრა ბოქაული.

დვინსკი. 29.04. ებრაელმა ახალგაზრდამ მხარში დაჭრა ბოქაული კურლიანდსკი.

ჟიტომირი. 28.04. ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობა მოედო ახლო-მახლო სოფლებსაც.

1905, №2809, გვ. 4

ჟიტომირი, 29.04. ჟიტომირის არეულობა ახლო სოფლებსაც მოედო და სოფ. ტროიანოვაში მოხდა შეტაკება ქრისტიანებსა და ებრაელთა შორის. მოკლულია 4 ებრაელი, დაჭრილი – 1.

პეტერბურგი. ოფიციალურ ვერსიაში დამნაშავედ გამოაცხადეს ებრაელები.

1905, №2810, გვ. 3

ჟიტომირში ებრაელთა დარბევას წინ უსწრებდა აგიტაცია ებრაელთა ამოჟლეტის შესახებ.

1905, №2811, გვ. I

პეტერბურგი. 2.05. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში რევოლუ-

ციური მონოდებები გაისმოდა ებრაელთა მხრივ.

1905, №2811, გვ. 4

ინფორმაცია ებრაელთა დანოკების შესახებ ჟიტომირსა და მელიტოპოლში. ლაპარაკია მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობაზე.

1905, №2811, გვ. 4

ებრაელების დანოკება ჟიტომირსა და მელიტოპოლში.

1905, №2812, გვ. 1

პეტერბურგი. 3.05. მინისტრთა კომიტეტს დღევანდელ სხდომაზე დაუდგენია, - ნება მიეცეთ ებრაელ ხელოსნებს იცხოვრონ, სადაც სურთო.

ოდესა. 3.05. „აბრამ შტილმანს, რომელმაც ადესის პოლიცმაისტერს ესროლა, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს“.

1905, №2812, გვ. 4

დანვრილებით წერენ ჟიტომირში ებრაელთა და ქრისტიანთა შეტაკებისა და შედეგების შესახებ.

1905, №2817, გვ. 1

კიევი, 10.05. არაერთგვაროვანი ცნობები ჟიტომირში მომხდარი შეტაკებების წინა პერიოდის შესახებ.

1905, №2821, გვ. 4

კიშინიოვსა და ბესარაბიაში ებრაელები მოსალოდნელი პრომების შიშში არიან.

1905, №2821, გვ. 1

ვარშავა. 14.05. სამი დღის განმავლობაში აჯანყებული ბრბო, ძირითადად ებრაელები, ანადგურებდა საროსკიპო სახლებს.

1905, №2822, გვ. 2

ხუთასზე მეტმა თათარმა, სომეხმა, ებრაელმა და ქართველმა განჯიდან წერილი გამოგზავნეს რედაქციაში, რომელშიც მოუწოდებენ გაერთიანებული ძალებით ებრძოლონ ბნელ ძალებს.

გაზეთი ბეჭდავს აღნიშნულ წერილს (გვ. 4.).

1905, №2824, გვ. 3-4

„რუსსკოე სლოვოს“ ცნობით კავკასიის ებრაელები შუამდგომლობენ მეფისნაცვლის წინაშე ნება მიეცეთ სხვა ებრაელებს მონაწილეობა მიიღონ კავკასიის ებრაელთა წარმომადგენლების განსაკუთრებულ თათბირში.

1905, №2824, გვ. 2

გაზეთი ბეჭდავს ვ. გოლუბაევის წერილს „ეროვნება და ერები“. ძირითადი აზრი ისაა, რომ სხვა არარუს ერებისათვის თვით-გამორკვევის უფლების მიცემის შემდეგ, ერები, რომელთაც რუსები არ უყვართ (ჩამოთვლილია: პოლონელები, ებრაელები, კავკასიელები და სხვა), ამის შემდეგ შეგვირიგდებიანო, ყველა რუსსა და „პატრიოტ ნაციონალისტ“ რუსებს ერთმანეთში არ აურევენ.

1905, №2824, გვ. 3-4

ვარშავაში ებრაელმა მუშებმა საროსკიპოები დაარბიეს, ხოლო ქალებისთვის ხელი არ უხლიათ.

1905, №2828, გვ. 3-4

აღდგომის დღეს მოხდა ებრაელთა დიდი დარბევა მელიტოპოლში. ჟიტომირში, პოდოლში მოხდა შეტაკებები ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის. არიან მოკლულები და დაჭრილები ორივე მხრიდან. (გვ. I).

ჟიტომირში გააღეს დუქნები. არეულობის დროს აქ მოკლეს 12 ებრაელი და ორი ქრისტიანი. დაჭრილია 62 ებრაელი და 20 კიდევ სახლში დარჩა და არ წავიდა საავადმყოფოში. 93 დაჭრილი ქრისტიანიდან 1 გარდაიცვალა.

პეტერბურგი. იძლევა ჟიტომირში მომხდარი შეტაკების ოფიციალურ ვერსიას.

1905, №2829, გვ. I

ვილნო. 24.05. პოლიციის სამმართველოსთან ებრაელთა ბრბო თავს დაესხა გოროდოვოის და ბლაგვი საგნით მიაყენა 4 ჭრილობა. დამნაშავენი დაიჭირეს.

1905, №2832, გვ. 2.

კიევი. 29.05. ტყეში დააპატიმრეს „ბუნდის“ მომხრე ახალგაზრდა ებრაელთა კრების მონაწილეები — სულ 60 კაცი.

1905, №2839, გვ. I.

მინსკი. ვილნოს გუბერნიაში ებრაელთა დასახლებაში ხანძარმა გაანადგურა მათი სახლები.

1905, №2842, გვ. I

ჟიტომირი. კოველსკის მაზრის სოფ. იურიევიჩაში ბაზრობის დროს დაინყეს ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა და მათი ქონების დატაცება.

1905, №2845, გვ. I

ბელოსტოკში ებრაელებმა და ქრისტიანმა მუშებმა გადანყვიტეს გაერთიანებული ძალებით წინ აღუდგნენ პოგრომს.

1905, №2845, გვ. 4-

კალიში. გუბერნატორს შეატყობინეს, რომ უკანასკნელი სროლის დროს ერთ ებრაელ გოგოს შიშისგან გული წასვლია და მომკვდარა. მშობლებმა სასწრაფოდ ჩუმად დაასაფლავეს, რათა თავიდან აერიდებინათ ბავშვის სხეულის გაკვეთა.

1905, №2847, გვ. 4

არეულობა მოხდა ზდუნსკი ვილაში ადგილობრივ მოსახლეობასა და ლოძიდან მოსულ ებრაელთა შორის.

1905, №2848, გვ. I.

ბელოსტოკი. „ბუნდის“ პარტია აცხადებს უკანასკნელი მკვლელობა „ბუნდის“ წევრებს არ ჩაუდენიათო.

1905, №2849. გვ. 3

ლოძში მდგომარეობა გამწვავდა. 11.06 რამდენიმე ათასი კაცისგან შემდგარი პროცესია გაემართა ებრაელთა სასაფლაოსაკენ ორი მოკლული მუშის დასამარხავად. გადმოცემულია შეტაკებების შესახებ. მოკლულთა და დაჭრილთა უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ.

1905, №2852, გვ. I

ალექსანდროვსკი. 1.07. ბაზელში მიდიან დეპუტატები და კერძო პირები სიონისტების კონგრესზე.

1905, №2853, გვ. 3

ბერდიჩევში ერთ-ერთ სინაგოგაში „ბუნდის“ ადგილობრივმა ორგანიზაციამ ჩაატარა მიტინგი.

1905, №2854, გვ. 3

მინსკში გაიმართა მუშათა მიტინგი სინაგოგაში.

1905, №2858, გვ. 3

„ფოალე ციონმა“ ბერდიჩევის სინაგოგაში გამართა მიტინგი.

1905, №2858, გვ. 3

რუსეთის ემიგრანტები საზღვარგარეთ. მათ შორის ბევრია რუსეთიდან გასული ებრაელობა, რომელნიც დევნა-ჩაგვრას გაეექცნენ.

1905, №2859

ქალაქის საბჭოს ხმოსანმა-ებრაელებმა თანამდებობაზე უარი განაცხადეს.

1905, №2862, გვ. 4

რუსეთის ემიგრანტები საზღვარგარეთ. ოდესიდან მიღებული ცნობით ამ ბოლო დროს შვეიცარიასა და ინგლისში ოცი ათასი ემიგრანტი გადასულა რუსეთიდან. (საგულისხმოა, რომ უმეტესობა ებრაელები იქნებოდნენ – შ. ნ.).

1905, №2863, გვ. I

ვარშავა. 14.07. გუშინ ნოვომინსკში ებრაელთა ჯგუფი თავს დაესხა ქურდებს, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ იქაურობას. ქურდების ნაწილი მიიმალა, ნაწილიც ვარშავას გაიქცა.

1905, №2863, გვ. I

ოდესა. გენერალ-გუბერნატორის განცხადება, რომელშიც თავს იმართლებს, ებრაული ინტელიგენციის დარბევის თაობაზე.

1905, №2864, გვ. I

სიონისტთა კონგრესის პრეზიდენტად აირჩიეს მაქს ნორდაუ.

1905, №2865, გვ. I

ნიჟნი ნოვგოროდი. 16.07. სორმოვოსა და ვოლგის მუშები და გემების მოსამსახურეები მშვიდად მუშაობენ და ეწინააღმდეგებიან აგიტატორებს არეულობის მოსახდენად. მასობრივი არეულობა და ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა 9-11 ივლისში არ ყოფილა. ბაზელი. 15.07. სიონისტების კონგრესზე ცხარე კამათი გაიმართა ინგლისის მთავრობის წინადადების ირგვლივ: უგანდის შემოთავაზებასთან დაკავშირებით ებრაული სახელმწიფოსთვის. ცხარე კამათების შემდეგ შემოთავაზება უარყვეს.

1905, №2867, გვ. 4

ბაზელი. 20.07. კონგრესის დადგენილებით კოლონიზაცია განისაზღვრება მხოლოდ პალესტინითა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიებით.

1905, №2867, გვ. 4

ბაზელი. 20.07. „ებრაელების კოლონიური ბანკის დღევანდელ სხდომაზე საბოლოოდ მიიღეს წესდების აზრი, რომლის ძალით კოლონიზაცია განისაზღვრება მხოლოდ პალესტინითა და მისი მოსაზღვრე ოლქებით.

1905, №2868, გვ. 3

შეტაკება ებრაელთა და ჯარისკაცთა შორის უიტომირში.

1905, №2869, გვ. 3

14 ივლისს ბელეცკის მაზრის დაბა რიშკანოვკაში მოხდა თავდასხმა ებრაელებზე და მათი სადგომ-სავაჭროების აკლება. ორმხრივი შეტაკების დროს დაიჭრა 4 ებრაელი და 8 ქრისტიანი, მოკლულია 1 ქრისტიანი.

1905, №2870, გვ. 1

22.07. პეტერბურგი. გამოცხადდა ოფიციალურად დამტკიცებული დებულება სხვადასხვა სპეციალობის ებრაელი ხელოსნების საცხოვრებელი ადგილისა და მათთვის მონუმენტების გაცემის შესახებ.

1905, №2871, გვ. 2.

კიევი. 24.07. ტრაგიკული (თუ ტერორისტული მკვლელობა — შ. ნ.) შემთხვევა ებრაელ კობსის ბინაზე.

1905, №2871, გვ. 3

ხარკოვში მიმდინარეობს აგიტაცია ებრაელთა წინააღმდეგ. ოდესა. გენერალ-გუბერნატორის დადგენილება მეშჩანების ქუჩაზე მეეზოვესა და ებრაელთა შორის მომხდარი ინციდენტის გამო. (გვ. 2).

1905, №2872, გვ. 4

ოდესის პოლიცმაისტერი და მდაბიოებიც ებრაელების წინააღმდეგ ამხედრებენ უბრალო ხალხს, ჯარისკაცებს და სხვა.

1905, №2875, გვ. 3

ნიჟნი ნოვგოროდიდან ორასი ებრაული ოჯახი გადასახლდა ყაზანში.

1905, №2876, გვ. 4

ბელოსტოკი. 29.07. რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა მშობლებმა პეტიცია წარუდგინეს მზრუნველს საღმრთო სჯულის მშობლიურ ენაზე სწავლისა და წიგნთსაცავებში ებრაული, პოლონური და გერმანული წიგნების ქონის შესახებ.

1905, №2877, გვ. 1

მინსკი. 1.08. საქალაქო საქმეების საგუბერნიო საკრებულომ მიწერილობა გაუფზავნა გუბერნიის ქალაქების საკრებულოებს, ებრაელი ხმოსნების ადგილები ქრისტიანებს გადასცესო.

1905, №2878, გვ. 3

დვინსკში ტეიტომოსის ქუჩაზე 4 მოკლული და 10-ზე მეტი დაჭრილი ებრაელი ნახეს. დახოცილები დაასაფლავეს მეორე დღეს.

1905, №2882, გვ. 4

პეტერბურგი. 2.08. გაზეთების ცნობით, სხვა საკითხებთან ერთად სათათბირო განიხილავს ებრაელთა საკითხსაც.

1905, №2882, გვ. 4

ქ. ურმიაში (სპარსეთი) ებრაელთა დარბევის შესახებ. არიან მოკლულ-დაჭრილები. (ხელს აწერს „ქართველი ურმიაში“ – შ. ნ.).

1905, №2884, გვ. 4

16.08. ბელოსტოკი. ცნობა ბელოსტოკში 40 ებრაელისა და 10 ქრისტიანის სახლის დაწვის შესახებ ტყუილი გამოდგა.

1905, №2885, გვ. 3

II ივლისს ბესარაბიაში დაიჭირეს ახალგაზრდა, რომელიც „ბუნდის“ რევოლუციურ პროკლამაციებს ავრცელებდა.

1905, №2888, გვ. 3

მომავალი სათათბიროს ამომრჩეველთა რიცხვი პეტერბურგში 9500 სულს უდრის, რომელთა შორის 137 ებრაელია.

1905, №2893, გვ. I

ნიუ-იურკი, 19.08. ებრაელმა ბანკირებმა ვიტეს მოსთხოვეს ებრაელთა განთავისუფლებისთვის ხელშეწყობა.

1905, №2894, გვ. I

კიშინიოვში მძარცველების მიერ მოკლული ებრაელი ქალის დასაფლავების დროს მოხდა არეულობა: დაჭრილია 52, დაიჭირეს 30 (იგივე ინფორმაცია იხ. №2912-ში გვ. 3.).

1905, №2894, გვ. 4

სევასტოპოლის სამხედრო სატუსალოდან გაიქცა ფელდმანი.

1905, №2895, გვ. 2

სტამბოლი. ადრიანოპოლის ახლოს გაჩენილმა ხანძარმა დააზიანა 1200-ზე მეტი სახლი, ძირითადად სომხების, ბერძნების და ებრაელებისა.

1905, №2898, გვ. 4

ვარშავის პოლიციას დაუჭერია „ბუნდის“ რამდენიმე წევრი.

1905, №2902, გვ. I

მხეცურად მოკლეს ორი ებრაელი ძმა ნოტკანი.

1905, №2902, გვ. 4

სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ალ. ვასილიევსა და „ხაიმ გერშკოვიჩად წოდებულს“ (გაზეთის ტერმინია – შ. წ.).

1905, №2906, გვ. 4

პოლიცმაისტერის ანგარიშის მიხედვით 20.08-7.09 ბაქოში დაჭრეს I ებრაელი, გაძარცვულია 4 ებრაელი.

1905, №2907, გვ. 4

ვარშავა. 12.09. ებრაული გაზეთების ცნობით ნოვო-გიორ-გიევსკში დაუპატიმრებიათ სევასტოპოლის სამხედრო სატუსა-ლოდან გაქცეული ებრაელი ფელდმანი.

1905, №2910, გვ. 4

მოსკოვი. 15.09. თავმჯდომარემ – გრაფმა გეიდენმა ყრილობა დახურულად გამოაცხადა. სასტუმროში ებრაელები, პოლონელები და ლიტველები დაუძმობილდნენ რუსებს. დაარსდა კოალიციური კომიტეტი წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

1905, №2911, გვ. 4

სიმფეროპოლი. მელიტოპოლის საბჭო შუამდგომლობს, მიეცეს ებრაელებს საარჩევნო უფლება.

1905, №2912, გვ. 4

ლიბავა. მთავრობის მიერ დანიშნული 6 ხმოსანისგან 4-მა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ისინი ხალხის არჩეულები არ არიან.

პეტერბურგი. შსს-ში მთავრდება კანონპროექტის შემუშავება, რომლითაც ებრაელთა საცხოვრებელი არეალი გაფართოვდება.

ვარშავა. კობეკოს კომისიაში მოწვეულია ივრითზე გამომავალი გაზეთის „ჰაცეფის“-ის რედაქტორი სოკოლოვი.

ბელოსტოკი – იქმნება ებრაელთა კომისია, რომელიც დაიცავს ებრაელთა ინტერესებს სათათბიროში არჩევნების დროს.

პეტერბურგი – სახელმწიფო სათათბიროში განიხილავენ ებრაელთა საკითხს.

1905, №2914, გვ. 3

გუმათის მახლობლად გაძარცვეს ლაილაშში მიმავალი 3 ებრაელი.

1905, №2914, გვ. 4

მოსკოვი. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე დაადგინეს იშუამ-

დგომლონ ებრაელთა პროცენტული ნორმით მიღების გასაუქმებლად. პლოცკი. დაარსდა მეზატონეებისა და ებრაელთა პარტიები სათათბიროს თავიანთი წევრების ასარჩევად.

პეტერბურგი. არარუსული გამოცემების რედაქტორებმა მოითხოვეს თავისუფლების მინიჭება რუსული გამოცემების მსგავსად.

1905, №2915, გვ. 4

პეტერბურგი. უნივერსიტეტის საბჭოს შუამდგომლობა ებრაელთა უპროცენტოდ მიღების შესახებ დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ მიმდინარე წლისთვის.

1905, №2916, გვ. 3

სევასტოპოლის სამხედრო სატუსალოდან გაქცეული ებრაელი ფელდმანის დაჭერის ცნობა ტყუილი გამოდგა.

ვასილკოვი. დაარსდა კომიტეტი, რომელიც დაიცავს ებრაელთა ინტერესებს სათათბიროს არჩევნების დროს.

1905, №2918, გვ. 2

ს. ურიას კარში (სენაკის მაზრა) გაქურდეს ეფრემ აჯიაშვილის დუქანი. პეტერბურგი. ავადმყოფ ებრაელებს მიეცათ სამკურნალოდ ნებისმიერ ქალაქში ჩასვლის უფლება. გვ. 1.

იურიევი. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს უნივერსიტეტში შესვლის მსურველ ებრაელთა შეზღუდვის მოსპობის შესახებ.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა ოდესის სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენი ბერშტეინის საქმის შესახებ, რომელსაც გოროდოვოის მოკვლის განზრახვა ედებოდა ბრალად.

1905, №2919, გვ. 4

პეტერბურგი. შსს დაამტკიცა უნივერსიტეტების საბჭოების შუამდგომლობა მიმდინარე წელს უნივერსიტეტებში ებრაელების შეუზღუდავად მიღების შესახებ.

1905, №2920, გვ. 2

ქუთაისელი იოსებ ენუქაშვილი გაქურდეს სალორიის ტყეში.

1905, №2923, გვ. 3

ყაზანი. სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა რიცხვი ყაზანში — 1000, აქედან მაჰმადიანი — 150, ებრაელი — 40.

1905, №2924, გვ. 2

ქუთაისში ხანძრისაგან დაინვა მოშიაშვილის სახლი.

24 სექტემბერს უმაღლეს სამხედრო სასამართლოში გაირჩა მოქალაქე ბერნშტეინის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა სოციალ-რევოლუციონერთა პარტიაში მონაწილეობის მიღება, მეფეოვის ფელუდინის მოკვლის განზრახვა.

ტრუბეცკოის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის რაბინმა. (გვ. 4)

1905, №2926, გვ. 3

ხანანაშვილის სახლი მეხანძრეებმა დაწვას გადაარჩინეს.

1905, №2928, გვ. 4

მინსკის სინაგოგაში ბუნდისტები თათბირობდნენ. მათსა და გოროდოვოი-კაზაკებს შორის მოხდა შეტაკება. არიან დაჭრილები.

1905, №2929, გვ. 4

მინსკის სინაგოგაში მომხდარი შეტაკების დროს დაჭრილთა რაოდენობა გაბუქებულია.

1905, №2932, გვ. 4

ნაფიცი ვეჩილის კუბერნიკის დასაფლავების დროს მოხდა შეტაკება ხალხსა და ჟანდარმებს შორის. დაიღუპა ერთი ებრაელი ქალი.

1905, №2933, გვ. 3

მოსკოვი. ქალაქში მშვიდობაა. „ებრაელთა თანასწორ უფლებათა კავშირის“ თხოვნით ქალაქის საბჭომ დაადგინა გაიგზავნოს დეპუტაცია გენერალ-გუბერნატორთან.

ვილნო. ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. მოკლულია 20 კაცი. საბჭომ მოუწოდა მცხოვრებთ არ დაანიოკონ ებრაელები.

ეკატერინოსლავი. 23.10. მეორე დღეა მიმდინარეობს ებრაელთა აკლება-ანიოკება.

სურაჟი. ბევრი ებრაელი დახოცეს და დაჭრეს. ებრაელები ცდილობენ დაცვის მოწყობას.

ყაზანი. არბევენ ებრაელთა დუქნებს. არიან დახოცილები.

ვილნო. გაკრულია ქალაქისა და საერო და სასულიერო ხელმძღვანელობის განცხადებები ებრაელთა დასამშვიდებლად.

1905, №2933, გვ. 2.

მიმდინარეობს გამოსვლები, მიტინგები, დემონსტრაციები. „ამჟამად ეტყობა, რომ ყველგან ერთი ძლიერი ხელი მუშაობს“ — წერს გაზეთი. ეს ვაჟბატონები ყველგან თავს ესხმიან ებრაელებს, ანიოკებენ. აკლებებია პეტერბურგსა და მოსკოვში. სისხლისღვრა ოდესასა და კიევში, ებრაელთა სისხლი იღვრება

ყველგან, სადაც ისინი ცხოვრობენ. ებრაელთა კლუბები, ხოცვა-ჟლეტა არ ცხრება. (წერილი ხელმოუნერელია — დ. ხ.).

1905, №2934, გვ. 3.

ყაზანი. გაანადგურეს ებრაელთა სინაგოგა.

რიაზანი. პატრიოტული მანიფესტაციის მონაწილეებმა გაანადგურეს ებრაელთა მალაზიები.

გოდზიაჩი (? — შ. წ.) მთელ ღამეს მიმდინარეოდა ებრაელთა დარბევა.

აკერმანი. პატრიოტული მანიფესტაციის შემდეგ გადასწვეს ებრაელთა სახლები. არიან დახოცილები და დაჭრილები.

„პეტერბურგის დეპუშათა სააგენტოდან“, გვ. 4.

ივანოვო-ვოზნესენსკი. დაიწყო ებრაელთა დარბევა. არიან მოკლულ-დაჭრილნი.

რიგა. მოსკოვის ფორშტადზე, სადაც ებრაელები ცხოვრობენ, გაიარა პატრიოტულმა მანიფესტაციამ. მოხდა შეტაკება, არიან მოკლულ-დაჭრილები.

მარიუპოლი. ებრაელების ხოცვა-ჟლეტამ დილამდე გასტანა, გაანადგურეს მათი სახლები და მალაზიები. ზომები არ იქნა მიღებული ამკლებთა შესაჩერებლად.

რიაზანი. კონსერვატიულ და რევოლუციურ პარტიებს შორის მოხდა შეტაკება. ებრაელების სახლებსა და მალაზიებს წაუკიდეს ცეცხლი, დაუწყეს ნგრევა.

ვასილიოვი. ობუხოვოში ებრაელთა ჟლეტა გლეხებმა შეაჩერეს.

1905, №2934, გვ. 4

ოდესა. 23.10. აიკლეს ებრაელთა მალაზიები და დანესებულებები.

მიგილიოვი. ხელმწიფის სურათით ხელში ბრბო ქუჩებში მოუწოდებდა ებრაელთა დარბევისაკენ.

ოდესა. ღამე არეულობა იყო ქალაქგარეთ. მძარცველებს შორის იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელები.

1905, №2935, გვ. 3

ვაშინგტონი. რუზველტის გადაწყვეტილების თანახმად მთავრობა ვერავითარ ღონისძიებას ვერ გაატარებს რუსეთის ებრაელთა დასახმარებლად.

ვიტე აღიარებს თავის უძლურებას ებრაელთა პოგრომების აღკვეთის საკითხში.

რიაზანი. 24.10. დილიდანვე განახლდა ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა და მათი ქონების განადგურება.

სიმფეროპოლი. გენიჩესკში ებრაელთა დარბევის დროს მათი მალაზიები გადასწვეს.

ბალთა. 24.10. ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის დროს 60-ზე მეტი ებრაელთა დუქანი გადანვეს.

1905, №2935, გვ. 3

ოდესიდან პროფ. ვ. პეტრიაშვილი იტყობინება, რომ საბა კლდიაშვილის გარდა მოუკლავთ სტუდენტი ბაირამაშვილი და ჯარისკაცი საბახტარაშვილი, რომელთაც საძმო სასაფლაოში დაასაფლავებენ.

ნიუ-იორკი. გაიმართა საპროტესტო მიტინგი რუსეთის ამბების გამო. გავრცელდა ხმები, რომ რუზველტს, როტშილდსა და მონტეფიორეს გაუგზავნეს დეპეშები, რათა ზეგავლენა მოახდინონ რუსეთის მთავრობაზე.

რიგა. სტუდენტებისგან შემდგარი დამცველი რაზმი ებრაელთა უბანს იცავს.

პარიზი. რუსეთში დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად დაარსდა კომიტეტი.

ნიუ-იორკი. დაარსდა კომიტეტი რუსეთის დარბეულ ებრაელთა დასახმარებლად. გაჩნდა აზრი დაარსებულ იქნეს საერთაშორისო საზოგადოება რუსეთში ჟლეტა-ანიოკებისგან დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად.

ბახმუტი. აიკლეს ებრაელები, გაქურდეს და გადანვეს მათი მალაზიები.

სურაჟი. 20. და 21 ოქტომბერს მოხდა ებრაელთა დარბევა. გადაინვა 60 და გაიძარცვა 30 დუქანი, მოკლეს 3 ებრაელი და 2 ქრისტიანი, დაჭრილია 20-მდე.

1905, №2936, გვ. 4

ვენის გაზეთების აზრით ებრაელთა ხოცვა-ჟლეტა კონტრევოლუციამ მხოლოდ იმიტომ მოეწყო, რომ დაასამარონ განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთში.

1905, №2937, გვ. 1.

საბა კლდიაშვილის მოკვლის შესახებ განცხადება მშობლებისგან.

1905, №2937, გვ. 4.

მოსკოვი. 27.10. ქალაქი მშვიდდება. ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობის შესახებ გავრცელებული ხმები ჭორია.

1905, №2940. გვ. 4

ლონდონში გაიმართა დიდი კრება რუსეთის ებრაელთა მდგო-

მარეობის გამო.

1905, №2942, გვ. 4

მინსკის მუშები ქმნიან თავდაცვის რაზმს ებრაელთა დანიაკების მოლოდინში.

ლიბავა. პოლიციის მეპასპორტე კიუგე დათვრა სასტუმროში და ხალხს ფულს ურიგებდა ებრაელები სცემეთო.

1905, №2942, გვ. 2

ოდესის მცხოვრებლებს სტუდენტებისთვის გაუგზავნიათ ადრესი, რომელშიც მადლობას უხდებიან ქალაქის დაცვაში განეული ღვანლისთვის.

1905, №2943, გვ. 4.

საბა კლდიაშვილი (წერილი ოდესიდან).

წერილი ეძღვნება საბა კლდიაშვილს. ავტორი ს. ავალიანი..

სიმფეროპოლი. ბოქაულის თანამემნე ერმოლენკო, რომელიც ხალხს ესროდა ებრაელების დარბევის დროს, გუბერნატორმა სამსახურიდან გადააყენა გამოძიების დროს.

ვარშავა. ვარშავაში აიკრძალა ყველა პოლონური და ებრაული გაზეთის ცალკე ნომრობით გაყიდვა.

1905, №2945, გვ. 4

კიევი. მესამე ნაწილის მოსამართლემ საქმის გარჩევის დროს ებრაელს უთხრა: თქვენ ღირსი ხართ ხოცვა-ჟლეტისა და აკლებისა, რადგან წითელი დროშებით დადიხართო. პროკურორმა განმარტება მოსთხოვა.

ვარშავა. ფულის გამოძალვის მცდელობა ებრაელი მეჩექმისაგან.

1905, №2947, გვ. 4

ოდესა. საზღვარგარეთ მიდიან ებრაელები და ქრისტიანები.

მშობლების განცხადება საბა კლდიაშვილის ცხედრის ოდესიდან ქუთაისში გადმოსვენების შესახებ.

1905, №2947, გვ. 3

საბა კლდიაშვილის ცხედარს ბათუმში ჩამოასვენებენ 13 ნოემბერს, ქუთაისში დაკრძალავენ 16 ნოემბერს.

1905, №2947, გვ. 4

ტომსკი. ებრაელთა მაღაზიები თანდათან იღება.

ვოლსკი. ქუჩებში დაყრილი პროკლამაციები მოუწოდებენ ებრაელთა მაღაზიებისა და ჯვრით მონიშნული სახლების განადგურებას.

1905, №2951, გვ. 4

მოსკოვი. 14.II. ებრაელთა კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: ებრაელთა პოგრომების შესახებ, ებრაელთა უფლებებო მდგომარეობის, მათი უფლებრივი გათანასწოების შესახებ და სახელმწიფო დახმარების შესახებ დაზარალებული ოჯახების მიმართ.

1905, №2953, გვ. 3

საბა კლდიაშვილის დასაფლავების შესახებ.

1905, №2955, გვ. 4.

დანვრილებითი ცნობები საბა კლდიაშვილის ცხედრის ოდესიდან გადმოსვენებისა და ქუთაისში დასაფლავების შესახებ.

1906, №2977, გვ. 2-3

ხმა შორიდან.

მალაქია ბოლქვაძის წერილი კიევიდან ებრაელთა შევიწროებისა და უბედურებების შესახებ კიევში.

1906, №2977 გვ. 4.

სვირსკის მაზრის დაბა ხოდორკოვოში ებრაელი ყმანვილების მოქმედების საპასუხოდ მუშებმა და გლეხებმა გაანადგურეს ებრაელების 29 დუქანი და ასამდე ფანჯარა ჩაღწეს.

1906, №2987, გვ. 4.

კიშინიოვის ოლქის სასამართლო ეძებს „ბესარაბეცის“ რედაქტორს კრუშევანს, რომელიც ებრაელთა ანიოკებისკენ მოუწოდებდა ხალხს და თვითონაც გამოიღებდა ხოლმე ხელს.

1906, №2971, გვ. 4

ვიტებსკი. პოლიცია და ჯარი გარს შემოერტყა ებრაელთა სკოლას. მიტინგზე სწარმოებს ჩხრეკა, ამოიღეს იარაღი.

1906, №2972, გვ. 4

ორგეევი. დააპატიმრეს რევოლუციონერი ებრაელები, რომლებიც რევოლუციურ პროკლამაციებს ავრცელებდნენ.

1906, №2975, გვ. 4

ვარშავა. დახვრეტა გადაუწყვიტეს ანარქისტებს, რომელთა შორის 10 ებრაელია და 1 პოლონელი.

1906, №2975, გვ. 4

მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ ვაჭრობის

სამინისტროს წინადადებას, რომ სააქციონერო საზოგადოების წესდებაში არ შეიტანონ ებრაელთა უფლებების შემზღუდავი მუხლები.

1906, №2980, გვ. 2

რიგა. დააპატიმრეს რამდენიმე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის „ბუნდის“ წევრები.

1906, №2981, გვ. 4

დააპატიმრეს 56 ახალგაზრდა ებრაელი, რომელნიც რევოლუციურ პროკლამაციებს ავრცელებდნენ.

1906, №2983, გვ. 4

ვარშავაში დაატუსაღეს „ბუნდის“ გამოცემები.

1906, №2986, გვ. 4

რევოლუციურ მოძრაობაში ებრაელთა აქტიური მონაწილეობის ამსახველი ინფორმაციები.

1906, №2988, გვ. 3

გომელში მოკლული ბოქაულის თანაშემწის ანოსოვის დამარხვის შემდეგ ცეცხლი გაუჩინეს ებრაელთა დუქნებს, დაიწყეს მათი ძარცვა.

1906, №2991, გვ. 4

მოგილიოვ პოდოლსკში გამართული მიტინგის რეზოლუცია გმობს ებრაელთა და მემამულეთა აწიოკებას.

1906, №2994, გვ. 2.

მიმდინარეობს მალაზიებისა და დუქნების ძარცვა ქუთაისში.

1906, №2995, გვ. 4

ბერდიჩევის ვაგზალზე დააპატიმრეს ოთხი ბომბით 18 წლის ებრაელი ლევიცკი.

1906, №2997, გვ. 4

დაბა ვეცკაში მომდინარეობს ებრაელთა პოგრომი.

1906, №2996, გვ. 4

ლიბავა. უბნის ზედამხედველის მაროხეს მოკვლის განზრახვა ჰქონდა ებრაელ ვაინბერგს.

1906, №3001, გვ. 4

ვარშავა. შეიპყრეს ებრაელი, რომელსაც აღმოაჩნდა ვინტოვ-

კის პატრონების 43 ათასი კაპსულა.

1906, №3014, გვ. 4

ვილნო. 4 ებრაელს, რომელთაც ალშვანგის მაღაზიაზე თავდასხმა ედებოდათ ბრალად, სიკვდილის სასჯელი კატორღით შეუცვალეს.

ვლადივოსტოკიდან გააძევეს 149 ებრაელი მათთვის ნებადართულ ადგილებში.

კრემენჩუგელი სიონისტები აპირებენ 500 ებრაული ოჯახი გადაიყვანონ პალესტინაში.

1906, №3018, გვ. 4

ვლადივოსტოკი. მთავრობა აპირებს ებრაელი ვაჭრების გაძევებას. პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ დაავალა შს მინისტრს ყურადღება მიაქციოს მოსალოდნელი ებრაელთა დარბევის საფრთხეს და მიიღოს სათანადო ზომები.

1906, №3019, გვ. 4

პეტერბურგი. დაიჭირეს ლაკროვი — ებრაელთა წინააღმდეგ პროკლამაციების ავტორი.

1906, №3020, გვ. 4

ეკატერინოსლავი. პოლონელებსა და ებრაელებს განუცხადებიათ შესაძლო დარბევის შესახებ, რის გამოც გენერალ-გუბერნატორმა გააფრთხილა ყველა მკაცრ ზომებს მივიღებო.

ეკატერინოსლავი. ბანმუტის მაზრაში აირჩიეს რწმუნებულები, მათ შორის 5 ებრაელია.

1906, №3023, გვ. 4.

ეკატერინოსლავი. ალექსანდროვსკის მაზრაში არჩეულ რწმუნებულთა შორის 3 ებრაელია.

1906, №3024, გვ. 4

მინსკი. პოლონელ ამომრჩევლებს განზრახვა აქვთ შეერთდნენ და გაიყვანონ თავისი კანდიდატები.

1906, №3024, გვ. 4

ვლადივოსტოკის გუბერნატორის განკარგულებით ქალაქიდან უნდა გავიდეს ყველა ებრაელი, ვისაც აქ ცხოვრების უფლება არ აქვს.

1906, №3025, გვ. 2

დააპატიმრეს დათა და ვანო კირვალიძეები, რომლებიც ითვლებიან 2 ებრაელის მოკვლასა და ერთის გაძარცვაში ეჭვმიტანილებად.

1906, №3029, გვ. 4

მინსკი. მუშების მიერ არჩეულ 4 რწმუნებულში 3 ებრაელია და 1 ქრისტიანი.

პეტერბურგის კურიაში აირჩიეს ქალაქიდან შაქრის ქარხნის პატრონი და 2 ექიმი — ყველა ებრაელია.

პეტერბურგი. ქალაქის საარჩევნო კრებებზე აირჩიეს მოგილიოვში — 12 ებრაელი, რომელთაგან 5 უპარტიოა, ვინიცაში — 4 ებრაელი, ოლოპოლში — 3 ექიმი — ებრაელი, შავლში — 3 ებრაელი პროგრესისტი.

1906, №3030, გვ. 4

პეტერბურგი. ქალაქის კრებაზე აირჩიეს: კამენეც-პოდოლსკში — 2 ებრაელი, პონოვეაქაში — ნაფიცი ვექილი ებრაელი, შაველში — 2 ებრაელი, ველიკომირში — ექიმი ებრაელი, ტირასპოლის მაზრაში — 5 ებრაელი.

1906, №3031, გვ. 4

პეტერბურგი. ქალაქიდან აირჩიეს: - დუნაევცაში — 2 ებრაელი, სოროკში — 4 ებრაელი, ტელცში — 2 ებრაელი, ნოვგოროდ-სევერსკში — 1 ებრაელი, ჰაირანში — 2 ებრაელი, მოგილიოვში — 2 ებრაელი, შპოლაში — 1 ებრაელი, კოვნოში — 7 ებრაელი, ნოვოალექსანდროვკაში — 1 ებრაელი.

1906, №3031, გვ. 4

ქ. პოლტავის „უფლებრივი წესიერების კავშირის“ მონოდება ებრაელებთან და ინტელიგენციასთან ბრძოლის შესახებ.

1906, №3032, გვ. 4

პეტერბურგი. ქალაქებიდან აირჩიეს: მოგილიოვში — 3 ებრაელი, მემამულეთა კრებაზე კორჩევში აირჩიეს 4 აზნაური ებრაელი მემამულე, ოსტერში — 1 ებრაელი, სკვირში — სახელმწიფო რაზინი, ქალაქის ექიმი, ვაჭარი — ყველა ებრაელი.

1906, №3033, გვ. 4

მოახლოებულ პასექთან დაკავშირებით შს მინისტრმა ერთხელ კიდევ გაუმეორა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს მათი მოვალეობის შესახებ დაიცვან ებრაელები მოსალოდნელი ანიოკებისგან.

1906, №3033

პეტერბურგი. გრაფ ვიტეს ებრაელებმა დეპეშა გაუგზავნეს მოგილიოვში ებრაელთა პოგრომი მზადდება და ზომები მიიღეთო.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებად აირჩიეს ეკატერინოსლავიდან 80 კაცი, მათ შორის 15 ებრაელი.

1906, №3035, გვ. 1

ქუთაისის პოლიცმაისტერის პატაკი ტფილისის გენერალ-გუბერნატორის წინადადების გამო გაძარცული მალაზიების ზარალის შესახებ.

1906, №3036, გვ. 4

ებრაელებს ნება დართეს იცხოვრონ მინერალურ წყლებზე მკურნალობის დროს.

დრეიფუსის საქმე.

1898 წ. - №462, გვ. 4

1899 წ. - №914, გვ. 1, №881, გვ. 4, №905, გვ. 2

1900 წ. - №1004, გვ. 1

1903 წ. - №2062, გვ. 2, №2114, გვ. 1 - 2, №2129, გვ. 2, №2130, გვ. 2, №2155, გვ. 1, №2127, გვ. 2, №2056, გვ. 2, №2103, გვ. 1

1905 წ. - №2759, გვ. 4, №2913, გვ. 4

როტშილდები

1905, №2868, გვ. 2

როტშილდისა და ნობელის ბაქოს ქარხნებში მუშები გაიფიცნენ.

1905, №2876, გვ. 2

ბათუმში როტშილდისა და მანთაშოვის ქარხნებში მუშები განაახლებენ მუშაობას.

1905, №2808, გვ. 2

მსგავსი ინფორმაციაა.

1905, №2820, გვ. 1

გარდაიცვალა ალფონს როტშილდი.

„ცნობის ფურცელი“ (სურათებიანი დამატება)

1905, №19, გვ. 2

ცეცხლი როტმილდის ბათუმის ქარხანაში.

1906, №385, გვ. 1 - 2

„გაუმარჯოს ჯარს“. „დრეიფუსის საქმის“ თემაზე.

„ცხოვრება“

1912, №1, გვ. 2

გაშიშვლდნენ. აი, პოლონელების ლოლიკა. პოლონელები ალტ-აცებით ეგებებიან ებრაელების გათელვას პოლონეთში, მზად არიან სხვა ერებს მუსრი გაავლონ პოლონეთში, მაგრამ, როცა ჯერი მათზე მიდის, აქ ისინი ეროვნული თავისუფლების გმირებად გამოდიან.

1912, №1, გვ. 2

სახელმწიფო დუმამ უარყო ებრაელი ვაჭრების საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა.

1912, №10, გვ. 3

ქუთაისის ვაჭრების კრებაზე არ ჩანდნენ ებრაელი ვაჭრები; მოგვიანებით მოვიდა 3 ებრაელი ვაჭარი.

1912, №14, გვ. 2

სახელმწიფო დუმა.

გეგეჭკორი: კანონ-პროექტის ხსენებული მუხლი აწესებს საკომერციო ინსტიტუტში შემსვლელთათვის განათლების ცენზს, ხოლო ებრაული ჩამომავლობა არ შეადგენს ასეთ ცენზს. მემარჯვენეთა შესწორებებს ებრაელთა დევნა აქვს მიზნად.

1912, №15, გვ. 3

ასტრახანში სინაგოგაში შევიდა რუსის ქალი და შესთავაზა ეყიდათ ბავშვი. მიხვდნენ, რომ ეს პროვაცაცია იყო და უხმეს პოლიციას.

1912, №22, გვ. 3

პეტერბურგი. აქ დამთავრდა ნაციონალისტთა შეკრება. დაადგინეს ყველა ზომა იხმარონ ებრაელთა უფლებების გაფართოების წინააღმდეგ.

1912, №23, გვ. 2

ნაციონალისტების კრება და ანტისემიტიზმი. კვლავ ნაციონალისტების კრების ირგვლივ. მენშეიკოვი: „რუსი ხალხის სიღარიბის და წვრილი ვაჭრების უნუგეშო მდგომარეობა ებრაელების მიზეზითაა და არაა სოციალ-პოლიტიკური მოვლენა“. გაზეთი მას უწოდებს თავაშვებულ დემაგოგსა და ანტისემიტს.

1916, №II, გვ. 3

სახელმწიფო დუმა. დეპუტატ ჩხენკელის სიტყვა.

„ცხოვრების სარკე“

1908, №4, გვ. 2

ოქტომბრისტების ფრაქციის ერთი ნაწილი ამზადებს კანონ-პროექტს ებრაელთათვის შეღავათების მიცემის შესახებ.

1908, №4, გვ. 2

პურიშკევიჩის კანონ-პროექტი ეხება ებრაელთა ყოფნა-არყოფნას ჯარში. იგი თვლის არასასურველად ებრაელთა ჯარში ყოფნას.

1908, №6, გვ. 2

ზამისლოვსკი ჩივის, რომ ებრაელები ახერხებენ ჯარიდან გათავისუფლებას.

კრუპენსკის აზრით ებრაელები გამრყენელ გავლენას ახდენენ ჯარისკაცებზე და ამიტომ ისინი სულ არ უნდა მიიღონ. უმჯობესია მათ დააკისრონ თითო თუმანი წელიწადში ჯარში სამსახურის მაგიერ.

როდიჩევი თვლის, რომ ებრაელები უფლებებში უნდა გავუსწოროთ სხვებს და ჯარშიც სხვებთან ერთად იმსახურონ.

კამათში თემაზე ებრაელები და რუსეთის ჯარი მონაწილეობდნენ როდიჩევის გარდა ბობრინსკი, პოლოვცევი, პურიშკევიჩი, ჩერვინსკი, ნისელევიჩი, ობრაზცოვი, კლოპოტოვიჩი და სხვა.

1908, №8, გვ. 2

სახელმწიფო დუმის სხდომა. პურიშკევიჩი მსჯელობს სასამართლოების შესახებ, ებრაელების გავლენა სასამართლოებზე.

1908, №19, გვ. 2

პიატიგორსკის ადმინისტრაციამ უბრძანა სასტუმროების, რესტორნებისა და კერძო სახლების პატრონებს არ მიიღონ ებრაელები.

„წყარო“

1907, №5, გვ. 4

გაცრუებული იმედი. კიევის „რუსთა კავშირმა“ დიდი მეცადინეობის შემდეგ ძლივს გაიყვანა დუმის დეპუტატად პროცენკო. პროცენკომ კავშირის წევრებს განუცხადა თავისი ლოიალობის შესახებ სხვა ერების, მათ შორის ებრაელების, მიმართ, რითაც თავზარი დასცა შავრაზმელებს.

1907, №9, გვ. 4

ოქტომბრისტთა ფრაქციის დეკლარაცია. ეხლანდელ პირობებში შეუძლებლად მიაჩნია ებრაელთა უფლებათა გათანასწორება.

1907, №10, გვ. 1

სახელმწიფო დუმა. სახელმწიფო დუმაში პირველი პეტიცია წარმოუდგენიათ მოგილიოვის გუბერნიის დუბროვინის ებრაელებს.

1907, №10, გვ. 3

პარტიების ცხოვრებიდან. „ველიკორუსკი ნაციონალური პარტია“ თვლის შეუძლებლად ებრაელების სხვა მცხოვრებლებთან გათანასწორებას.

1907, №10, გვ. 4

პურიშკევიჩის წერილი გაზ. „რეჩში“.

1907, №11, გვ. 4

რუსეთის ამბები. მემარჯვენეთა პროექტი ებრაელთა შესახებ.

1907, №14

დუმაში აპირებენ შეკითხვის მიცემას სტოლიპინისთვის ლიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ებრაელთა მიღების თაობაზე..
მინისტრთა საბჭომ უარყო ზოგიერთი მემარჯვენის აზრი ებრაელები უცხოეთის ქვეშევრდომებად ჩაითვალოსო.

1907, №34, გვ. 4

ფინლანდიდან გადაქვეს 30 ებრაელის ოჯახი.

1907, №34, გვ. 4

ფინლანდიდან ებრაელთა გადაქვეს შესახებ.

1907, №37, გვ. 3

ვლადივოსტოკიდან ებრაელთა გადაქვესას აპირებენ.

1913, №1, გვ. 14

ქუთაისში მოკლეს აბელა ციციაშვილი.

„ხალხი“

1911, №2, გვ. 1

ებრაელები მხოლოდ მაშინ არიან კოსმოპოლიტები, როდესაც საქმე რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს შეეხება. ხოლო თუ ლაპარაკია ებრაელებზე, ისინი უკიდურესი ნაციონალისტები არიან.

1911, №5, გვ. 3

დაინვა ბერნშტეინის რკინეულობის ქარხანა პეტერბურგში.

1911, №6, გვ. 2

სახელმწიფო დუმა. განიხილება კანონ-პროექტი სამოსახლო ფარგლების შეცვლის შესახებ.

მაკლაკოვი — მთავრობა აცხადებს მოქალაქეთა თამასწორობას, ხოლო ებრაელების მიმართ ისეთ კანონს ამუშავებს, რაც ეწინააღმდეგება ძირითად კანონს.

მარკოვ II — რამდენადაც შორს იქნებიან ებრაელები რუსეთიდან, მით უკეთესი.

ნისელოვიჩი — ებრაელთა საცხოვრებელ ადგილთა ფარგლის მოსპობას თხოულობს არამც თუ სახელმწიფოებრივი კეთილგონიერება, არამედ რუსეთის ღირსებაც.

1911, №6, გვ. 3

შავრაზმელი დუბროვინის გაზეთი „რუსკოე ზნამია“ ამტკიცებს, ვითომც ქართველები და სომხები ებრაელების ჩამომავლები არიან და ამიტომ ისინი სამსახურებიდან უნდა დაითხოვონ.

1911, №8, გვ. 1

ტფილისში შეიპყრეს გამოქცეული ჯარისკაცი რუბენ ჟიზიკის ძე შეინბერგი.

1911, №10, გვ. 1

ბერლინი. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს აღიძრა საკითხი — მიეცეთ თუ არა ებრაელებს სამხედრო სამსახურში შესვლის უფლება. სამხედრო მინისტრის განცხადებით არმიასი ანტისემიტური განწყობა ხელს უშლის ებრაელთა სამხედრო სამსახურში შესვლას.

1911, №16, გვ. 2

პოლიციამ თბილისში შეიპყრო ქუთაისის მაზრის მცხოვრები პავლე გურგენიძე, რომელსაც სხვა რამეებთან ერთად ბრალდება ვაჭარ ბინიაშვილის მალაზიიდან 6000 მანეთად ღირებული საქონლის მოპარვა.

„ხალხის მეგობარი“

1917, №2, გვ. 4

აირჩიეს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობის საბჭოზე პარლამენტში გასაგზავნი სამი დელეგატი და ორი კანდიდატი. დელეგატებად გავიდნენ ფელდმანი, დიტმარი და სხვები.

1917, №2, გვ. 4

სოფ. მუხურა (შორაპნის მაზრა). წერილი ეხება სოფლის კომიტეტის წევრების არაკეთილსინდისიერ მოქმედებას, ნახსენებია ებრაელი ვაჭრებიც.

1917, №2, გვ. 2

ქუთაისში მოხდა სავაჭროების რბევა-აკლება.

1917, №3, გვ. 3 - 4

ეროვნებათა ყრილობას ესწრებიან სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. მრავლად არიან პროებრაული პარტიების დელეგატები. პროგრამაშია ეროვნული საკითხი, ავტონომია, ფედერაცია. ავტორი მ. ტ-ძე.

1917, №3, გვ. 4

ტამბოვში მოხდა ებრაელთა პოგრომი.

1917, №9, გვ. 4

ებრაელთა დელეგაცია მინისტრ-პრეზიდენტის მოადგილესთან კონოვალოვთან. ითხოვენ, ყურადღება მიაქციონ ებრაელთა დარბევის ფაქტებს და მიიღონ ზომები. ითხოვენ უფლება, შექმნან თავდაცვითი რაზმები.

1917, №10, გვ. 4

კიევის პედაგოგიურ მუზეუმში გაიხსნა ებრაელთა ნაციონალური საბჭო.

1917, №11, გვ. 2

ებრაელთა სამხედრო ორგანიზაციას ეწოდება „სრულიად რუსეთის ებრაელ-მეომართა კავშირი“.

1917, №11, გვ. 3

ლიტვის ეროვნული პარტიის, პოლონელი სოციალისტების, ებრაელთა შეერთებული სოციალისტ-სიონისტების, დაშნაკ-ცუტუნების, ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესტონელი სოციალისტების წარმომადგენლებმა რესპუბლიკის

საბჭოში ერთი ფრაქცია შეადგინეს პოლიტიკური და ეროვნული საკითხების გარშემო.

1917, №33, გვ. 3

„სიონისტებიც აღილინდნენ“. მ. ხანანაშვილის წერილი სიონისტ გუხმანის წინააღმდეგ, რომლის გაყვანა სურთ ქართველი ებრაელების ხმებით კავკასიიდან.

1917, №36, გვ. 4

ეროვნული ყრილობის მოწვევა. ყრილობაზე ესწრება ქართველ ისრაელთა ინტერპარტიული საბჭოსა და კულტურული საზოგადოების 2 წარმომადგენელი.

1917, №41, გვ. 2

არჩევნები ოდესაში. პირველი ადგილი უჭირავს ებრაელთა ბლოკს — 50%.

1917, №41, გვ. 2

საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ისრაელთა ინტერპარტიული საბჭოდან გაგზავნეს მიხ. ხანანაშვილი.

1917, №41, გვ. 3

ბათუმში არჩევნებში სიონისტებმა მიიღეს 278 ხმა.

1917, №41, გვ. 3

დამფუძნებელი კრების არჩევნები ქუთაისში — მოცემულია, თუ რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო; სიონისტებმა მიიღეს 81 ხმა.

1917, №49, გვ. 2

რიგაში ებრაელთათვის გაიხსნა I სკოლა.

1917, №49, გვ. 4

ონი. პალესტინაში ებრაელთა რესპუბლიკის გამოცხადების გამო ონის ებრაელებმა 23 ნოემბერს გამართეს საზეიმო კრება რაბინ ბააზოვის მეთაურობით.

1917, №51, გვ. 2

საზღვარგარეთისა და რუსეთის ებრაულ წრეებში მოლაპარაკებაა ებრაელთა საგანგებო ეროვნული ყრილობის მოწვევის შესახებ, სადაც იმცჯელებენ პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს დაარსების შესახებ.

1917, №67, გვ. 3

მ. ციციაშვილს, დ. ციციაშვილს და ჩიკვაშვილს ჩამოერთვათ კალოშები.

1917, №63, გვ. 4

ებრაელებს (5 კაცი) მადლობას უხდინან ბალდათის სამკითხველოსათვის ფულის შეწირვის გამო.

1920, №17, გვ. 2

აპირებენ ღონისძიებების გატარებას ხოლერის წინააღმდეგ ებრაელთა უბანში.

1920, №18, გვ. 2

სააქციონერო საზოგადოების გამგეობის წევრად არჩეულია მარდახ ფიჩხაძე.

1918, №74, გვ. 1

7, 8, 9 იანვარს მოხდება ებრაელთა დამფუძნებელი კრების არჩევნები. მოუწოდებენ ხმა მისცენ სიონისტებს.

1918, №76, გვ. 1

ქუთაისში ჩაატარეს ყველა სალოცავის გაერთიანებული კრება, სადაც მოუწოდეს ხმა მისცენ „აგუდათ ისრაელის“ დელეგატებს რუსეთის ისრაელთა ყრილობაზე გასაგზავნად.

1918, №77, გვ. 3

ქუთაისის მუშათა საბჭოს არჩევნები შედგება 13, 14, 15 იანვარს. მოუწოდებენ ხმა მისცენ მე-6 ნომერს (დასახელებულია 30 კაცი, №30 – მოშე ჩიკვაშვილი – დ. ხ.).

1918, №127, გვ.

გაზეთი ბეჭდავს იმ ხალხის სიას, ვინც შესწირა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას.

1918, №141, გვ. 3

ქუთაისში შეადგინეს ქართველ ისრაელთა საგანგებო რაზმი „სამშობლოს დამცველი ქართველ ისრაელთა რაზმის“ სახელწოდებით დავით მოშიაშვილის ხელმძღვანელობით.

1918, №340, გვ. 3

ნოე ჟორდანიას, ახალი პარლამენტის თავმჯდომარეს ჩხეიძეს და პარლამენტის წევრს დავარაშვილს ქუთაისის ებრაელებმა წერილით შეატყობინეს, რომ აგროვებენ ფულად შემოწირულობებს საქართველოს ჯარის ზურგისთვის.

1919, №353, გვ. 4

დააპატიმრეს ელია მოშიაშვილი, რომელსაც ბრალდება ნაქურდალი წულების ყიდვა და შაფათა დავითიაშვილი, რომელსაც ბრალდება წულების მოპარვა.

1919, №358, გვ. 3

ჩხარში დააყაჩაღეს ებრაელი შაფათა ხუნდიაშვილი.

1919, №363, გვ. 4

დააპატიმრეს ქურდობაში ეჭვმიტანილი მარდახა სარადარი.

1919, №366, გვ. 2

სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის სია №5 დამფუძნებელი კრების არჩევნებში (№46 — ხანანაშვილი მ. შ. — დ. ხ.).

1919, №366, გვ. 4

სენაკში დააყაჩაღეს ებრაელი იაკობ თოფჩიაშვილი.

1919, №367, გვ. 3

დააპატიმრეს 2 სპარსელი, რომლებმაც მესაათე ფიზიკისგან იყიდეს ოქროს მონეტები და აპირებდნენ სტამბოლში გამგზავრებას.

1919, №375, გვ. 2

მ. ხანანაშვილის წერილი პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით. სოციალ-ფედერალისტებმა კანდიდატად შეიყვანეს ელიგულაშვილი და დავარაშვილი.

1919, №375, გვ. 2

სოციალ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის სიაში მ. ხანანაშვილი არის №47.

1919, №379, გვ. 4

ბათუმის ქალაქის არჩევნებში ებრაელებს მიეცათ ხმოსანთა 2 ადგილი.

1919, №380, გვ. 4

ქურდობის დროს დაიჭირეს ებრაელები შამუელ იაკობიშვილი და ბენ-ციონ ჩახუაშვილი.

1919, №386, გვ. 3

პროტესტი არჩევნების გამო.

1919, №406, გვ. 4

ცოტა რამ რელიგიის ისტორიიდან. ადარებს პლატონის მონოთეიზმსა და ებრაულ მონოთეიზმს.

1919, №408, გვ. 2 - 3
საუბრობს ებრაელთა რელიგიის შესახებ. გაგრძელება №409, გვ. 2 – 3; №410, გვ. 3.

1920, №1, გვ. 3
პარტიული ცხოვრება. ქართველ ებრაელთა ორგანიზაციაში.

„ხმა ებრაელისა“

1918, №1,

გვ. 1. სხვადასხვა განცხადებები.

გვ. 2. სარედაქციო წერილი გაზეთის მნიშვნელობასა და ამოცანების შესახებ.

გვ. 4. სამომენტო. ომი და ებრაელობა. ომმა გამოააშკარავა ებრაელთა საჭიროებანი. ავტორი ბენ-იეშურუნ.

გვ. 6. ჩვენი თვითმმართველობა. წერილი ეხება ებრაელთა თვითმმართველობის შემოღების საჭიროებას. ავტორი შ. ჰალევი.

გვ. 7. მიმართვა „ებრაელთა ახალგაზრდებისადმი“.

გვ. 8. რუსეთის ჯარის მიერ ქამადანში (ხამადანში – შ. ნ.) მონყობილი პოგრომის შესახებ..

გვ. 9. ნეკროლოგი ე. ვ. ჩლენოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ავტორი მ. თ-შვილი.

გვ. 9. ებრაელების ცხოვრებიდან

- ინგლისის დეკლარაციის შემდეგ გერმანიამაც გამოაქვეყნა დეკლარაცია პალესტინის შესახებ

- ოდესაში შეიქმნა პალესტინის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

გვ. 10. პალესტინის ფრონტზე მოკლეს ეველინ როტშილდი.

- ამერიკაში დაარსდა ებრაელ მილიონერთა ამხანაგობა, რომელიც აპირებს პალესტინაში 50 ქარხნის აგებას.

- ინჟინერ-ელექტრიკოსმა ი. ხ. ფაინჰელდმა შეიმუშავა პალესტინის წყლების გამოყენების პროექტი ელექტროენერჯის მისაღებად.

- უსიშკინის, გოლდბერგისა და შაპიროს ინიციატივით დაარსდა მსხვილი სამშენებლო საზოგადოება „ჰაბონე“.

- გაზეთი ბეჭდავს გაზ. „რესპუბლიკის“ №170 ცნობას, რომ „ინგლისი უკვე დგამს რეალურ ნაბიჯებს ებრაელების სახლმნიფოს მოსაწყობად პალესტინაში“.

გვ. II. ცნობა ბოროხოვისა და მენდელე მოიხერ სფორიმის გარდაცვალების შესახებ.

- ოდესაში გაიმართა დიდი მანიფესტაცია ებრაელთა სახელმნიფოს გამოცხადებასთან დაკავშირებით.

- მსგავსი მიტინგები გაიმართა მოსკოვში, პეტროგრადში და სხვაგან.

- ქ. მოსკოვში ნადიჩისა და ჩლენოვის მცდელობით ლაზარეთებში ებრაელ ჯაისკაცებს მიეცემათ ქაშერი ხორცი.

- სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს მოსკოვის რაბინი ი. ი. მაზე და ადვოკატი გრუზენბერგი.

- მოხდა არჩევნები პეტროგრადის ებრაელების სათემო საბჭოში.

- 10 იანვარს ციურიხში იხსნება შვეიცარიის ებრაელთა კონგრესი.

- იერუსალიმის აღება სიონისტური ორგანიზაციის სახელით მიულოცეს პრემიერ-მინისტრს როტშილდმა, ნახუმ სოკოლოვმა და ხაიმ ვეიცმანმა.

გვ. I2. ამერიკა და საებრაულო პალესტინა.

პრეზიდენტმა ვილსონმა ამერიკის სიონისტთა ლიდერი ლუი ბრანდესი დანიშნა იმ კომისიის წევრად, რომელსაც დავალებული აქვს მომავალი საზავო კონფერენციისთვის საჭირო მასალების მომზადება.

- ებრაელების დღესასწაული პროვინციაში

ონში დ. ბააზოვის მეთაურობით მოწყობილი მიტინგი „ინგლისის მთავრობის მიერ ებრაელთა სახელმნიფოსათვის პალესტინის მიცემის შესახებ“.

- მსგავსი მიტინგი მოეწყო ახალციხეში ახლად მოწვეული რაბინის დ. ბააზოვის ინიციატივით.

1918, №2

გვ. I. სხვადასხვა განცხადებები.

გვ. I - 2. ქუთაისი. 25 მარტი.

წერილში განხილულია ომისა და ზავის საკითხები, ზავის მნიშვნელობა ებრაელებისათვის. აგრეთვე შესაძლო ომი თურქებთან, რომლის მთელი სიმძიმე დაანგებათ ქართველებსა და სომხებს.

გვ. 3 - 6. დ. ბააზოვის წერილი „ჩვენ და ქართველები“.

გვ. 6 - 7. ჩვენი თვითმმართველობა. რა არის ებრაული თვითმმართველობა კაპალი? ეძღვნება ებრაული თვითმმართველობის საკითხებს.

გვ. 7 - 8. მ. თავდიდიშვილის წერილი იმის შესახებ, თუ როგორ შეინარჩუნა ებრაელმა საკუთარი სახე.

გვ. 8 - 10. დასკვნა კომისიისა, რომელსაც ჰქონდა დავალებული არონ ელიგულაშვილის მეუღლის გასვენების დროს მომხდარი ინციდენტის გარჩევა

გვ. 10. ებრაელები, არაბები და სომხები.

გაზეთი იძლევა ინგლისური გაზეთის „ტაიმსი“-ის ცნობას ამ სამი ხალხის ინტერესების ერთიანობაზე.

გვ. 10. კერძო წერილიდან. ვინმე კ. ე. ვ. წერილი თავრიზიდან, რომელშიც აღწერს თავის და მასთან მყოფი მეგობრების გრძნობებს პალესტინის ებრაელთათვის გადაცემის გამო.

გვ. 11. შემოწირულება. იხეჭდება გაზეთისათვის შემომწირველთა სახელები და გვარები.

გვ. 11. ებრაელების ცხოვრებიდან.

ხამადანში დაზარალებულ ებრაელთა დასახმარებლად.

თვითმმართველობის არჩევნები თბილისში.

ებრაელების თვითმმართველობის ყრილობა კავკასიაში.

სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობა.

გვ. 12. სიონისტთა კონგრესი ლონდონში.

ინგლისის დეკლარაციის გამოცხადი ბერლინში.

კაპალის არჩევნები ბათუმში.

ახალი გაზეთები ოდესაში.

ებრაული ისტორიის კათედრა შანიავსკის უნივერსიტეტში.

გვ. 13. მოსკოვის კაპალში. პრეზიდენტის შემადგენლობა.

კოპენჰაგენის სიონისტური ორგანიზაციის განცხადება.

ებრაული ეროვნული ფონდი.

გვ. I 6. განცხადებები.

1918, №3

გვ. 1. განცხადებები. ქუთაისი, 9 აპრილი.

გვ. 2 - 3. ქუთაისის მმართველობის დანაშაულებრივ აქციაზე ებრაელების მიმართ. შაბათს, 31 აპრილს ებრაელების უბანს მოედგნენ მილიციელები, შეიჭრნენ სალოცავებში და გარეთ ერეკებოდნენ ყველას დიდს თუ პატარას. ეს არ იყო „აბლავა“ დეზერტირებზე, ეს იყო „აბლავა“ ებრაელებზე. წერს გაზეთი.

გვ. 3. „ჩვენი საზოგადოების საყურადღებოთ მოუწოდებთ ქუთაისისა და თბილისის ებრაელობას სწრაფად მოაწყონ დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოება, გაგზავნონ რწმუნებულნი ადგილებზე დახმარების სახეობის გამოსარკვევად“.

გვ. 3-4 ცხინვალისა და ცხინვალის ებრაელების დარბევა ოსების მიერ.

გვ. 4-5 რა დაჰკარგა რუსეთმა ზავის შედეგად? (ჩამოთვლილია).

გვ. 5. რაუჯდება რუსეთს ჯარის შენახვა?

გვ. 6. სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის არჩევნების შედეგები.

გვ. 7. ებრაელების ცხოვრებიდან.

- ქუთაისში შედგა ებრაული რაზმი.
- თბილისის კაჰალის არჩევნების შესახებ.
- გაქურდეს რ. და ბ. ქურქჩიშვილების მაღაზია.
- სუჯუნაში დაარსდა ებრაელ ახალგაზრდათა ეროვნული წრე „კადიმა“.

- ბოლშევიკმა ჯარისკაცებმა ონში გაძარცვეს ებრაელები.

გვ. 7. მოსკოვის სასტუმრო „ნოვო ვარვარინსკოე პოდვორიეს“ და ლურიეს სასადილოს წასულ ფესახში დაეცნენ შეიარაღებულნი. ჯერ სასადილოში მყოფი ებრაელები გაძარცვეს, შემდეგ სასტუმროს მდგმურები.

- უკრაინის რადამ მოიწონა კანონ-პროექტი ებრაული თვითმმართველობის შესახებ.

- კიევის კაჰალში არჩეულია საბჭო 60 კაცით.
- ელისავეტოგრადის კაჰალში 50 კაციანი საბჭოა.
- საფრანგეთის კონსულმა კიშინიოვში ინახულა აქაურ სიონისტთა ლიდერი ი. კოგან-ბერშტეინი.

გვ. 8. ვენაში გაიხსნა ავსტრიის „ფოყალე ციონის“ ყრილობა.

- ბაქოში მოხდა ქართველ ებრაელთა სალოცავის შენობის საძირკვლის ჩაყრა.

- ყუბა. ანარქია და ებრაელების გასაჭირი.
- თბილისის კაჰალის საარჩევნო კომიტეტმა მიიღო 5 სია.
- ებრაული კალენდარი.

1918, №4

გვ. 1. განცხადებები.

გვ. 2. ქუთაისი. მაისი

„ამიერკავკასია სამუდამოთ ჩამოშორდა ოდესმე მძლავრს, ქედუნრელს – ახლა კი გახრწნილს ანარქიით გათიშულ რუსეთს“. აქედან გამომდინარე წერილში დასმულია ებრაელთა წინაშე მდგარი პირველი მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრის საჭიროება.

გვ. 3. მოწოდება მივიდნენ თბილისის თვითმმართველობის საბჭოს არჩევნებზე.

- საპასუხისმგებლო მოვალეობა.

გვ. 3 – 4. თბილისის ებრაელთა თვითმმართველობის შესახებ.

გვ. 4. მოწოდება ქუთაისის ებრაელებისადმი დაეხმარონ გაჭირვებულ ლტოლვილ (მთიელ) ებრაელებს, რომლებიც (200 კაცი) ორ პატარა ოთახში სულს ღაფავენ.

გვ. 4 – 5. „სიონიზმი ინგლისის საზოგადოებრივ აზრში“.

გვ. 5 – 6. ი. ჩლენოვისადმი მიძღვნილი წერილი.

გვ. 6. საერთო სათაური „ებრაელების ცხოვრებიდან“.

- ებრაული ეროვნული ფონდის შემოსავალი გასული წლის ნოემბერში შეადგენს 146 941 ფრანკს უკანასკნელი კურსით.

- მოსკოვში შედგა „ებრაული სამართლის საზოგადოების“ დამფუძნებელი კრება. გაზეთი წერს საზოგადოების გეგმების შესახებ.

გვ. 7. „ებრაელ ექიმთა კავშირი“ დაარსდა მოსკოვში.

- სიონისტური გაზეთი „ევრეისკოე სლოვო“.

- ჟურნალი ებრაულად „ჰარეც ვეჰაყაბოდა“.

- ბოროხოვის სახ. კლუბი დააარსა მოსკოვის „ფოყალე ციონის“ კომიტეტმა.

- გასული წლის დეკემბერში შედგა ნიდერლანდების ებრაელების ყრილობა.

- მოსკოვში დაარსდა „პალესტინის ეკონომიკური აღორძინების საზოგადოება“.

83. 7. სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობაზე პირველი ადგილი სიონისტთა სიისაა (№6).

- დაარსდა სხვადასხვა დარგის კოოპერატიული საზოგადოების ორი დიდი რაიონის კავშირი — ხერსონის, ბესარაბიისა და ეკატერინოსლავის გუბერნიებში.

- იქმნება ებრაული პოლკები პოგრომებთან და კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

- რუმინელებმა დაშალეს კიშინიოვის ებრაული „როტა“ და მისი ხელმძღვანელი ვაინშენბაუმი დააპატიმრეს.

83. 8. ოდესაში გამოვიდა ყოველთვიური კრებულის „პალესტინას“ მე-4-ე ნომერი.

- გრუზენბერგის წერილი სიონისტთა ცენტრალური კომიტეტისადმი ი. ჩლენოვის გარდაცვალების გამო.

- სიონისტთა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით სპეცდანიშნულების შემოწირულების გარდა მთელი შემოსავალი 5679 მ. გამოცხადდეს ი. ჩლენოვის ფონდად.

- მოსკოვში დაარსდა პალესტინის პოლიტექნიკური საზოგადოება.

1918, №5

83. I. განცხადებები.

გვ. 2 – 3. ქუთაისი, 21 მაისი — ომი და პატარა სახელმწიფოები არის გაზეთის ამ ნომრის მოწინავეს მთავარი თემა. ქართველი ერი და მისი არსებობა — წერილის ძირითადი განსახილველი საკითხი.

83. 3 – 5. ჩვენი თვითმმართველობა. კომისიების შესახებ.

83. 3 – 5. რაბი იეჰუდა ჰალევი — მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

83. 7 – 10. სადაა სამართალი?

წერილი ეხება ქუთაისში მომხდარ ანტისემიტურ ინციდენტს: იაფი ფართლის შესაძენად ნომრების დარიგების დროს ებრაელებს არ აძლევდნენ ასეთ ნომრებს.

83. 10. კორესპონდენცია. წერილი ეხება თბილისის ებრაელთა ეროვნულ და პოლიტიკურ ცნობიერებას.

- ნეკროლოგი მ. დ. ისრაელაშვილზე.

83. II. სუჯუნის ორგანიზაცია „კადიმას“ კომისიები.

83. 12. არჩევნების შედეგები. თბილისის ებრაულ ეროვნულ

საბჭოში (კაჰალში).

გვ. 13. ებრაელების ცხოვრებიდან.

- ქუთაისში ებრაელებზე ფართალი არ გასცეს.
- ქუთაისში გაიხსნება ებრაელი სტუმრებისთვის სასტუმრო.
- თბილისის „კაჰალის“ პრეზიდენტში გავიდნენ გრუზენბერგი – თავმჯდომარე, შტრეიხერი – მისი ამხანაგი, ბერმანი – მდივანი.

გვ. 13. ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიამ დააარსა შრომის ბიურო.

- ლონდონიდან პალესტინაში გაემგზავრა დელეგაცია, რომელიც შეხვედბა ხ. ვეიცმანს.
- ვარშავაში შედგა რაბინებისა და გაონების კონფერენცია. გაარჩიეს კაჰალის მოწყობის საკითხები.

გვ. 14. სიონიზმის საფუძვლები (ახად-ჰაბონიმიდან).

გვ. 15 - 16. განცხადებები.

1918, №6 – 7

გვ. I. განცხადებები.

- ქუთაისი, 8 დეკემბერი.

წერილში განხილულია ომის შემდეგ ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხები.

გვ. I - 2. წერილები საქართველოს ებრაელებზე. წერილის ავტორია „N“.

გვ. 2 - 3. გაკვრით.

„ინგლისის რაბინების ორდენი,“ ამერიკელი რაბინები მოუწოდებენ ისრაელის ერს აღსდგნენ ყველა ერთად და ააშენონ თავიანთი სამშობლო „ერეც ისრაელი“. ამ და მსგავს საკითხებს ეხება წერილი მთლიანად. ავტორი ბენ-ონი.

გვ. 2 - 3. „ერეც ისრაელ“ (პალესტინა). ვრცელი წერილი პალესტინის, როგორც ებრაელთა მშობლიური მიწა-წყლის შესახებ. ავტორი გადმოგვცემს თავის განცდებს ამასთან დაკავშირებით.

გვ. 3. ისტორიული წუთები.

ავტორი გვიზიარებს თავის აზრებს ებრაელთათვის ინგლისელების მიერ პალესტინის მიცემასთან დაკავშირებით. ავტორი ბენ-არცი.

გვ. 3. აგუდათ ისრაელის მიზანი და მისი საშუალებანი. წერილი ეხება სიონისტების დაუძინებელი მტრის „აგუდათ ისრაელის“

მიზნებსა და ამოცანებს. ავტორი „ემეტ“.

გვ. 4. ებრაელთა ცხოვრებიდან.

- ამერიკის სიონისტთა ორგანიზაციამ „ეროვნულმა საფინანსო კომისიამ“ დაამთავრა 100 მლნ. ფონდის შექმნა.

- ავსტრიის მეფე კარლმა მიიღო ვენის უფროსი რაბინი დოქტორი ხაესი.

- ერთმა უნგრელმა მილიონერმა ებრაელმა ქალმა გადაწყვიტა შესწიროს მთელი მისი 7მლნ. „ებრაელ ობოლ ბავშვთა სახლს“.

გვ. 4. ებრაელთა რესპუბლიკა.

შედგა პალესტინის ებრაული სახელმწიფოს მინისტრების პირველი კაბინეტი.

- ერეც ისრაელში ჩავიდა პირველი ებრაული ბატალიონი ლეიტენანტ ჟაბოტინსკის მეთაურობით.

- ქუთაისის ებრაელ მონაფეთა ჯგუფმა ითხოვა სწავლა დაამთავრონ რუსულ ენაზე. არ დააკმაყოფილეს.

- ბუზიაშვილი – მესოფლე ვაჭარი მოკლეს.

პარტიის ცხოვრებიდან.

- შედგა „ცეყირე ციონის“ დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

- თბილისისა და ქუთაისის „ცეყირე ციონში“ დაარსდა ჯგუფები, რომლებიც მოაწყობენ მსურველთა ექსკურსიებს პალესტინაში.

- ებრაელები და მსოფლიო ომი.

ეს საკითხი განიხილეს ნიუ-იორკის ებრაელი მილიარდერების კავშირის სხდომაზე.

- ნეკროლოგი მ. ჯანაშვილზე.

„ხმა კახეთისა“

1912, №1, გვ. 3

ქუთაისი. გაიტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით ებრაელი კოკიტაშვილი.

1913, №16, გვ. 2

ტფილისის ვეტერინარმა ა. მთენგოფელმა თქვა: „1) საჭიროა შემუშავდეს ერთაშორისო წესები მართლწერის შესახებ, 2) სან-სკრიტულ-ებრაულ შემოკლებულ წესის საშუალებაზე ადგილის,

დროისა და შრომის დასაზოგავად“...

1913, №19, გვ. 2

ექიმი მეიროვიჩი გამტაცებლებმა გამოსასყიდის მიღების შემდეგ გაათავისუფლეს..

1913, №28, გვ. 2

სიღნაღის კლუბის ახლადარჩეულმა მამასახლისების თავმჯდომარემ ბ. ტროიცკიმ მამასახლისობაზე უარი თქვა.

1912, №65, გვ. 3

კახეთის მეფე ლევანს ცოლი თინათინი გაეყარა და აღიკვეცა შუა მთაში მონაზვნად. ეკლესიას შესწირა... ბელაქნელი ურიები...

1913, №73, გვ. 3

პატარა ფელეტონი. ერთ-ერთი გმირია ებრაელი.

1913, №97, გვ. 2

საქართველოს ეგზარქოსი ალექსი: ებრაელების ყოფა-ცხოვრება კარგად ვიცი. ბიბლიაში მოხსენებულია მსხვერპლშენიერვა, მაგრამ არა ადამიანების, არამედ ცხოველებისა.

ბელისის დანაშაულობას კი ჯერჯერობით საფუძვლიანად ვსთვლი.

1913, №100, გვ. I

